


სტანდარტული განაცხადის ქვეთ ჩატარების მიზანის სახელის
სახელის სახელის.



ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა

ზეპირ სიტყვამიმდინარე, სხვა და სხვა ძველის ბარათებიდგან და კონდაკები-
დგან შეკრებილი, აღწერილი თა გამოცემული

ზ. ჭიჭიაძისგან

22 42

თვილისი

სტამბა ე. ი. ხელაძისა

1905

38 (ცი) (09)

სტატუს გრანტის მეშვეობის ქუბალაშვილის ხელშეკრიბისა და სახელის
სახსოვრად.

ქართველი პათოლოგია ვაჭრობა

ზეპირ სიციკლის მიზანით, სხვა და სხვა ძველის ბარათებიდან და კონდაკები-
დან შეკრებილი, აღწერილი და გამოცემული.

შ. ჭიჭინაძისაგან

და

თვილისი

სტამბა ე. ი. ხელაძისა
1905

Дозволено цензурою г. Тифлисъ 12 января 1905 года.

საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ქართველ
კათოლიკების და კათოლიკობის გავლენა
ძალაშე.

ქართველებზედ ვაჭრობის მხრივ მეტოდ კარგი გავლენა.
ჰქონდა კათოლიკის სარწმუნოებას. ლათინის პატრები ვისაცი
დაუკავშირებდნენ კათოლიკის სარწმუნოებას, მერე მასზედ
მეტადინობდნენ ყოველნაირის მხრით, რომ თვისი მორწმუნე სხვა
სახითაც დაწინაურებინათ, იგთ ქართველებზედ და სომხებზედ
წინ შეგარიყო, რომ მერე მის საშუალებით უფრო კაი მაგალი-
თები დათვისოლიყო, კათოლიკის სარწმუნოების ვრცელების
საჭმეულ უფრო გააღვილებულიყო. ასეთ ისტორიას აღგნენ
კათოლიკის მოძღვრონო და იგინი ამით არც სურდებოდნენ.
ჸაზი ყოველთვის ნაყოფს იღებდა, მწიანა აღწავდა, სადაც კურ
ფეხი შედგეს ამ მარტივობით, და ვინმე ქართველს კათოლიკის
სარწმუნოების მაღლებინეს, მერე იგი თვის თანამემამულებზედ
სხვაურითაც მაღლა დაიყვრნა, დააწარაურეს.

შაგალითებრ: თბილისი, ვისაცი მიუღია ძველათგანვე
კათოლიკის სარწმუნოება, მერე იგი პატრების დახმარებით
ვაჭრობას ისტორიად დაზღვრებით, თბილისში უაუსნია სხვა-
და სხვა სავაჭროები და სახელოსნოები, მერე თბილის გარეშე
ვაჭრობის მხრით მდგავრობა დაწესდა ინდოეთს, სპარსეთს,
ოსმალეთს და რუსეთს. ევროპითაც ხშირად მიიღონ და
თუ ით სასწავლებლებთაც უფლიად რომში, მ. თბილიშვილის
შრომითამც კარგი და სწავლი, რომ ქართველ კათოლიკეთა ძენი
საქართველოდამ რომში ძველი დაგანვე მიღონ და
მოპავანდოს და ასეთ სასწავლებლებში ირამედ ვაჭრობის
გზაზედ თვალის გასახილებლათაც. უნდა მოგახსენოთ, რომ

ასეთ ვაჭრობითი წარმატებას არამც თუ მარტოდ თფილისში ვნახავდით, არამედ ყოველგან, საღაცკი კათოლიკობა ფეხს იდგავდა; ასეა მაგალითებრ ახალციხის და შის ოქმთ ქართველ გვარის კათოლიკებში, გორს, საღაც დღეისად ძრიელ შემცირდა კათოლიკობა ქუთაისს, ბათუმს და ოდიშს, ერთი-სიტყვით ყველგან, საღაცკი ქართველნი ამ სარწმუნოებას უკავშირდებოდენ.

ქართველ კათოლიკობაში თუ რამდენად იყო განლვიძე ბულ ვაჭრობა და მრეწველობის ტრფიალება ეს იქიდაშაც კარგად სხანს, რომ ქართველ კათოლიკეთა საშუალებით თბილისში ძველადგანვე გაჩნდნენ მესაათები, ევროპიულ მეპურე-მებუბლიკენი და სხვა საქონლის შემომტანნიც. თვით ინდოეთამდინაცკი წავიდნენ და XVIII საუკუნეში, მაღრასეს და კალკუტას სავაჭრო ადგილებიც გაიჩინეს, ორივ ქალაქს ქართველთ ვაჭართა ქარვასლებიც არსებობდა; ევროპაში ინდოეთი ინგლისის საშუალებით მხოლოდ XVI საუკუნიდამ გაიცნა და ჩვენ ქართველნი ინდოელებს ძველადგანვე ვიცნობდით, მათთან მისვლა-მოსვლაც გვქონდა, თვით XVIII საუკუნეში, მეფე ერეკლესაგან მიწერ-მოწერაც გაიმართა, მიზანი მიწერ მოწერის საქართველოს დაახალოვება იყო ინგლისთან, საქართველოში ინგლისელების გადმოსახლება, თითქმის ქართველთ ქვეშევრდომობა. საქართველოში ევროპიული წესების შემოტანა, თფილისში შაქრის ქარხნის გახსნა და სხვანიც. ამ საქმისთვის 28. წლის განმავლობაში იყო მიწერ-მოწერა, გამართული. უკანასკნელად იქ გაგზავნილ იქმნა მეფე ერეკლესაგან თფილისის ქართველ კათოლიკე აზნაური რაფიელ დანიბეგოვი, რომელმაც მეფე ერეკლეს თხოვნა შეასრულა და იმგზავრა, მხოლოდ საქმეს სისრულეები არ მიეცა, რადგანაც ერეკლე მეფე 1798 წ. 18. იანვარს მიიცვალა და რაფიელ დანიბეგოვიკი ინდოეთიდამ საქართველოში იმავ წლის აპრილში ჩამოვიდა, ამის შოგზაურობა ცალკე წიგნად რუსულათაც დაიმეჭდა 1810 წ. მოსკოვს.

ქართველ კათოლიკე ვაჭართა კვალი ყოველთვის თამამად
მგზავრობდა საქართველოდამ კალკუტას, მაღრასეს და თვით
ინგლისსაც, ავღანისტანს და ასეთს ქვეყნებს ხომ ერთობ ხშირად
იცოდნენ მგზავრობა, ნამეტურ მოელის ვაჭართა ქარავნებით
მიღიოდნენ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრები. საქა-
რთველოს სამეფოს გამგეობის დასრულების შემდეგკი იქით ქა-
რთველ ვაჭრებმა თითქმის მოსპეს მგზავრობა. რაღვანაც საქა-
რთველო რუსეთის გზით ევროპის ვაჭრობას დაუახლოვდა და
ასმალეთის საქართველოს ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებიც
თვით ოსმალეთს დაუახლოვდნენ, უკანასკნელ ტრაპიზონს და
კონსტანტინეპოლისაც გააკეთეს ქართველ კათოლიკეთა ვა-
ჭართათვის. სადგომი სავაჭრო ბინა, ანუ ქარვასლები, ქართველ.
კათოლიკეთა გონიერი და მიმზიდველობა პატრიების წყალობით
ისე მოიქარგა და მოიკაზმა, რომ ქალაქ ალაგას მცხოვრებ
კათოლიკენი მთლიად ვაჭრობას მოეწყვენენ და უველა მათგანი
მხოლოდ ამის ასპარეზედ ვარჯიშობდა. ამის ნიშანია, რომ
1820 წლებში, თფილისიდამ, ზ. ზუბალაშვილი გერმანიაში
წავიდა ბუხგალტერიის შესასწავლად. ისიც ხომ ცხადია მრა-
ვალთათვის, რომ თვით ჩვენ დროის გამოჩენილი პეტრე ხარის-
ჭირაშვილიც კი. შრომობდა დიდათ და სურდა, რომ კონსტა-
ნტინეპოლის ქართველ გვარის ვაჭართათვის კარგი ქარვასლა
აღევო, იქ ქართველ ვაჭრებს ვაჭრობა მოეწყოთ და ქართვე-
ლთა და ევროპიელთ ვაჭრებსა და აღებ-მიკემის შუა კარგი
განწყობილება დაარსებულიყოს, ამისთვის ხომ ამათს წესტუ-
ბაც ჰქონდა დაწერილი.

ქართველ კათოლიკობა კარგის ენერგიით მისდევდნ ვა-
ჭრობას, ვაჭრობას ქართველ კათოლიკ მოქალაქეთ გარეშე
თვით აზნაურის შვილებიც ეკედლებოდნენ, საქმე ისე მოეწყო,
რომ XVIII საუკუნის ნახევარს, მთელს თფილის, გორს, ქუ-
თაისს, ახალციხეს და სხვაგანაც ქართველ კათოლიკენი
მთლიად ვაჭრებითა და ხელოსნებათ გახდნენ, ამ დარგს მოე-
წყვენენ. ასეთ ვაჭართა და ხელოსანთა სიმრავლეს და აღებ

მიცემას ძრიელ აწუხედა საქართველოს მწარე სუბადი, მტე-
რთვან ხშირი თავ-დასხმა, ოხრები და საფაროების დაცემა;
გარდა ასეთის უძლიურებისა, რაღაც უძლიურების გამო, ქა-
რთველ კათოლიკურთა გვარის ვაჭრებთა შორის სხვა და სხვა
ოჯახის წევრნიც ისპობოლნენ ადვილად, ზოგნიაქი იქ უცხო
ქვეყნებში განბნევით და ზოგნიც სიკვდილით. სამწუხაროდ
ძრიელ ბევრ ოჯახის წევრთა გვარები მოსპო როგორც თვი
ლისში, ისევ გორში და ბევრიც კიდევ სხვაგან. ქართველ ჭ-
თოლიკებში თუ როგორუნდა ყოფილიყოს დველადგანვე გა-
ნცხოველებული ვაჭრობის აღვება-მიცემა, ეს იქიდამაც კარგად
სჩანს, რომ XVIII საუკუნის შემდეგიდამ, საქართველოსა და
ინგლისის ვაჭრობის გზაზედ თვალთ საჩინონი იყვნენ ვაჭრობი
გრიგორ ხურსიძეინიასლოვე და სტეფანე ჭუბალაშვილი.

გ. ხურსიძე ინტოეთში დასახლდა, რე ვაჭრობდა, მიღუ-
ანების ჰატრონი გახდა, იქავ თარიღის შვილიდა და 1829 წ.
მიიცვალა. მის ქონება დაშთად მის შვილებს, დუღით ან ლო-
გოებს და მასთან ანდერძის წერილიც, ვრცელი, ინგლისურ
ენაზედ დაწერილი და დამტკიცბული კალკუტის მთავარ ნა-
ტარიუსისაგან. ნახეთ ამასედ მათი ვაზრის წიგნი. *) სტეფანე
ჭუბალაშვილიც თანამედროვე პირია ფიფა ხურსიძისა და იგიც
ჭუბალაშვილებში ცნობილ პირიად ითვლება, ინტოეთში რა-
მდენ გზისმეტყო ნავალი ვაჭრობისთვის, უკანასკნელ სამუ-
ხამოთ იქ გვიდასახლდა, საქართველოში აღარ დაბრუნდა,
იქვე გარდამცვალა. ამათ გარდა არიან იდევ სხვა ვაჭრებიც
ქართველ კათოლიკურთა გვარისანი, რომელთა უმეტეს, ნაწილი
ზოგნი XVII-XVIII საუკუნეებში ასმალეთის ქალაქებში გადა-
სხლებულია, ხოჯი სტანსეტს, აზის სხვა და სხვა კუთხეებში,
ევროპას და აფრიკა შორეულის ქვეყნებშიც. ასეთ ვაჭართა,
ხელოსანთა და მრეწველთა სტარია ჩვენთვის არ უნდა იქმნეს

*) ისტორია ხურსიძის—ისრალოვის ფარისა თაფ. 1904 წ.

უმნიშვნელო, ხოლო მათი ხსოვნაკი უამთავითარების გამო მიკარგულან, მივიწყებულან. დღეს ჩვენ მათი აღარაფერი ვიცით. ინდოეთს ზემოხსენებულ პირებს გარდა იმავ დროს სხვა ქართველ კათოლიკ ვაჟარნიც ყოფილან, მაგრამ მათი ცნობა და ცოდნა დღეს აღარავის აქვს.

აწინდელ ქართველ კათოლიკეთ ვაჟართ, მრეწველთა და ხელოსანთა ასეთი წარსული აქვსთ. რადგანაც ჩვენ ამის შესახებ აქა იქ ხშირად გვისაუბრია, ამიტომ ამაზედ და ამ საქმეთა განვითარების და გავრცელების მიზეზების შესახებ არას ვიტყვით. მოვიყვანთ მხოლოდ აწინდელ ხელოვან აღებ-მიმუემთ პირებთა ცნობებს და თვით ეს გამოაჩენს, თუ იგინი რამდენად საყურადღებონი უნდა იყვნენ ჩვენთვის და თან მისაბაძნი. ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ესედ მცირე რიცხვ ქართველ კათოლიკებში ამდენ მოხელეთა, აღებ-მიმუემთა, ხელოსანთა და მრეწველთ ნიადაგია ინიმტკიცებული და მასთან ესიც საყურადღებოა, რომ მათ კარგი ენერგია და გამჭრიუხობაც ჰქონდეს, თიოქვეს იგინი ქართველ გვარის წევრთკი არ ეკუთვნიან, თვითქოს მათში ესეთი ნარუქი რაღაც განსაკუთრებულს მიმზიდველობას უნდა აღმოვცენებინა. ეს რასაკვირველია ასეც გახლავსთ და მათში ყოველივე აღმოაცენა საღმვდელოების ენერგიაში, მათმა ზრუნვამ, მოქმედობამ და მრევლის პატრონობამ.

საღი ლოლიკაც ამას გვასწავლის, მიეცით ხალხს კარგი პატრონი, გულ შემატკიცარი მოძლვარი, მათი მთარველი, გზის მაჩვენებელი, პატრონი და ცხადი საქმეა, რომ თვით მრევლიც სანაქებო გზას დადგება, ჩინებულ ხალხად გადაიქცევა. ქართულად ამაზეა ნათქვამი: — „როგორიც მღვდელია, ისეთია შრევლით“ — კათოლიკები ასე ასრულებდენ ამას, როგორიც პატრიციუმ ერიც ისეთი ღყუთ. ჩვენშიკი ასე იცოდნენ: — „როგორიც მღვდელია, ასეთიც ერიო“, ემ თას თქმულებათა შორის დიდი საზღვარი სძევს და სწორედ ამის მიზეზია, რომ ქართველ ტომის შველნი ერთმანერთს ვაჭრო-

ბის ცოდნის მხრით ასე დაშორდნენ. ძველ ქართველ კათოლიკურთა ვაჭართ გვარების მოგონებით თავს არავის შევაწყენთ, ვიტყვითკი იმას, რომ თფილისში, ერთ დროს დიტათ სახელოვნებდენ ვაჭრობით ქართველ კათოლიკ ზარაფიშვილები, სოვლაგრები, ქარვასლის პატრონები, მელიქისშვილები, ზუბალაშვილები, ისრალოვები, ნართაშვილები, ფიბუაშვილები, აღამალაშვილები, იზმირელები, მიზანდარი, ყანდინაშვილები, ჩიგიანი, და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვანი.

დღეს თბილისში ამათ მეათედის გვარებიც აღარ არის დაშენილი. გორში იყვნენ ალპაპაშვილები, დავრიშაშვილები, ჩაიგუშტიშვილები, ჭარუაშვილები და ვინ იცის კიდევ რამდენიც სხვანი ამ გვარნი. ასევე იყვნენ ახალციხეს, არტანს, ბათუმს, ქუთაისს და სხვაგანაც, დღეს ყველგან ამ გვართ შთამომავალნი საკმარისად იშვიათობდენ. მაშინდელ ქართველ კათოლიკეთ შორის საკმარისად სახელოვნებენ შემდეგ გვარის ოჯახთ წევრთა აღებ მიცემის საქმენი და თვით მწარმოებელთა და მომქმედთა გონებრივი ლირსებაც, ამათ ანუსსვა ჩვენ აქ მით უფრო გვინდა, რაღანაც მით შეიძლება ქართველთ ვაჭართა და მრეწველთა წინაშე წმინდად აღმზრდელური, ანუ მისაბაძი მნიშვნელობა მიეცეს. მათ დროისკვალად მათშიაც ბევრი სანაქებო და თან მეტად აღმატებული თვისებანი სუფევდა და თან დიდათაც მისაბაძი.

თფილისში კათოლიკებს აქვნდათ ყველა საქონლის მაღაზიები, ზარაფების რიცხვი თფილისში იყო რამდენიმე და აქვნდათ ზარაფხანებიც. კათოლიკეთშვილებს აქვნდათ სხვა და სხვა ქარვასლები. და სავაჭროები ყველაფრის.

ფიბუაანთ და ნარუაანთ აქვნდათ საფეიქროები და ხალების სავაჭროები.

სამთლის და საპნის ქარხნები აქვნდათ. ყაზაზის ქარხნები აქვნდათ თბილისში მრავლად, შალების და რიზაიშთლუების ქარხნები და სავაჭროებიც აქვნდათ. ტეატრის ქარხნები აქვნდათ მრავლად, ვაჭრობა იყო დიდი. ზარაზის ქარხნებიც აქვნდათ,

მრავლად და აღებ მიცემაც დიდი იყო. ჭონის დუქნები აქვნდათ — მრავლად, მთელი ქუჩა არსებობდა თფილისში, წამლების დუქნებიც აქვნდათ — მრავლად, ყველგან ჰყიდდენ ამათს წამლებს, ქალალდის დუქნებიც აქვნდათ. ზეთის ქარხანებიც იყო მრავლად, არსებობდა თვით დედოფლის დარეჯანისაც. შებუღენიცა იყვნენ თფილისს, მეფუნთუშენი. მესათენიც იყვნენ კათოლიკეთაგანი, ევროპას ნასწავლნი. შეჭურჭელებიც იყვნენ და საქართველოშიც გამოჰყვანდათ ჭურჭელი. ფქრომჭედელიც იყვნენ მრავლად და ბევრნი ქებულნიც.

სოველაგართა და სხვათა ამ გვართა ოცხვიც ერთობ დიდი იყო. მათ კაი გასავალი ჰქონდათ თფილისში, დიდი ხმა. მათში იტალიაში ნასწავლი კარგი მხატვრებიც ერივნენ. თფილისს გეგმის დამხატველნი და ბევრნაირად ცნობილნი. ყველა ესენი იყვნენ ქართველ გვარის კათოლიკენი, ძირეულად თფილისში მცხოვრებნი და მხედ სამღვდელოების წარმატების გზაზე დამდგარნი. სამწუხაროდ, დღეს მათი ოცხვის აღარც მეასედია. ყოველივე უამთა ვითარების წყალობით მოისპო და განქრა, ზოგნი გრიგორიანებს, შეუერთდენ,

XVIII საუკუნის ნახევრამდე, ქართველთ მეფობის დროს, ქართველთ გვარის კათოლიკე ვაჭრები და მრეწველნი თფილისში მრავლად იყვნენ მოფენილნი. ჩვენ აქ ვასახელებთ მხოლოდ ჭოგი ერთ გვარებს, რომელნიც წარმატებით იყვნენ მოსილნი.

ზუბალაშვილები: ანდრია, ივანე, მერაბი, გიორგი, სტეფანე ინდოეთს მომკვდარი და სხვა.

ხურსიძეები. ლუკა, გრიგოლი, შემდეგ დროს ინდოეთს მომკვდარი და სხვანი.

ჩაგანთვეები. აზნაურები და მასთან ვაჭრობით გამოზღილნი, ნებიერიძენი. თფილისის მოქალაქენი და აზნაურის შვილნი მეფესთან დაახლოვებულნი კარგად.

ფიბუაშვილები. ძევლნი ვაჭარნი და ცნობილნი ევროპაშიაც მდგავრობდნენ. იყვნენ იტლიას, ფრანციას და ოსმა-

ლეთს. დღეს ამგვარის აღარავინ არის, მოისპო მფლად.

ჩარუაშვილები. გამოჩენილნი ვაჭარნი და ცნობილნი ძველადგანვე მეფეთა წინაშე. დღეს კათოლიკე არავინ არის.

ალიბეგიშვილები. ძველადგანვე განთქმულნი ვაჭრები და ცნობილნი მეფეთა წინაშე თვით XVII საუკუნის ნახევრიდამ.

დანიბეგაშვილები, დანიბეგოვი ძველადგანვე გააზნაურებულნი და ცნობილნი, დიდი ნდობა აქვნდათ მეფე ერეკლეს წინაშე, მიტომ რაფიელ დანიბეგოვი ინდოეთში იქმნა გაგზავნილი, ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საქართველოს შესახებ.

შადინაშვილები. ძველნი ვაჭარნი, თფილისელნი, კათოლიკების ძველადვე დაკავშირებულნი. დღეს აღარავინ არის. მგზაურობის სპარსეთს და ინდოეთსაც.

შიომერზაშვილები. კათოლიკენი ძველადგანვე ცნობილი ვაჭარნი.

ხოჯას ხამინაშვილები. ძველის ძველ კათოლიკენი და განთქმულნი ვაჭარნი თფილისში.

მირაქაშვილები. ძველადვე გაკათოლიკებულნი, გამოჩენილი ვაჭრები და სპარსეთს და სამარგეთს მავალნი.

ოქრიაშვილები. ძველადგანვე გაურანგებულინი და გამოჩენილი ვაჭრები თფილისში.

ექტახი. თფილისელნი, ვაჭრები, კათოლიკენი, მცხეთის საპატირიარქო ტაძრის ყმანი.

შევეროშვილები. კათოლიკენი და თფილისში მოულად მცხოვრებნი ვაჭრები, დღეს აღარავინ არის.

შაშუქაშვილები. კათოლიკენი ძველადგანვე და განთქმული ვაჭრები.

საყარაშვილები. თფილისელნი მოქალაქენი, ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და განთქმულნი ვაჭარნი ფარჩეულობით და შალებით.

დავითიშვილები. თფილისელნი ძველნი კათოლიკენი და კი შეძლებულნი ვაჭრები იყვნენ. სტამბოლიდამ შემოჰქო-

ნდათ სახერხაო და საღურგლო იარაღები.

ბეჭანიშვილები. ძველადვე გაფრანგებულნი და კაი ვა გრები. XVIII საუკ.

თამამშაანი. კათოლიკობას დაკავშირებულნი. გამოჩენილი ფაქტარნი XVIII საუკ. მოვაჭრენი ძაფეულობით და ჩითებით. მგზავრობდენ უცხო ქვეყნებშიც. როსტომ თამამშოვი ცნობილი ვაჭარი, XIX საუკ. მოესწრო. დღეს თამამშოვის კათოლიკენი აღმოჩენი არის, მოისპენ.

გრიგოლაშვილები. მდიდარი ვაჭრები და მავალნი რუსეთშიაც ვაჭრობისთვის.

ჯმირაშვილები. ძველადგანვე დაკავშირებულნი და განთქმულნი სპარსეთში ვაჭრობისთვის.

ქარუმიშვილები. ქარუმოვნი ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. დღეს კათოლიკუთაგანიაღარავინ არის.

თუმანიშვილები. ძველადგანვე განთქმულნი ვაჭრობით. მოქალაქენი, ზოგიც თავიდის და აზნაურის შვილნეც.

ღიანედარაშვილები. დილმელები, ძველადგან დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და ვაჭრობით ცნობილნი.

ნარამანიანი. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და ცნობილნი ვაჭრობით.

ჩარახჩიანები. ჯავახეთიდგან მოსულნი და მოვაჭრენი თფილის და განთქმულნი. XVIII საუკუნის ბოლოს აღებ მიცემით.

ქამიაშვილები. ძველნი ვაჭარნი. დღეს აღმოჩენ არის.

წინიაშვილები. ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და ცნობილნი ვაჭრობით.

ყაზბეგიანი. ძველად დაკავშირებულნი კათოლიკობასთან, დაწინაურებული ვაჭრობით.

შავდიაშვილები. თფილისელნი, კათოლიკენი და გამოზღიულნი ვაჭარნი და მოგზაურნი ვაჭრობისთვის სხვა სახელმწიფო ში.

ქვაბიაშვილი. კათოლიკენი ცნობილნი ვაჭარნი. თავის დროს.

დაჩინაშვილები. განთქმულნი ვაჭარნი და შეძლებულნი პირნი XVIII საუკუნეებში.

მომზადან. ძველის ძველი ვაჭარნი, შეძლებულნი და დაცემულნი ქონებით 1795 წ. უბედურობის გამო.

ბადინახი. ძველნი ვაჭარნი, კათოლიკენი დაცემულნი, ამავ შემთხვევის გამო.

ტეშმიფანი. ამ გვარის წევრნი კათოლიკობასთან დაკავშირებულნი დაცემულ იქმნენ ვაჭრობის მხრივ XVIII საუკ. ბოლოს.

ტერ-სააკონგრაფი. კათოლიკენი, ძველნი ვაჭარნი. XIX საუკ. დამდეგს ამ გვარის კათოლიკენი მოისპენ თფილისს.

კრბახიძენი. ახლად გაფრანგებულნი და ვაჭრობის გზაზედ დამდგარი. XVIII საუკ.

საპონჯანაშვილები. ძველად გაფრანგებულნი და ცნობილნი ვაჭარნი და ზეთის მხდელნი თფილისში.

ბაინდურაშვილები. იძერეთის ბაინდურაშვილების არ იფიქროთ, ესენი თფილისის მოქალაქენი არიან, ძველადგანვე განთქმული ვაჭრობით, კათოლიკენი სადღეისოთ მოისპენ.

ჩალბანდოვები. ძველნი ვაჭარნი თბილისში. ვაჭრობდნენ წვრილმანთ საქონლით.

ჯიშშეროვები. ჯავახეთილგან გადმოსულნი და ცნობილნი ვაჭარნი.

ჟაფბეგაშვილი. ყაიბეგოვი, ძველადგანვე განთქმული. ვაჭარნი თევზეულობით.

იზმიროვები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და ცნობილი ვაჭარნი დღეს არავინ არის.

გარლაშისშვილები. ახალციხიდამ მოსულნი თფილისს და დასახლებულნი ძველადგანვე, ძველადგანვე ყაზაზობით განთქმულნი, დღეს აღარვინ არის ამ გვარის.

ლაზარესშვილები. კათოლიკენი, მეთოკე და მელაზლენი. განთქმულნი ვაჭრები აღარავინ დარჩა.

მესამთლეშვილები. კათოლიკენი, ძველადგანვე მართლაც მესამთლენი და თფილისში განთქმულნი, აქვნდათ სამთლის

სასხმელი ქარხანაც რამდენიმე ალაგას.

ნანიაშვილები. კათოლიკენი, მდიდარი ვაჭრები დაცემული იქნენ 1795 წ.

თოროზაშვილი. ჰავლაბრელნი, კარგი ვაჭრები. მოისპენ კათოლიკის სჯულით თფილისში.

თორმანთვები. განთქმულნი ვაჭრები, მეუე ერეკლის წინაშე ცნობილნი წამლების გაყიდვით. დღეს არ ვიცით თფილისში არის კიდევ ვინმე თუ აღარ ამ გვარის.

შეკგიჯაშვილები. ძველნი კათოლიკენი. XVII საუკ. გამდიდრებულნი ვაჭრობით. ამ გვარის წევრნი ზოგნი სომხებიც იყვნენ. კათოლიკებს თფილისში დიდი წმა აქვნდათ.

ანტონაშვილები. იყვნენ გამოჩენილი ვაჭრები და ბაზაზნი.

შიზანდარი. იყვნენ რამდენიმე წევრნი მეფე გიორგის დროს და ცნობილნი ვაჭრები.

ზარაფიშვილები. მდიდარნი ძველადგანვე და დიდი აღებ მიცემის მქონი თფილისში. დღეს ამ გვარის კათოლიკეთ რიცხვი ერთობ მცირეა თფილისში.

გალუსტაშვილები. ძველნი ვაჭარნი და გამოჩენილნი გვარნი.

მურადაშვილები. ძველნი ვაჭარნი და გამოჩენილნი.

უმიკაშვილები. ძველი ძველ მოქალაქე ვაჭრები. ამ გვარის წევრნი ზოგნი სომეხნიც არიან.

უზანაშვილები. ძველებულნი ვაჭარნი, ძველადგანვე და კავშირებულნი კათოლიკობასთან, დღეს კათოლიკ ყუზანაშვილები აღარავინ არის ვგონებ გასომეხდენ XVIII საუკუნის ნახევარს, როცა თეიმურაზმა სდევნა კათოლიკენი 1756 წ.

აღმურაშვილები, ძველნი ვაჭარნი და ცნობილნი მეფეების წინაშე ამათ მომდევარნი უნდა იყვნენ დღევანდელი აღმუროვები.

უზაზაშვილები. ძველნი ვაჭარნი გასომეხდენ 1752 წ.

ფინდუაშვილები, ძველადვე გამოჩენილნი ვაჭარნი, გასომეხდენ 1751 წ. დღეს ფონდოვენ.

ჩითახაშვილები. შეძლებულნი ვაჭარნი თფილისელნი. გასომეხდენ 1756 წ. და მრავალიც სხვანი. ყველას ვერ მოფ-

სთვლით. უნდა მოგახსენოთ, რომ XVIII საუკუნეში, თფილისში კათოლიკეთა მოქალაქენი და გლეხნი მრავლად იყვნენ, უცელას ვაჭრობა და ხელოსნობა ეკავათ. ამათ უმეტესი ნაწილი სადღესოდ მოისპო. თფილისში დიდათ შემცირდენ ესენი. მიზეზი შემცირებისა გახლდათ პირველი ის რომ 1751 წ. მეფე თეიმურაზის ბრძანებით კათოლიკენი სლევნეს სასტიკათ, ცხვირებსაც უსერიფდენ და ამიტომ მრავალნი კათოლიკობრი დამ სომხობაზეც გადავიდნენ. მეორე: მათი გვარის წევრთა რიცხვი არ შესდგებოდა დიდის რიცხვისაგან. 1795 წ. სასტიკათ ავნო და მოსპო. აქა იქ მგზაურობაც ხშირად ცურდნენ. ვაჭრობისთვის უშორეს ქვეყნებშიც კი მიდობადნენ. აი ეს გარემოებანთც კახეთისად უმთავრესად ქართვულ კათოლიკება რიცხვის შოსწობისა თფილისში.

ჩვენგან დასახელებულ გვარებიდამაც შეითხველი ცხადათ დაწმუნდება შასზედ. თუ ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობას რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თფილისში. თფილისში უოველთვის იყო მცხოვრებთ რიცხვში 80 ათასი სული და შაშსადამე თფილისის სომები ვაჭრებთან ერთად არც კათოლიკეთა რიცხვი იქმნებოდა შეირე. უცელა ამაებიდამ კარგად სჩანს, რომ თფილისში, მათ დროს, ვაჭრობა გახალებული იქმნებოდა. ქართველ კათოლიკ ვაჭრები ერივნებ კველა იშვიათ საქონელთა ვაჭრებშიაცი. თითქმის არ იყო არც ერთი სანივთე მაღაზია და რამის ქარხანა, რომ იგი კათოლიკებს არა ჰყავებოდათ ხელში. ამიტომაც უფრო იყვნენ იგინი ქებულნი წამხაღისებელნიცი, ამათ აქვნდათ თფილისში უმეტესად ინდუსტრია, სპარსეთის, ასმალეთის და ქუროპიელთ საქონელიც სმირნად შემოვჭონდთ შავი ზღვით.

შეიძლება აქ, ბეჭრი რამ ძველად გამოჩენილ ვაჭრებთა გვარები ვერ მოვიჩინეთ, უინ იცის, უაშისობა არ შეიძლება, მაინც ჩვენს გარემოებაში მუოფი კაუ უცელას ვერ შეკრუბს. თუ ვინმე ასეთ რამე ნაკადს შენიშნავს, დიდათ ჭავჭავალებს, თუ ის ჩვენ შესავსებელ გვარებს და მათ ცნობებს დაგუმშენებს

და მოგვაწვდის. ეს მეტად კარგი საქმე იქმნება და მით შეიძლება ბევრი რამ იშვიათი მასალებიც შეიკრიბოს და ურ და-ივარგონ, გაცოცხლდენ. ამიტომ ჭითხოვთ მოტოვებას.

ზარაფნი — მათი არსებობა ძველიდ — უცხოეთში მკა-
ვრობა და ოქრო — ჟერცხლის და თვალი — მარგალიტის
მფარველობა თურილისში.

საქართველოში ქართველთ შორის, ძველადგან ფულის
ბანკები არ იყო. ამის სსენებაც არ იცოდნენ. არ იყო ბანკე-
ბი სადაც შეიძლებოდა ფულის შეტანა და შენახვა სარგე-
ბლით, საურთიერთო ნდობის ბანკებიც არ იცოდნენ.

მამულების დასაგირავებელი ბანკებიც არსავ იყო
თუ რამ გირავლებოდა, ყოველივე კერძო კაცთა ხელში
უნდა დაგირავებულიყო, ვისაც მამული ჰქონდა დასაგირავე-
ბელი, ანუ ოქრო, ვერცხლი, ყოველივე უცხო, ანუ კერძო
პირთა ხელში მრავლდებოდა; გირავნობისათვის სარგებელიც
იყო დაღვენილი, ამათ წესები, ქართულ საკანონმდებლო წი-
გნებშიაც მოიხსენება, დიდი სარგებლის ამდები შეიჩვენე-
ბოდა ფულესის მამათა წესებით და სახელმწიფო წესებიც
სასტიკად სჯიდა.

ფულის გატივრება ძველად იშვიათი იყო, არ იყო ხშირად
ისეთი რამ შემთხვევები, რომ ფული ვისმეს გასტირებოდა.
მიზეზები ამის იმაში იფარებოდა, რომ ნივთზედ ნივთის გა-
ცვლას დიდი მაზანდა ჰქონდა, კი გასავალი, ამგაცვლისთვის მა-
თში არც ეშმაკობა არსებობდა და არც ჩარჩობა ყოველიშე
იაფი იყო. რადგანაც აქ სიტყვამ სიაფე მოიტანა, ამიტომ
ვიტყვით ძველ ხორაგთა და ნივთთა მაზანდასაც, თუმც ყოვე-

ლივე ფულით ფასობდა, მაგრამ მრავალ ალაგას ფჯლზედ კი არ იყიდებოდა, არამედ ნივთზედ ინაცვლებოდა.

კოდი ორ აბაზად პური იყო. კოდი აბაზათ ქერი, სი-
მინდიც ასევე. ბრინჯიც იაფი. ფუთი 40 კაპ. ფეტვი და სხვა
ასეთნიც იაფად.

თევზეულობა: ზუთხი ლიტრა 40 კაპ. ლოქოც ასე.
ხმელი თევზეულობაც ძრიელ იაფი, გირვანქა 3 კაპ. ზეით არ
ავიდოდა, დროს მოსავალი თევზიც იაფი იყო, ანუ გელაქნური
და სხვანი. ხიზირიალაც იაფი, ლიტრა 50 კაპ.

ღვინო, კახური ჩაფი ორი აბაზი, ქართლისა აბაზი, სხვა
და სხვა კუთხეებშიაც ასევე. არაყიც იაფი, თუნგი 25 კაპ.
30 კაპ. ჭაჭის, 53 გრადუსიანი, ხილის არაყი, ფეტვის, ქერის
და სიმინდის ერთობ იაფათ იყო.

ნართი იყო იაფი, შესაფერად, ზომიერ ფასად ყველას
ეცვა ჩოხა, ქალამანი, ჩუსტი და წალა.

მართალია ფული ძვირი იყო, მაგრამ ყოველივე იაფი
იყო, მშიერი არავინ იყო, აწინდელი ბოსიაკების მსგავსი მაშინ
სახსენებლათაც არ იყო. ანუ, ახლანდურათ ცუდათ მოსიარუ-
ლე და მშიერ ახალ გაზრდებს და ხელოსნებს ვერავინ ნახავდა:
ყოველივე მაძლარი იყო.

საქართველოში როგორც ქალაქ ადგილებს, ისე დაბებსა
მა სოფლებში სახლი ქირით არ იცოდენ. სახლის დამქირავებელი
კაცი რომ ენახათ სატმე, ის მათ ერთობ გაუკვირდებოდათ.
ავი იყო თუ კაი ყველას თავის ქოხი ჰქონდა, მიწა მღვითისა-
გან გაჩენილი თუმცა პატრონების იყო, მაგრამ მოსახლეობის-
თვისკი იგი უფასო იყო. ამიტომ მაშინ ეხლანდურათ ქირა
არავის აწუხებდა, თუმცა გალაქული პოლიანისახლები არსად
იყო და ქალალდ გაკრულები, მაგრამ რაც იყო და იყო,
იგი მაინც იყო შემლავათებული ყოველის არსებისა, ქირის
გადახდისთვის არავინ შესწუხდებოდა. თვეების მომავალი ეხლა-
ნდურად გულს არავის შეულონებდა.

არა სოქვათ, რომ ვითომეც მე გატაცებული ვიყო ძველის
ცხოვრების წერით, არა, მე მაგალითს მოგახსენებო, აწონ
დაწონვა თქვენი საჭმე გახლდესთ, აქ ესენი მე მით უფრო
მოვიყანე, რომ მით დამესაბუთებინა ქართველთ ძველი უე-
შმაკო ურთი-ერთობა. ქურდი ანუ მპარავი სასტიკათ იდევნე-
ბოდა და მეორე მის გაგონება საქართველოში დიდი სირცხვი-
ლიც იყო. ყველა ესენი ერზედ ისედ პირობებს ჰფარგლავდა
და ისე მოსავდა, რითაც ხალხში ფული დიდს მოთხოვნილებას
არ შეაღენდა.

შრომის, ხორავის და ნივთების გაცვლის წყალობით ყვე-
ლა გამძლარი იყო, ნივთი ნივთზედ იცვლებოდა ფასის შეფე-
რებით, ისევე საქონელი, ცხოველი, სულადი და ყოველივე
არა სულადიც. ამით ერთმანეთს არავინ მოატყუილებდა, სა-
დაც ესეთი გაცვლა-გამოცვლა არ იყო იქ ფული მუშაობდა
და ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ დროს, ერთიც მღვაობდა
და შეორეც გარდა თავად-აზნაურების და ვაჭრების.

სოფლის ხალხს ჩრთეულობა და სოფლისთვის საჭიროე-
ბანი ქალაქის ვაჭრებთაგან ნისიათ გიპერნდათ, წლის თავზედ
ისინიც ამათ აძლევდენ მოსავალს: პურს, ლვინოს, ქერს, ხილს,
ყველს, ერბოს და ასეთებს. ამის წესები ჩვენში ძველადგან
დღემდეცა არის დაშთენილი. წინეთ ესეთი წესების კანონების
რიგი იყო, ერთი-მეორეს ვერაფრით ვერ მოატყუილებდა.
ეხლაკი ყოველივე ბრძოლით შეიმოსა. გარდა არსებობის
ახალს ძველთან არაფერი ნათესაობა აქვს.

თუმც ეს ასე იყო, მაგრამ მაინც ვაჭართათვის აღებ-მი-
ცემაში ფული საჭირო იყო, ნამეტურ ვერცხლის და ოქროს
სხვა და სხვა საქონლის სყიდვის და შემოტანის დროს. ამი-
ტომ ასეთ ვაჭართათვის და სხვათათვისაც არსებობდენ ზარა-
ფები და ზარაფხანები. თვით ეს სიტყვა არის სპარსული. ერთი
რა ერთი ძველადგან ასე მიულიათ ქართველთ და ავიტომ წვენც
აქ ასე ვხმარობთ ე. ი. ზარაფხანები

ადრე ბ. ანტონ ფურცელაძემაც შენიშნა: *) და დღეს
ჩვენც ვიტყვით, რომ, ძველად ქართველთ შორის ზარაფნი
არ იყვნენ მარტოდ ზარაფნი, არამედ იგინი იყვნენ ბანკირებიც,
მაშინდელი მომგირავნენი ესენი იყვნენ, იგინი იყვნენ ჩვენი
ბანკირებიცა და კასებიცა. ყოველივე მათს ხელში მიღიოდა,
მათ ხელში უნდა გაევლო. ამიტომ ზარაფებს ჩვენში ძველა-
დგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და გავლენა. იგინი მრა-
ვლობდენ ქალაქ ალაგებში. ზარაფობა ერთის თაობისაგან მე-
ორები ხელში გადადიოდა, ანუ მამისაგან შვილზედ, შვილისა-
გან შვილის-შვილზედ და ასე და ამ გვარად მთელი საუკუნის
განმავლობაში ზარაფობა ერთ გვარის წევრთ ეკავათ. ამიტომ მა-
თში ეს ხელობა, ანუ ზარაფობა უფრო კარგად ვითარდებოდა
და გარდა ამისა ზარაფებს მოგებაც ხელში უვროვდებოდათ,
უკანასკნელ სიმდიდრითაც გამოჩენილები ხდებოდნენ. ძველად
საქართველოში ზარიფები განთქმულ იყვნენ შეძლებით. მთელს
თფილისში განთქმულ იყვნენ ძველის ძველადგანეე ზარაფები:
აბულიშვილები, მომზიაშვილები, ზარაფისშვილები და სხვანი,
აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა ეს ზარაფნი ქართველ
გვარის კათოლიკენი იყვნენ. სადღეისოდ მათის შთამომავლობის
თფილისში აღარვინ დაშა. ძოიპო ეს გვარნი თფილისში.
სხენებულ გვართა წევრთ გარდა სხვა გვარის კაცნიც იყვნენ
ზარაფებით, მაგრამ ჩვენ მათი ცნობ არა გვაქვს, ხოლო ისკი
ვიცით, რომ მათი რიცხვი ყოველთვის დიდი ყოფილა და
შეძლებულნიც. ამის ნიშანი გახლავს თვით ის გარემოებაც, რომ
თფილისში **IX** საუკუნეში, ზარაფთა შთამომავალის ერთის
გვარი ზარაუკი გახლდათ.

ჩვენებურმა ზარაფებმა ყოველთვის კარგად იცოდენ აქრო
ვერცხლის წონა და მისი ფასი; ე. ი. მაზანდა საყოველთაოდ
თავთავის დროის კვალად. ამას გარდა იცოდენ ყველა აღმო-
სავლეთის ერთა და ხელმწიფეთა ფულები, როგორც ახალ
დროის ისევე ძველის დროის, გარდა ამის იცოდენ ქართული
ძველი და ახალი ფულებიც და მათი სინამდვილე და შესაფე-
რი ფასი. ყალბი ფულის მოჭრა ჩვენში ჭაჭანებათ არ იყო.

*) ბანკები და მათი მნიშვნელობა. 1884 წ. თფ

ყოველი ზარაფის სახლი და საწყობა რამდენათაც იყო ზარაფხანის მინაგვარი დაწესეპულება, იმაზედ მეტი იყო მუშა ზეუმის მსგავსი მოწყობაცა, რაღაცანაც აქ თქვენ ნახავდათ ბევრს. ანტიკა ძველსფულებს, და მასთან ოქროს ნივთებსაცა. ერთის სიტყვით, ძველი ქართველი ზარაფი რამდენათაც ბანკირი იყო და მსესხებელი გამგე სარგებელით, იმდენათვე იგი იყო ნუმიზმატიკიც. ზარაფთა ასეთი ვითარება ჩვენმა მეჯეებმაც კარგად იცოდნენ, ამიტომ მათ ზარაფნი ყოველთვის დიდ წრობასა და პატივში ჰყვანდათ.

ზარაფნი თუ რამდენად მნიშვნელოვან ზარისხს ასრულებდნენ თავის დროს, ესა სხანს იქიდამცა, რომ თევით სამეფო ფულის საჭრელი ქარხანა და ფულის შესნახი სახლიცვი ზარაფხანად იწოდებოდა და აქ ხშირად თვით ზარაფნიც იყვნენ ხოლმე მიწვეულნი ნაშალის და ფულის შლის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ ზარაფთა ჯილდო ფულის შლის და ნაშლის გამო ერთობ მცირე იყო. უბრალო რამ ფასი იცოდნენ, კაცი რისაც იმდროს ადგილად ვერსად დაახურდავებდა, გინდნაშლის ფასი ერთი ათად გადაეხადნა, იმას ზარაფთან უბრალო ფასად დაახურდავებდა. ზარაფთა წესი ჩვენს დროშიაც ისევე იყო და იგინი თუ ახურდავებდენ რამეს, რუსულ მანათში კაჭეის იღებდენ, თუმანში შაურს და ასე და ამგვარად.

ჩვენი მეფეების დროს, ზარაფებს აქვთდათ ისეთი შნო და მოხერხება, რითაც საქართველოში იგინი უფლებას ღებულობდენ და აზის ყველა სახელმწიფოებში ქართულს ფულებს თავისუფლად სცვლიდენ და ახურდავებდნენ სხვა-და-სხვა ტომთა ფულებზედაც. ამის წარმოება მათში ისე იყო გავრცელებული. რაის გამოც მათ ხშირად უხდებოდათ მგზავრობა სპარსეთს, ასმალეთს და მოგროვილ ფულების გადაცვლა, გასაღება, რაც მათგან შრომასაც ითხოვდა.

ზარაფებმა შუაკაცობა და თავდებობაც იცოდენ, ძნელად, რომ ამათგან მოგირავნის რამე გაყიდულიყოს; ეს შეუძლებე-

ლი იყო და არ საქნელი, საგირავნო საქმეებში თუ ზარაფი ერია მაშინ ყოველივე მშვიდობით გათავდებოდა, აქ არავინ რას იზარალებდა და წააგებდა, ამიტომაც იყო, რომ ძველად ზარაფების შუაკაცობას ყველა ნატრობდა. იგინი მცოდნე პირებად მიაჩნდათ ასეთ საქმეებში და მართლაცა და იგინი მცოდნენიც იყვნენ.

მათგან არავის რა წაერთმეოდა ჯარიმად მის გამო, რომ დროზედ ვალივერ გადაეხადნა. სარგებელს ერთი ორად ვერავის გამოართმევდენ, ასეთს უსამართლო საქმეებს ყველთვის ერიდებოდნენ, მიტომც მოხდა, რომ ზარაფებმა ძველადგანვე ისახელეს თავი და კაი შეძლების, აღებ-მიცემის და ენების ცოდნის გარეშე იგინივე იყვნენ ქებულნი შუა კაცნი. მაშვალნი და შუამავალნიც. ფულის დახურდავების, გაცვლა-გამოცვლის და ასეთ საქმეთა შუა კაცობა მათ ევალებოდათ თვით მეფეთაგან. ზარაფი უსათუოდ წიგნის მცოდნე უნდა ყოფილიყოს, უამისობა მისი არ შეიძლებოდა. XVIII საუკუნეში, საქართველოში, მეტად კარგი ადგილი ეკავათ. იგინი თვალთ საჩენს მნიშვნელობას იჩენდენ ყველა საქმესა და ნაწილში.

ზარაფნი თავიანთ ხელობის ცოდნის გარეშე ვაჭრობაშიც კარგად იყვნენ დახელოვნებულნი, ყოველმა ზარაფმა იცოდა აღებ მიცემა, საქონლის მაზანდა და ისიც თუ როდის, რაფერად სად როგორი ნივთი ფასობდა. ეს მათთვის საჭიროც იყო, რაღანაც ხშირად იყო რომ ხორაგეულობის მაზანდა ფულის მაზანდაზედაც მოქმედობდა, ხან მაღლა იწევდა ფასი და ხანკი დაბლა. ამატომ ზარაფი ერთსა და იმავე დროს ზარაფობას გარდა კაი ვაჭარიც უნდა ყოფილიყოს, ასეთი ზარაფები ან თავისით ცალკე აწარმოებდა საქმეებს, ანუ რომელიმე დიდს სოვერაგართან მიკედლებული-მიამხენავებული იქმნებოდა.

სოვერაგრებასა და ზარაფობას კაი ურთიერთ კავშირი აქვნდათ, ორივ შეძლებულ არსებობათ ითვლებოდა და ამიტომ განწყობაც აქვნდათ, ზარაფივით სოვერაგარიც მაშინ

იქმნებოდა, როგა მას საკმარისი შეძლება ექმნებოდა და ტყავის პარკები და ქილები ოქროთი სავსე. ასე და ამ გვარად რამდენადაც სოვდაგარი შეძლების პატრონი იყო და გავლენიანი, იმდენი მას მჭიდრო კავშირი აქვნდა ზარაფთან. თფილი-სში როგორც ზარაფნი მრავლობდენ, ისევე სოვდაგრებიც. სოვდაგარმაც ყოველთვის იცოდა ზარაფივით ყველა ქვეყნის აღებ-მიცემის საქმე, ოქრო-ვერცხლის მაზანდა და აქა იქ სა. ფუძვლიანად მგზავრობა. საქართველოს სამეფოს არსებობა ამათ საჭიროებდა, მიტომ იგინიც მრავლობით არსებობდენ. ჩვენი მეფობა დაეცა. სხვა წესები დაარსდა, გაიხსნი ბანკები, გაჩნდა კასები, ფულის გამსესხებულნიც, გირავნობის სხვა წესები შემოვიდა, სულ სხვა სამართალი და წესები გაჩდნენ და ამიტომ საქართველოში ზარაფობაც მოისპო, დღეს ზარაფნი სამთლით საძებარია. თფილის გარეშე, საქართველოს სხვა კუთხეებშიაც უნდა ყოფილიყვნენ ზარაფნი, მაგრამ ჩენ მათი ცნობა არა გვაქვს.

ვიცით მხოლოდ, რომ **XVIII** საუკუნეში, გორში, ქართველ კათოლიკეთა შარის ორი შეძლებული ზარაფი ყოფილა: იქმნება ამათ გარდა სხვებიც ივვნენ, მაგრამ სხვების შესახებ ჩვენ ცნობა არ გვაქვს, მარტოდ ესენიარიან მოხსენებულნი. და ამათ გვარი და სახელები ზარაფობით ქართველო მეფეთა დროის გორის ცნობილ ძველ მოქალაქეთა მოხსენების კონდაკის წიგნში. სტეფანეს შვილი და ზარაფიშვილი, ვკონებთ უკანასკნელი ნათესავი უნდა იყოს თფილისელ კათოლიკ ზარაფიშვილებისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თფილისელ ზარაფოვებიცი გორელ ქართველ კათოლიკეთ სახლი კაც მონათესავენი უნდა იყვნენ. თუ გორის კათოლიკეთაგან ზარაფთა რიცხვი ერთ დროს ორი იყო, უეჭველია სხვანიც იქნებოდენ. უეჭველია, რომ ძველად გორს გარდა ზარაფთა რიცხვი სხვა ქალაქებშიაც იქმნებოდა, თელავს, ჭილნახს და იმერეთსაც ხოშარ იკლდებოდა ზარაფობა ოსმალთა სახელმწიფოს არსებობის წყალობით. მთელს ტასავლეთს ქართველობაში ზარაფე-

ბი აქა იქ იუნენ. ასევ მრავლობდენ ახალციხეში, აქ ზარა-
ფთა რიცხვი ყოველთვის ახალციხის ქართველ კათოლიკთა-
გან შესდგებოდა და ეს ზარაფნი ხშირად მოგზაურობდენ იმდ-
რეთში. იქ ამათ გადაპქონდათ და გადმოპქონდათ ოქრი,
ვერცხლი, ფული და ყოველივეს სცვლიდენ აქა იქ საჭიროე-
ბის გამო. ქუთაისში XVIII საუკ. ზარაფთა რიცხვი თვალთ
საჩიროდ ყოფილი, იქაც საჭიროება ითხოვდა ამათ და ამიტომ
იმერეთის მეფე და ბატონიშვილებიც ახალციხურ და ქუთა-
ფურ ზარაფთაც შესაფერს პატივს აგებდენ. ზარაფნი იქაც
სახელოვნებდენ. ამათს საჭიროებას იქაური აღებ-მიცემაც
ითხოვდა, ნამეტურ ებრაელთა ვაჭრობა, ფულის გროვება,
აქა იქ უცხო სახელმწიფოებში მოგზაურობა და ვაჭრობა.

დღეს ქუთაისში და მთლიათ იმერეთში ზარაფების ხსენე-
ბაც აღარ არის. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმერეთ შორის
ამ საქმიანობის არსებობის ცნობაც არავის ექმნება. იყო
ისეთი წეს-ჩვეულებაც, რომ ზარაფნი სახელმწიფოსაგან ყო-
დულობდენ სხვა და სხვა საქონელს ფულზედ, მერე ამ საჭო-
ნელს სცვლიდენ სხვა და სხვა ნივთზედ. თვით მეფე გიორგიც
კი, რომელსაც ზარაფებთან ლაპარაკი ერთობ ერიდებოდა,
თვით მასაც უხდებოდა ზარაფებთან საქმის დაჭრა. დღესაც
ოსმალეთსა და სპარსეთშიც ზარაფებს დიდი ხმა და გავლენა
ექვსთ ყველა დაწესებულებაზედ. ზარაფნი იქ დღემდე სახე-
ლოვნებენ, თუმც ისიც კა უნდა ითქვას, რომ იქაც მათ იგი-
ვე მშვედრი მოვლინებათ. რაც საქართველოსა და იმერეოში
მოვლინა. ასეა ყოველივე და ბევრი რამ იკუთხა შეუმჩნევ-
ლად და უცნობლად. ზარაფთა რიცხვი ძველიც ბათუმშა და
ფოთშიც ყოფილი, ფოთში ამის ნიშანი აღარსად არის და
ბათუმში კა რა ილაგას წნებე. საზოგადოთ უნდა ითქვას,
რომ ზარაფნი უფრო მრავლობდანენ. იქ, საღაც ვაჭრობა იყო
აღორძინებული, საქართვი საქმენი, ქარვასლები და სხვა
ასეთნი დაწესებულებანი, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობა
და ხელობრის წარმატებას. მევე გარემოება ჰერაკლი

და ასულდგმულებდა ზარაფთა რიცხვსა სადღეისოდ ამათა
რიცხვი მიტომ შემცირდა, რაღანაც საქართველოში ოთხსავ
ცუთხივ ვაჭრობა აღორძნდა და ამისთვის კიდევ გაჩდენ სა-
ვაჭრო ბანკები, კასები და სხვაც ამ გვარნი რომელთაც ზარავ
ფობა შენაცვლეს და იგინი სწევენ დღეს ზარაფობის ჩავიე-
რობას. დღეინდელი ზარაფები — თანამედროვე ბანკებია.

გორის ქართველ ქათოლიკეთ ვაჭრები XVIII-ს უბ.

ბოლომდე.

ზუმადაშვილები: ანდრია, ივანე, გიორგი, მერაბი და სხვა-
ნიც მრავალნი. ამათ ვაჭრობა იქვნდათ ძველადგან როგორც
გორის მკვიდოთ. თფლისშიაც სცხოვრობდენ და ვაჭრობდენ.

ხოსროაშვილები. დღეს ხოსროევნი, ძველნი ვაჭარნი.

ესანდინაშვილები. ხოგნი გაზნაურებულნიც, ცნობილნი
ვაჭარნი. დღეს ყანდინოვა.

დავრიშაშვილები. ცნობილნი ვაჭარნი ძველის ძველადგანვე.
ამათ შთამომავალნი დღესაც სცხოვრობდენ გორს.

მებუჟნეთესშვილები. შემდეგ დაწინაურებულნ. კანაიდგან
ახალი გაფრანგებულნი იყვნენ და პატრები ეხმარებოდენ.

ალმაშვილები. გამოჩენილი გვარი ვაჭრობის მხრით ძვე-
ლადგანვე.

ამირაღაშვილები. დღეს ამირაღოვი. კათოლიკობას ძველა-
დგანვე დაკავშრებულნი. ვაჭრობით განთქმულ იყვნენ მთელს
ქართლში და უცხო ქვეუნებშიაც მგზავრობდენ.

შიხინაშვილები. მოხსენებულნი არიან ჩოგორუ წარჩინე-
ბულნი ვაჭარნი გორში, და მის მიღამოებნი.

სააკაშვილები. ცნობილნი მეფე ერეკლეს წინაშე და კა

რგის ვაჭრობის გამო მრავალ ნაირად პატივცემულნიც და სხვაფრივადაც დაწინაურებულნი. ეს გვარი გორში ძველადგანვე იქმნა სახელდებული: ზოგნი ტერ-სააკოვათაც იტყვიან სააკაშვალებს, ზოგნი-სააკაძეთ, სააკოვათაც, რადგანაც ერთ იმათგანს სააკა რქმვით სახელად:

უთანხმაზისშეკალები, ცნობილი ვაჭარი და მასთან შეგნებულიც.

ანტონიშვილი. ანტონოვი დლეს, იყვნენ ცნობილნი ვაჭრები. კათოლიკებს გარდა სომხებიც არიან ანტონოვებში. ტურაბ ანტონოვი სომხის სჯულის იყო.

მისდევრაშვილები. იყვნენ დიდი პურისა და ხორაგვეულის პატრონ ვაჭრები ძველად.

ხუდალები. ანუ ხუდალოვი დლეს, ზოგნი სომეხნიც არიან მხოლოდ სჯულით.

ამირანი. ძველადგანვე ვაჭრები, ცნობილი კათოლიკენი. ზოგი სომეხია ამათ გვარში.

ღიარაშვილები. ზოგნი კათოლიკენი არიან და ზოგნი სომეხნი, ვაჭრობას მისდევდენ ძველადგანვე.

მამუჩარაშვილები. ძველნი ცნობილნი ვაჭარნი ჩიოცულობით და ყაზაზობით.

წარიაშვილი. დლეს ჩარჩიევათ წოდებულნი, ამათ შთამომავალნი. ძველადგანვე ცნობილნი გორში ბაზაზობით და წვრილმან ვაჭრობით, სომეხნიც არიან.

ალაშეგაშვილები. მესხეთიდგან მოსულნი გორს და წინწასულნი ვაჭრობით, ცნობილნა მეფე ერეკლეს წინაშეც.

სტეფანეშვილები. ცნობილნი შეძლებულნი ზარაფნი გორში და მის მიდამოებშიაც. იყო მეფის წინაშეც ცნობილი 1775 წლიდამ.

შურადაშვილები, განთქმულნი ვაჭარნი გორში სხვა და სხვა სანოვავით. დლეს მურადოფები, მესხეთიდგან მოსულნი გორს ძველადგანვე.

თავდროს შეიღები. წვრილმან საქონელთა ვაჭარნი და შეძლებულნი თავის დროის კვალად მავალნი სპარსეთსა და ოსმალეთსაც საიდანაც საქონელიც შემოჰქონდათ.

ქურქიშვილი. ცნობილნი ძველადგანვე გორში ქურქის ხელობით და მერე თფილისსაც გაღმოსულნი ამათ სახლი კაცები.

ფირუზაშვილები. დღეს ფირუზოვები. ძველადგანვე და კავშირებულნი კათოლიკობასთან. ცნობილნი ვაჭარობით მთელ საქართველოში. ფარუზოვები სომეხნიც არიან.

ჭიაშვილები. დღეს ჭიათურები, ძველთაგან ვაჭრობით ისე წავიდნენ წინ, რომ მეფეთაგან მათ ამის გაშო აზნაურის შვილობაც ებოძათ.

გვარამდინიშვილები. ძველის ძველნი ვაჭარნი, განთქმული აღებ-მიცემით და სპარსეთიდან ქალალდის შემომზანნი.

ბაქრაძე. XVII საუკ. გაფრანგებულნი და ცნობილნი ვაჭარნი XVIII საუკ. გორში.

ბერბუკაშვილები. ძველნი ვაჭარნი და ცნობილნი როგორც უცხო სახელმწიფოებში მავალნი. კარგი აღებ-მიცემის მქონნი.

ზემო ხსენებულ ვაჭრებს გარდა გორში სხვანიც იყვნენ მრავლად ვაჭრები, ვაჭრების რიცხვი შესდგებოდა კათოლიკეთაგან, სომეხთა და ებრაელთაგანაც. გორში ყოველთვის იყო 15 ათასი მცხოვრებნი. ვაჭრობა ძველი კარგად იყო გაჩაღებული, რაღაც თავის მარტოდ კათოლიკეთა სავაჭრო დუქნების რიცხვი გორში 200 მდე იყო ყოველთვის, კათოლიკობაც დიდი იყო და თითო ჯაჭში 20—30 სული სცხოვრებდა ქრისტიანული გორშის კათოლიკეებში არიან ზოგნი ისეთი გვარის წევრნიც რომელთა სახლი-კაცები გრიგორიანები და მართლ-მადიდებელნიც ჰყავსთ. 1751 წ. როგორც თფილის, გორშიაც სდევნეს კათოლიკენი და პეტრე მრავალნი სომხობაზე გადავიდნენ, ამან საჭარისად შეამცირა გორში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი.

გორის ქართველ კათოლიკ ვაჭრები სავაჭროდ მგზავრობდენ სპარსეთს, ინდოეთს, ოსმალეთს, რუსთ და პატრების სა-შუალებით თვით ევროპაშიც მიღიოდნენ, იქიდგან მათ შე მოჰქონდათ ყველა ნაირი საქონელი: ჭურჭელი, ჩითეულობა, მინეულობა, ძაფეულობა, სხვა და სხვა იარაღი, საათბეი და მრავალიც სხვანი ამ გვარნი, რასაცი საქართველოში გასავალი აქვნდა. საქართველოდამაც გაჰქონდათ მათ სხვა და სხვა საჭონელი და მასალა. გორელი ვაჭრები მრავლად და ხშირად დატიოდენ ეკატერინეს იარმუკობაზედ და მათ საქართველოში დიდი ძალი საქონელიც შემოჰქონდათ რუსეთის ნაწარმუებისა, ქართლში პირველად ამათგან განვირცო ჩაი შაქარის ვაჭრობა აღებ-მიცემის ჩხრით თფილისის ქართველთ ვაჭრებს საკმარისად ეთანაბრებოდნენ, უთანასწორდესოდნენ. სამშუხაროდ გორის ძველ ვაჭრების აღებ მიცემის შესახებ ბევრი არაფერი ცნობები სჩანს კათოლიკეთ ვაჭრობა გორში დღეს დაცემულია, მოსპობილი.

ახალციხეს და მის თემის მოვაჭრენი

XVIII საუკ.

ახალციხეში ვაჭრობა მძლავრად იყო განვითარებული და საქართველოს ყველა კუთხეებსაც აქედამ ეფუნებოდა. მაგრამ დღეს კი ახალციხეში ქართველთ ვაჭრობა მოსპობილია და დაცემული, იქ ძველებურად კათოლიკენი დაწყარ მრავლობენ, აი ზოგ ძველ ცაჭართა გვარები.

ჭეგოვნი ძველნი მოხელენი და ვაჭრები მაშა პოპით. კათოლიკენი.

ფრთხაშივები. კათოლიკენი-ფალაშათი. ვაჭარნი მამა პა-
პით. კათოლიკენი.

შეუძლიანი განთქმულნი ვაჭრობით და ძველადვე დაკა-
ვშირებულნი კათოლიკობასთან.

აზ აუროვები ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობა-
სთან და განთქმულნი ვაჭრობით, ახალციხიდამ აქეთ იქითაც
გადასახლდენ.

დათებოვები. დათიაშვილები. ძველადვე დაკავშირებულნი
და მავალნი ვაჭრობით ოსმალეთს და სხვაგანაც. ამათ შთა-
მომავალია აწინდელი ახალციხელი დათებოვი. იხილეთ ამა-
ზედ ქვემოდ.

გოვიეფოვები. ახალციხეს დაწინაურებულნი და შერე-
ქუთაისს გადასახლებულნი.

ფირაფლოვები. ძველნი ვაჭარნი და ახალციხეს ცნობილნი,
განთქმულნი როგორც სამსონ ფირალოვი, ახალციხელი
და სხვანი.

გაიაჩინები. განთქმულნი ძველადგანვე ვაჭრობით და
შემდეგ დროს თომა კაიაბეგოვი.

საავეჯი. ახალციხეს განთქმულნი და აქედამვე გასული
როგორც ანტონ საბაევი-ნიკოლოზის მამა, მდმა პაპით ვაჭრები.

გოზაფლოვები. კოჭათი. პირველნი ვაჭარნი ახალციხეს და
აქედამვე გასულნი.

ფაფაზოვები. იგივ ბოკოშვილები ანუ მამაცაშვილები.
ძველადვე გასულნი ვაჭრობისთვის სტამბოლს და სხვაგანაც
როგორც ცეტრე ფაფოზოვი.

სარიევი. სოფ. ბოლაურელი, ძველადგანვე განთქმულნი
უაჭრობით და უცხო ქვეყნებშიც მავალნი.

ბერანდოვები. ძველადგანვე გამოჩენილი ვაჭრები და უცხო
ქვეყნებში მავალნი.

გურგანბეგოვი. ძველიადგანვე წინ წასულნი ვაჭრობით და
აქა იქ სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში მავალნი ვაჭრობისთვის.

იზმირიანი. ძველადგანვე წინ წასულნი ვაჭრობით, სტე-

ფანეს შაბა პაპანი მგზავრობდენ სპარსეთს, ინდოეთს, ოსმალეთს და ევროპას.

ჭილიშვილი შვილები. მრავლად აღორძინებული და წინასულნი.

შდებრის შვილები. ცნობილნი ვაჭარნი ახალციხეს და მის თემს.

ასლანიშვილი. განთქმულნი ვაჭარნი და ხელოსნები აღორძინებული ვაჭრობით. შემდეგ გადასახლდენ ქუთაისს.

თცისეჯები. ძველადვე ვაჭრობის გზაზედ დამდგარნი და გადასახლებულნი ქუთაისს. მავალნი ვაჭრობისთვის უცხო ქვეყნებშიც. ამაზედ იხილეთ ამავ წიგნში.

ფერჭაროვები. ახალციხეს აღორძინებულნი და ვაჭრობით ცნობილნი.

თუმანაშვილები. ახალციხეს აღორძინებულნი და წინასულნი ვაჭრობით. მერე გადასახლებულნი გურიას—ოზურგეთს, ქუთაისს და ყველგან დიდათ დაწინაურებულნი ვაჭრობით და აღებ-მიმცემთ.

გულასშიშვილები. მოისპო კათოლიკეთ რიცხვი.

ეანდონიშვილები. ძველნი ვაჭარნი და აქედან გადასახლებულნი. გორს და თფილისი.

ნარიბეკაშვილები. ძველნი ვაჭარნი. ზოგნი გასომხდნენ ძველად,

ნასუიდაშვილი. ამათ შთამომავალნი არიან. დღევანდელნასყიდოვები.

ნავრთზაშვილები. განთქმულნი და ძველადგანვე წინასულნი ვაჭრობით.

ზუბალაშვილები. განთქმულნი ვაჭრობით ძველადგანვე, ახალ დროს ერთ ამათგანი იყო კარგი ოქრო მჭედელი.

მებამბეშვილები. მართლაც მებამბეთ და ვატების კარხანის მქონი ძველია.

ტეტიაშვილები. ძველადვე ვაჭარ ხელოსნები და აქა იქ მავალნი ხელოსნობა—ვაჭრობისთვის.

კანდელაკიანი. ძველად დაკავშირებულნი კათოლიკობასთან-
და ვაჭრობისთვის აქა იქ მავალნი.

ბადინაშვილები. ძველნი კათოლიკენი და ცნობილნი ვა-
ჭრები რუსობის დრომდე.

აფაშაშვილები. ცნობილნი ვაჭრები ახალციხეს და მათ
თემს.

ნებიერიძენი. ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობას
და დიდათ განთქმულნა ვაჭრობით.

ისარჯოვები. (ხურსიძე) ცნობილნი და ძველადგანვე დიდათ
განთქმულნი ზოგი წევრნი ამათ გვარისანი.

ოქროშვილები. ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობას
და განთქმულნი ვაჭრობით. ვგონებთ ქართლის და ქიზიყის
ოქროშვილები სამცხიდან უნდა იყვნენ ვაღმოსულნი. გათა-
თრების გამო XVII საუკ. ნახევარს.

ავთანდილოვანები. ცნობილნი ვაჭარნი და შეძლებულნი
ძველად.

გარსევანთვეგიძე. განთქმულნი შეძლებით და კარგი ვაჭრე-
ბი მთელს კუთხეში.

აბასაძეები. ზოგნი აზნაურნი, ოსმალთაგანაც პატივცემუ-
ლნი და შეძლებულნი ვაჭრები ძველად.

კიკნაძეები. კათოლიკენი. გამოჩენილნი ხელოსნები და
ვაჭრები.

მაჩართბეჭიძენი. ცნობილნი ხელოსან-ვაჭრები ახალციხეს.

რატიშვილები. ძველადვე დაკავშირებულნი და გამოჩენილი
აღებ-მიცემაში.

ვგონებ ეს გვარებიც კმარა მის საბუთათ, რომ ვიცოდეთ,
თუ ასმალეთის მფლობელობის დროს ახალციხეში როგორ
იყო აღორძინებული ქართველ გვარის კათოლიკეთა ვაჭრობა.
ჩვენ ყველას აქ ვერ მოვსთვლით. ახალციხეში 1829 წ. მცხო-
ვრებთ რიცხვი 20 ათასამდე ირიცხებოდა. მარტოდ კათო-
ლიკეთ რიცხვი იყო 16 ათასი, ყველა ესენი იქ მისდევდენ
ვაჭრობას და ხელოსნობას, ოსმალთა მფლობელობის დროს

ქართველ კაზოლიკობა მთლიად ხელოსნობას და ვაჭრობას გაჰყვა. ჯვარებსაც უმეტესად იგინი თავიანთ ხელობის და ოლებ-მიცემის სახელებით ირქმევდენ ოსმალურად: მაგალითებრ ყაუხიოვი-მექუდე, ყალაიჯოვი-მერკინე, ჩარახჩიანი-მექალამნე და ასეც სხვანი მრავალნი, ამიტომ ეს გვარები ჩვენ გვეხამუ-შება და სომხის, ან თათრების გვარები გვგონია.

ახალციხელ ვაჭრებს და სოვლაგრებს დიდი ხმა აქვნდათ ოსმალთა გამგეობის დროს. იგინი ვაჭრობით ფეხზედ იყვნენ და ცოცხლად მიჰყვანდათ სავაჭრო საქმეები. ახალციხიდან იგინი სავაჭროდ მგზავრობდენ ინდოეთს, სპარსეთს, ქურთის-ტანს, ეგვიპტეს, ოსმალეთს, რუსეთს, ყირიმს, ევროპას, სა-ფრანგეთს, იტალიას, ავსტრიას და სლავიანთა ტომში. იქი-დამ აშათ შემ-ჰქონდათ დიდი ძალი საქონელი, საქონელი ყველა ნაირი. სტამბოლში აქვნდათ ძველადგანვე გახსნილი კარგი ქარვასლა. ახალციხიდამ ამ ვაჭრებს მრავლად შეძოჰქო-ნდათ სხვა და სხვა ევროპიული და აზიური ძვირფას საქონელი თუფილისს, გორს, ქუთაისს, გურიას, სამეგრელოს და ყველგან დიდის წარმატებითაც ივრცელებდენ. ქართლს და იმერეთში ამათ გაღმოსვლას და ოლებ-მიცემას მეტად დიდი საინტერესო ისტორია აქვს.

გოკიულოვების საუბრობო და საგვაროვნო ცნობა

(ნააშში ითხებ იგანეს ქ გოკიულოვის შიერ)

იოსებ ივანეს ქ გოკიულოვი 75 წლებს მისული მოხუ-ცია, ქართველ კათოლიკე. ახალციხიდამ გადასულნი ქუთაისს. კარგი მეხსიერების პირია. სიტყვა პასუხიანი და მახვილ გო-ნიერი. ბევრი ძველი ამბების მცოდნე, მტრფობელი განვჭილ

საწუთავებისა ნატკრით და ქების მოვლენებელი ძველის აშენ-
ზისა. დავიწყოთ მაში ისევ ამ იოსებ ივანეს ძის სიტყვით და-
ამბებით.

გოკიელოვების წინაპარნი მეგრელები ყოფილან. ძველად
ამათ წინაპართ სამეგრელოში უცხოკრიათ ს. ცივა ამაო წინაპარ-
თა გვარი — ეჯიბია არის, ზოგნი ამ გვარის წევრნი აზნაურიშ-
ვილებიც არიან. ძველად ამ გვარის წევრთა რიცხვი დიდა
ყოფილა გამრავლებული თავიანთ დროს, მათ დადიანების
წინაშე საკმარისი მნიშვნელობაც ჰქონდათ. ამათ წინაპართა
მნიშვნელოვან ხანას თვით მათვე გვარის სახეო-წოდებაც
გვაუწყებს.

* სიტყვა ეჯიბია — წარმომდგარია სახელ წოდების მოხელე-
თა „ეჯიბიდამ“-ეჯიბია არაბული სიტყვა არის და საჭართვე-
ლოში ძველადგანვე შემოსული და გავრცელებული. ეჯიბს
ქართველნი კარის კაცად ოღიარებდენ, ჩვენი მეფობის უკანა-
სკნელ წლებს მდაბიო ხალხში ეჯიბი ამას ნიშნავდა. მეფის კა-
რის წინაშე მდგომი: კარის კაცი — ანუ აზნაურის შვილიო.
არაბულად-კი ეჯაბი ნიშნავს თურმე — წინა-მდეგი (მდგომი)
მეფეთა; მეფის მავიერ მოლაპარაკე. ასე ხსნის ს. ორბელიანი
თავის ლექსიკონში. ვახუშტი სწერს:

— „ამის ბეჭისა იუნენ უფველნი ტაძრენელი შეუისანა
და ნადემისა. იგავე შიუკებდა შეფას წილ და ამას ეტუთდნენ და-
რბაზის ერთი რაიცა ენებათ შეფას. მოხსენებად და თავის. წი-
ნათბას შინა ვერვინ შევიდის შეფას თვანიერ შისს“ და
სხვანი. ეს თანამდებობა ახლანდელ ჩამერგერების უდრისო
ამბობს პ. უზიკაშვილი. ამ შენიშვნიუმ სჩანს რომ იგინი ჩვენი
სამეფოს წინაშე კაის თანამდებობის უნდა ყაფულიყონ ენ.

XVIII ხაუკუნის ნახევარს, რაღაც მიზეზების გაშო სა-
მეგრელოს მთავარი დადგინი ეჯაბიებს რაღაც მიზეზების გამო-
გადაკეიდებია. მათში უსიამოვნება ასტეხილა. მიზეზი ამისი
უცნობია, მხოლოდ საქმე მითი ბოლავდება, რომ სამეგრე-
ლოდამ ეჯიბია დადიანს უჩუმრად სკილდება და შიდას. ახალ-

ციხეს, იქ ოსმალეთის ქვეშევრდომ ქართველ კათოლიკთ ეპი-
დლება და მათის მფარველობის ქვეშ სუხოვრებს. შემდეგ დროს
კათოლიკობასაც უერთდება და ოსმალეთის ქვეშევრდომათაც
ეშერება. ეს პირი უნდა იყოს იაკობ ეჯიბია. ანუ მხვა ვინმე,
მაგრამ რადგანაც სხვაზედ ცნობა არ გვაქვს, ამიტომ ჩვენ
იაკობს ვსთვლით, ვინაიდგან თვით გოკიელოვების გვარის
წევრთაც ასე აქვსთ განსაზღვრული. კათოლიკის სარწმუ-
ნოებაში მყოფ მამა მთავრად იაკობს სთვლიან.

იაკობ გოკიელოვის დაბადება უნდა ეკუთვნოდეს 1740-
წლებს, რადგანაც, ამის შვილი ივანე 1780 წლებში რომში
მცდის მოწეფეთ. მ. თამარაშვილის სიტყვით რომის კრებას
ფიც აძლევს სასწავლებელშა ერთგულად სწავლისთვის. ია-
კობს მეორე შვილიც ჰყოლია-თომა. სხვა შვილების ცნობა
ჩვენ არ გვაქვს. ცოლიერების შესახებ უნდა ითქვას, რომ
იაკობს, ანუ აკოფოს ცოლი ახალციხეში უნდა შეერთო,
რასაკვირველია კათოლიკის ქალი. შემდეგ დროს, იაკობი
ვაჭრობით და ალებ-მიცემით კარგად დაწინაურებულია. ბო-
ლოს ახალციხიდამ სოფელს გოკიას გადასულა და იქ დაუწყვია
ალებ-მიცემა.

იაკობს ჯავახეთში ისე კარგად წასვლია ვაჭრობის და
ალებ მიცემის საქმე რაისა გამო მისთვის საპატიოდ ბატონ-
ჯანა უწოდებიათ, ანუ ალა-ოსმალურ თათრულად, როგორც ეს
ჩვეულებად აქვნდათ, რომ მოწინავე პირთ ბეგი, ალია-ბეგი
ერქვათ, კიდევ ალა და ეს ქართულად ნიშნავდა ბატონჯანას;
ივანესააც ასე ეწოდება-ბატონჯანას შვილად. ჩვენის მოსაზრებით,
იაკობისშვილი ივანე უნდა დაბადებულიყო 1762 წლებს, იქნება
ორი ან სამი წელი აქეთ, რადგანაც 1780 წ. იგი როგორც
ვსთქვით უკვე რომშია სასწავლებლად. იაკობის გარდაცვა-
ლება მიეწერება 1795 წლებს, ივანეს რომიდამ დაბრუნების
აძავი ჩვენ კარგად არ კიცით, უძძევლია იგი 1785-90 წლა-
მდე უსათუოდ დაბრუნდებოდა. ერთი საკირველი ის არი,
რომ ივანე რომერ წასული სასულიერო სწავლის მისაღებათ,
იქ საქმეს ისე აწყობს რომ ხასულიერო სწავლის მიღების

შემდეგ სასულიერო წოდებაში კი არ შედის, არამედ აღებ-მი-
ცემის ასპარეზე აღება.

ივანეს დაბრუნება საქართველოში და ცოლის შერთვის
საქმე ბურუსით არის მოცული. ხოლო ამ ივანეს ეძლევა
შვილები და ერთი ამათვანია ვაჟი-ივანეს კვალიდ, რომლისგა-
ნაც დაბადებული იოსები ივანესძე გოკრელოვი, ამის დაბადება
უნდა მიეწეროს 1831 წ. რაღანაც თვით სთქვა იოსები ივა-
ნისძემ, რომ 1904 წ. 75 წლისა ვარო. იოსების მამა ივანეც
ვაჭრობის გზაზედ მდგარა, ესა და თავის ძმები ქუთაისში გა-
დმოსახლდენ ვაჭრობისთვის 1830 წლებს, ესე იგი რუსთაგან
ახალციხის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ. ქუთაისში
დასახლებულან და აქ დაუწყვიათ აღებ-მიცემა და იქვე უფრო
გავრცელებიათ გვარი-გოკიელოვები, რაღანაც ეს გვარად
მათ ახალციხეშივე სწოდებიათ. ასე იცოდენ იქ ქართველ კა-
თოლიკებმა, ხშირად კათოლიკეთ წევრს გვარად უწოდებდენ. იმ
სოფლის სახელს, საიდგანაც იგი იქმნებოდა, მაგალითებრ
როგორც სოფელ გოკიის გამო ეჯიბიებსა კუგოკიელოვები
უწოდეს. გოკიელოვების გვარი რომ ეჯიბია არას, ეს სოფ-
ცივს კარგად იციან თვით მათმა სახლი-კაც ეჯიბიებმა. დღე-
საცი ლაპარაკობენ, რომ გოკიელოვები ჩვენი ნათესავები არიან,
ძველი წასულნი სამცხეში და კათოლიკობასთან დაკავშირე-
ბულნიო. მათი ძველი გვარი ეჯიბია არისო. ეს გოკიელოვე-
ბმაც კარგად იციან რომ მათ წინაპართ ისტორია ასეთია.
პირველ გოკიელოვების წინაპართაგანი ოქრო მჭედელი
ყოფილა, სახელწოდებით ყვინჩითი. ამ ხელოსნობაშიაც მათ კაი
ნიჭიერება აღმოუჩენიათ. ქუთაისში ამათ თუთუნის სავაჭროც
გაუხსნიათ. თუთუნის სავაჭროს გასახსნელად ახლად გადმო-
გაუხსნიათ. ასულ გოკიელოვებს ახალისებდა და აქეზებდა თუთუნის ა-
სულ გოკიელოვებს ახალისებდა და აქეზებდა თუთუნის პა-
რეზედ მოვაჭრე და 1830 წლებში გამოჩენილი ქუთაისში
შეძლებული ვაჭარი მეფისოვი. გოკიელოვებს დაუ-
მცხოვრები შეძლებული ვაჭარი მეფისოვი. გოკიელოვებს დაუ-
მცხოვრები თუთუნის სავაჭრო ქარხანა, მის სერმე სტამბო-
რსებიათ თუთუნის სავაჭრო ქარხანა, მის სერმე სტამბო-
რსებიათ თუთუნის სამსონს სამსონს სავაჭროდ შგზავრობაც და-
ლშიაც, ტრაპიზონს და სამსონს სავაჭროდ შგზავრობაც და-

უწყვიათ, ამ დროებში, ან 1831 წლებში დაბადებულა იოსები ივანეს ძე გოკიელოვიც. ასე რომ დღეს კათოლიკის სარწმუნოებაში იოსები მეოთხე თავობა არის და ამის შვილი მეხუთე და მათ მომდევარნიც შემდეგში ე. ი. მეექვსე იქმნება.

ასე და მე გვარად კარგად სჩანს, რომ იაკობის დამდება უნდა მიეწეროს 1740 წ. ამის შვილი ივანესი 1765 წ. თოვასი 1767 წ. ივანეს შვილები უნდა დაბადებულიყვნენ 1795 წლების შემდეგ. იაკობი, ივანე, იოსები. იაკობის შვილები: ივანე, სიმონი, ალექსანდრე, ფრანცისკენ, სტეფანე და პავლე. იოსების ძენი: მიხეილი, რაფიელი, გაბრიელი და პეტრე. ყველა ესენი დღეს ირიცხებიან ქუთაისის მოქალაქედ. ყველას განათლება აქვსთ მიღებული თავიანთ კვალად. სამოქალაქოს ენერგიით სადაც ერთი და ორი გამოჩნდებიან, იქ არც ესენი გამოაკლდებიან. დღეს ამათ ქუთაისში აქვსთ კარგი მაღაზიები, კარგი ფირმა და კათ სავაჭრო. ქუთაისში ამათი სავაჭრო და ჯილდოებულია ყველა სავაჭრო ნივთეულობით. თითქმის ყველა ნივთებს ჰყიუბიან, ყველა საქონელეს: ღვინო, ერობა, შაქარი, ჩიი, ბამბა, თაფლი, თუთუნი და ვინიცის რამდენი კიდევ რა გინდარა. თფილისში ამათი ქარხანა მაგალითებრი: თუთუნისა და პაპიროსისა სამაგალითო ფირმად ითვლებოდა, და თან მეტად სასახელოც გახლავსთ, ამათ პაპიროსის ყუთებს ამშვენებს თამარ მეფის სურათი და ზოგიც სხვა წარჩინებულ ქართველთ მწერლებისა.

აი ასეთი გახლავსთ წარსული და აწმყო გოკიელოვების გვარის წევრთა ალებ-მიცემისა და იმედია ეს მათი ბრწყინვალე წარსული მომავალში უფრო კარგის ღირსებით ალორძინდება და დაწინაურდება. ამას ეჭვი არ უნდა, რაღანაც მისი ნიშნები გოკიელოვებშა ადრევე გამოიჩინეს და მთელს ქუთაისს, ახალციხის და თფილისის საზოგადოებასაც კარგად ამცნიეს. იოსებ ივანესძე გოკიელოვსაც ვაჭრობის დროს, მგზავრობაში ბევრი ვაი ვაგლახები გამოუვლია, რაღანაც ძველად საქო-

ნლის შეტან-გატანა ერთობ გვიჭირდებოდა კარგი, ფართო გზები
სულ არ იყოვო. საქართველოდამ სტამბოლაშიდე ზღვაზედ
მგხავრობით იოსებ ივანესძე გოკიელოვს ბევრნაირი გაჭირება
გამოუვლია და მეტად ბევრი და მრავალ ნაირი ამბებიც უნა-
ხავს ქართველ ვაჭრების როგორც სტამბოლს, ისევე მთელს
შავ ზღავაზედ.

ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა ქუთაისში XVII საუკ. და შემდეგაც.

ქართლსა და კახეთში, ქართველთ შორის ვაჭრობამ, მრეწვე-
ლობამ და ხელოსნობამ საკმარისად იწყო კლება XV საუკუ-
ნიდამ. ქართველთ დრო არ ჰქონდათ ამისთვის, მუდმივ ომე-
ბი იყო და მისგან მათი დროც ამებს უნდებოდა, მიტომ ქარ-
თველთაგან მცირედ მისდევდენ ვაჭრობას და მრეწველობას,
მაშინ ორივ ამ ხარეს მხოლოდ არსებობა ეტყობოდა და წარ-
მატება ანუ აღორძირების ნიშანიკი არა. უმეტესად ქართლსა
და კახეთში მისდევდნენ ვაჭრობას და მრეწველობას ქართველ
გლეხთაგანნი, არმენიდამ მოსულნი სომეხნი, ქართველ გვა-
რის სომეხნი, ებრაელნი, ქალდეველნი, მუსულმანები და ქად-
რთველ კათოლიკენი, ასე იყო ჩვენში საქმე მოწყობილი და
უნდა ითქვას, რომ იგი მარტოდ ქართლსა და კახეთში კი
არ იყო, არამედ იმერეთშიაც ასე იყო და იქაც მუდმივ
შინაურს განხეთქილების და ომების წყალობით იმერნი ვა-
ჭრობას და მრეწველობას დოდის აღსავსეობით არ მისდევდნენ.
მისდევდნენ ოდნივ დრო და საქმის საჭიროების გამო, დანა-
რჩენი მრეწველობის და ვაჭრობის უცხოელებს ეკავათ ხელში,
მაგალითებრ: ასმალთ, ბერძენთ, ებრაელთ, სომეხთაცკი და
უკანასკნელ ამათ დაემატა ქართველ კათოლიკენიც.

ქართველ კათოლიკენი ქუთაისში ძველადგანვე სცხოვ-
რობდნენ, მათში ერივნენ ისეთნიც, რომელთაც კათოლიკობა
იქვე იმერეთის სხვა და სხვა კუთხეებში მიელოთ, ზოგნიც
ახალციხიდამ გადადიოდნენ ოსმალთა მფლობელობის დროს
ვაჭრობის გამო. ახალციხე ოსმალთ ეკავათ, იქ ქართველ კა-
თოლიკენი ვაჭრობას აღვილად ეჩვეოდნენ, ამიტომ იგინი
ახალციხიდამ ქუთაისს აღვილათ გადადიოდნენ და ვაჭრობას
ეძლეოდნენ. XVIII საუკუნეში, ქუთაისში ახალციხელ ქარ-
თველ კათოლიკეთა-ვაჭრებს გორელ ქართველ კათოლიკენიც
შეიმატნენ, ამით ქუთაისში შესრგა კარგა ვრცელი გუნდი ქარ-
თველ კათოლიკ ვაჭრებისა. ახალციხელ ვაჭრებს ოსმალეთი-
დგან შემოჰქონდათ ყველა საჭირო საქონელი, ისეთი საქონლები,
რაც კი იმერეთში დიდს ხმარებაში აყო. ასეთ ვაჭრებს მაშინ
ხმა და შეძლებაც კაი ჰქონდათ და იმერეთის მეფეც საკარი-
სალ მფარველობდა და პატრიცია აძლევდა. მაშინ ქუთაისში კა-
რგად სახელოვნებდნენ ვაჭრები: პაატა და აკოფა აკოფაშვილები,
მურადაშვილები, პაპუა ქორქაშვილი, სიმონაშვილიები,
მათოაშვილები, ბაინდურაშვილები, ჩარექაშვილები, ყაუხეჩო-
ვები, ოცხლები, ყოყოჩაშვილები, ფეიქარიშვილები და მრავა-
ლიც სხვანი, რიცხვით 30 კომლი, თითო კომლში რამდენიმე
შეძლებული პირი ერია.

ქუთაისში კათოლიკეთა ვაჭრებს თითქმის ცალკე უბანი
ჰქონდათ და მასთან სავაჭროებიც ერთ მხარეს, ერთს რიგზედ
დახსინილი. ყოველ მათგანს ჰქონდა კაი მაღაზია და მაღაზიაში
აქვნდა ყველა საჭირო საქონელი შემოტანილი ოსმალეთიდამ,
რუსეთიდგან და სპარსეთიდგან. თვითოვეულს ვაჭარს აქვნდა
თავის განსაკუთრებული საქონლის მაღაზია, ვაჭართა და მრე-
წველთ რიცხვი იმდენ ნაირი იყო, რომ ნასში მოიპოვებოდენ
ყველა ნაირი საქონლის და სანოვაგის მწარმოებელნი და გა-
მსყიდავნი. მათში მოიპოვებოდა ყველა იშვაით საქონელი დ
ყველა ქვეყნებიდამ შემოტანილი. მათში იყო მაღაზია ნართისა,
საღაც ჰყიდლნენ ოსმალობამ შემოტანილ ფართლეულობას,

ფართლეულობა სტამბოლის გზით ტრაპიზონზე მოჰქონდათ. ფართალი შესდგებოდა ყველა ნაწილისაგან: ბამბას, ნართის, მატყლის, ტილოს, აბრეშუმი და სხვანი, მათშივე ერივნენ სამზღვარ გარეთულ ერთა ფართლეულობა და სხვანი, სპარსეთიდამ შემოტანილი მრავალ ნაირი ფართლეულობა, შალები და რიზაიშოლები, ადგილობრივ გამოყვანილი შალები და სხვანი. ასეთი ვაჭარნი რუსეთშიაც მგზავრობდენ და იქიდა- მაც შემოჰქონდათ სხვა და სხვა ასეთ ნივთები. ესენი აკმაყო- ფმლებდენ მეფედამ დაწყობილი ყველა მთავრებს, თავადებს და მდაბიოთა მოთხოვნილებასაც. ქუთაისში ჩითეულ ხელსახო- ცები 1760 წ, გამრავლეს და მასთან სპარსული სუფრები და სხვანი.

ეაზაზები—იყვნენ და აქვნდათ ყველანაირი ძაფეულობა შემო- ტანილი ინდოეთიდამ, სპარსეთიდამ, ოსმალეთიდამ და რუსეთი- დამ. ადგილობრივი ძაფებიც აქვნდათ.

ჭონები—ძველად არ იყო გამრავლებული, უფრო ფაფანი- კებს კეთებას და ტარებას მისდევდნენ, მაგრამ ხსენებულ სა- უკუნის ნახევარს ესენიც გაჩნდნენ და იმერთ შორი განა- ვრცეს ქუდების ხმარება. ქუდებს აკეთებდენ ნაბღის, ბუხრის, ბატკის ტყავის და სხვაც ამ გვარნი, ყველა წოდებისათვის სატარებლად.

სარაზები, ქუთაიში ძველადგანკე იყო გავრცელებული და ხსენებული საუკუნის ნახევარს იგი ერთი ათად უფრო გამრავლდა და წარმატებას მიეცა. მათ ისეთი დიდი წარმატე- ბა გამოიჩინეს, რომ მალე მეჩუსტებსა და მეწულებთან მეჩექ- მობაც აღორძინდა.

თერძები და დერციგები, იმერეთში ძველადგანვე იყვნენ, მაგრამ როცა ამათ ახალციხელ კათოლიკები დაეზატნენ, მაშინკე მა- თი საქმე და ხელოსნობაც გაძრიელდა. ესენი ჰკერავუნენ ბევრნაირ სამოსებს და წამოსასხმელებსაც როგორც ქართულად, ისევე ოსმალურად, ბეზმულიად და ევროპიულადაც. ქართული ხომ იცოდნენ ყველგან.

შეჭურჭლენი, იყვნენ საკმარისად გამრავლებულნი. ჭურ-
ჭლი აქვნდათ მათ ევროპიული, ოსმალური და აღგილობრივი,
ესენივე ჰყიდლნენ მინებს, სარკეებს და სხვაც ასეთებს.

მეწვრილმანენი. იყვნენ და ჰყიდლნენ ყველაფერს, ყვე-
ლანაირს საქონელს, რასაცი კაცი ისურვებდა, მათში ყველა-
ფერს ნუზღს ჰპოვებდა: ოსმალურის, სპარსულის, რუსულის,
სამზღვარ-გარეთელი და სხვანი.

მეთუთუნენი, იყვნენ და საქმეებსაც კარგად აწარმოებდნენ.

მენაბდენი იყვნენ და ნაბდები შემოჰქონდათ სხვა და სხვა
კავკასიის მთიელ ხალხთაგან.

ერთის სიტყვით კათოლიკობაში იყვნენ ყველა ხელო-
ბის და ვაჭრობის პირნი: ოქრომჭედელნი, მემანქანენი, მბე-
ჭდავნი, მეპურენიც და სხვა და სხვა ქარხნის პატრონები.

ქუთაისის მექარხნეთა შორის, ქართველ კათოლიკებში
მოიპოვებდენ სამთლის მექარხნენი, საპნის, ტყავების, სამღე-
ბროები სხვა და სხვა ფერის და ბევრიც სხვა ამ გვარნი, რო-
მელნიც ქართველ კათოლიკებს სამზღვარ გარეთ და ოსმალე-
თში ჰქონდათ შესწავლილი. ასეთ პირთა წარმოება მათ ჰმა-
ტებდა პატივის-ცემას და მასთან შეძლებასაც. კათოლიკენი
ქუთაისში შეძლებით წინ მიღიოდნენ და ზოგი მეფეთა და მთა-
ვართა წინაშე ისეთ სამსახურსაც იყავებდა და პატივს რომ
ნიშნად პატივისცემის აზნაურობასაც შოულობდა. ძველიდ, ვა-
ჭრებთ შორის აზნაურის შვილებიც შრავლად იყვნენ, დღესკი
მათში ამის რიცხვის ჩვენ არა ვიცით რა. ვთიქრობთ რომ
შემცირებული კი უნდა იყოს, შემცირებულია მათში თვით-
თავადიშვილთა რიცხვიც რაც ადრე მათში ხშირი იყო.

ქუთაისელ ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებს **XVIII** საუკ.
კონსტანტინეპოლის ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სავაჭრო
ვეზირხანა, სადაც საქართველოს ვაჭრები ჩამოხტებოდნენ,
ისადგურებდნენ და ვაჭრობდნენ. მაშინ ქარვასლა ცნობილი
იყო ყველგან. კარგად, ყველა გურჯის-ქარვასლას უხმობდა.
ასევე ბინა ჰქონდათ ოსმალეთის სხვა ქალაქებშიც და ნამე-

ტურ ტრაპიზონს. სპარსეთში აქვნდათ თავრისტ და თეირანს, ინდოეთში მადრესეს და კალკუტას, ასევე ავღანისტანს და სხვა ასეთ ადგილებშიაც, ყველგან ამათ გაჰქონდათ და შემოჰქონდათ სხვა და სხვა საჭირო საქონელი, რაც კი, საჭირო იყო, იგინი ყველაფერს ასრულებდენ. ყველგან ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებს ურთიერთ შორის კაი ერთობაც ჰქონდათ და ერთმანეთის შენახვა და მფარველობა. ძნელათ რომ ქართველ კათოლიკე ვაჭრებში ერთს მეორესთვის ელალატნოს, ან უსიამოვნობა მოჰსელიყოსთ, ჯიბრი, კონკურენცია და ასეთი ბოროტება მათში ძველადგანვე მოსპობილი იყო და ამიტომაც გახლდათ, რომ იგინი თავიანთის ცხოვრების საქმე-ებითაც საკმარისად წინ მიღიოდნენ.

როგორც ვიცით ცნობებით იმ დროის ოვითოეულ ვაჭრის შეძლება 5 000 მ. ავიდოდა შარჩილთ 60 კაპ. იყო სავაჭროდ აბანდებდენ 3 000 მარ. ამ ფულით იგინი კარგად სახელოვნებდენ, ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობის წყალობით ისე ჰქონდათ საქმე დაყენებული, რომ მათ არამც თუ პატივს აძლევდენ იმერთა მეფენი და მთავრეპი, არამედ უცხოეთის ხელმწიფენიც და ნამეტურ მოსამზღვრე მეზობელთ ფაშები, მთავრები და მეფენი. ოსმალ-სპარსთა მთავარნი და ფაშები ვაჭრებს ყველა ნაირ მფარველობას უწევდნენ. მაგალითებრ სტამბოლიდამ ქართველ ვაჭრებს რა მრეწველთ ისეთი საგზაო მოწმობა ეძლეოდათ, რაისა ძალით ვაჭართ გამცვარცავი სიკვდილით დაისჯებოდა. ასევე ახალციხის ფაშებისაგან იყო დადგენილი და სულ ამის წყალობა იყო, რომ მაშინ სავაჭრო ქარავნები ისე თავის უფლად დადიოდნენ, ვაჭარნიც თავიანთის შეძლებით 5000 მ. ადიოდნენ, სავაჭროდ 3000 მ. აბანდებდენ, ეს იმ დროის კვალად კაი შეძლება არის და საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ მაშინდელ ვაჭარს 3000 მარჩილის სავაჭრო თანხიდამ შეეძლო 1 000 მარჩილი ფულად გაესესხებინა თავის უფლად, ეს როგორც ქმნა იმ დროის ერთმა ვაჭარმა დავით ოცხელმა, რომ

1802 წ. სოლომან მეფის ორ გზის 500 მარჩილი ასესხა. ესეც კაი ნიშანია, რომ მეფე ვაჭრებთაგან ხელს ინაცვლებდა, უამისობა არ შეიძლებოდა, რაღანაც მაშინდელი ბანკირები ეს ვაჭრები და ზარაფები იყვნენ. ეს მაშინ საძრახისი არ იყო, ამას დამცირებით ნურვინ შეხედავს, დრო ისეთი იყო და მეფეთა და ვაჭარსა შორისაც ისეთი განწყობილება არსებობდა დროის საჭიროების გამო, ხელის გამართვა ურთიერთ შორის დასაძრახისი არ იყო. ამიტომაც იყო რომ მეფეც ვაჭრებს და ხელოანებს ჯეროვან მუარველიას უჩენდა. ამის დასამოწმებლად აქ მოვიყვან ზეპირ ამბებსაც რომელიც ეს მე მიამბო ქუთაისის კარგად ცნობილის ვაჭრის გრიგოლ ოცეხელის მამამა პეტრე სერგოსძე ოციხელმა.

სოლომონ მეფის დროს, ქუთაისი სავსე იყო ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებით, მაშინ კათოლიკები სულ ერთს ქუჩაზედ იდგნენ, მათი სავაჭრო დუქნების რიცხვი 100 მდე იყო, უმეტესი ნაწილი ვაჭრების ახალციხელები, ოცხელები და ჯავახები იყვნენ. ორიოდე მათში გორელი კათოლიკენიც ერივნენ, ერთი იყო იაკობ ზუბალაშვილი და შემდეგში მისი სხვა სახლის კაცებიც. მაშინდელს ვაჭრებში და მექარხნეებში კაი ხმა და ძალა ჰქონდათ სოლოროვებს და აკოფოვებს. ქუთაისის ვაჭრებს და მექარხნებს იმერთ მეფე სოლომონთან და სხვა და სხვა მთავრებთან მეტად კაი განწყობილება ჰქონდათ, მისავლა-მოსვლა მოურიდებლივ, ვაჭრები მეფეს სავაჭრო საქმეთა წარმატებს გარეშე იმითიც გვეხმარებოდნენ, რომ ოსმალეთის სამეფო და ახალციხის ფაშების საქმეებსაც კარგად და მალიად ატყობინებდენ. რასაც მეფე და მისი გამგეობა ვერ შეიტყობდა ოსმალთ შესახებ, იმის ეს ჩვენი ვაჭრები ატყობინებდნენ, აი ესეც იყო მიზეზი პატივისცემისა. ასეთის საქმეებით ვაჭრებს კაი ამაგი მიუძღვისა. მაშინდელი ფრანგის ვაჭრები ყველანი კაი კაცები იყვნენ, კაი შეძლების პატრონი. მეპურამარილენი და მღვთის მოყვარენი. შეძლებულთ შორის იაკობ ზუბალაშვილმა დიდი შეძლება შეიძინა. ბოლოს

დიდი შიში ჰქონდა ფულის და ქონების, ამიტომ ქუთაისში გააკეთა დიდი შენობა, მაგრამ არც ამ დიდი შენობის შემდეგ დაშთა უშიშრად, ერთხელ თავის ფულს თავი მოუყარა, სკივრებში ჩაწყო და ისე წაიღო გორში, თავის სახლისკენ.

მაშინდელი ვაჭრები ქუთაისში ჰყადნენ ყველანაირ საქონელს, კათოლიკებს გარდა ვაჭრებთ ურიებიც იყვნენ. კათოლიკ ვაჭრებთ შინაურ ვაჭრობის გარეშე გარე ქვეყნის საქონელთა ვაჭრობასაც მისდევდნენ, მაგალითებრ იგინი მგზავრობდენ თავისთვის, სპარსეას, ინდოეთს, რუსეთს და სხვაგანაც, საიდამაც შემოჰქონდათ საქართველოში საჭირო საქონელი და იქაც გავქონდათ ქართველთა ნაწარმოებნი. ვაჭრები რუსეთშიაც ხშირად დადიოდენ, ნამეტურ იარჩეულობას. წესი მგზავრობისა ასეთი იყო: ხუთი ვაჭარი ერთად უნდა შეკრებილიყოს, თითო ვაჭარს თავისთვის საკმარისი თანხა უნდა ჰქონიყო მომზადებული, იმდენი რაც საჭირო იყო მისთვის ფულს გარდა იგინი საქართველოში იძენდნენ დიდ ძალ ისეთ საქონელსაც რომელთაც იქით ჰქონდათ გასავალი, იქ ზოგს ჰყიდნენ, ზოგს სცვლიდნენ სხვა და სხვა საქონელზედ, თითო ვაჭარს თავის წილათ უნდა ეშოვნა ათი კაცი კადევ სხვა და სხვა ვაჭრების, ასე და ამ გვარად სულ 50 კაცი იქმნებოდა და ხუთიც მეთაურნი სულ 55 კაცი უნდა ყოფილიყოს. ყველა ესენი გაიყოფოდა 5 წყობისად, ხუთ გუნდად.

ყოველ გუნდს აქვნდა თავისი ფული, საქონელი, სახმარი იარაღი, თოფის წამალი, ცეცხები და სხვანი.

ყოველი წყობა ფხიზელი იყო მგზავრობაში, მტერთა თავ დასხმის და ბრძოლაში.

ყოველ ჯგუფს თან მიჰქონდა სხვა და სხვა ვაჭარ პირთა დავალებაც, ამისთვის მათ ფულს ატანდნენ თანა, საქონლის სყიდვის დავალებას და ესენი ყოველივეს ასრულებდენ, ამათვე მიჰქონდათ სხვა და სხვა პირთა წერილებიც, იქიდამაც შემოჰქონდათ. მათ სხვა და სხვა წერილები და ცნობები მონათესავეთაგან ნათესავებთან.

მეფისაგან სავაჭროთ წასვლისთვის ესენი ილებდენ წინა-
თვე ნებართვას, მეფე შათ ნებას აძლევდა სიამოვნებით, ამი-
სთვის საგზაო დარაჯებსაც უნიშნავდა, ხარჯი არაფერი გა-
დახდებოდათ, ან იქიდამ შემოტანილ საქონლის ბაჟი.

ვაჭრები ყოველთვის მაღლობელნი იყვნენ მეფისა ამ გვარ
შეღავათისათვის, და ამიტომ უცხოეთიდგან შინ დაბრუნებულნი
მეფეს კაი ძლვენსაც მიართმევდენ. მეფეც სამაგიეროს აგებდა
მათ ამისთვის.

ქუთაისის ვაჭრები ოსმალეთში მგზავრობდენ ბათუმიდამ
ტრაპიზონს და იქიდამ სტამბოლს, რასაკვირველია ზღვით,
მგზავრობა დიდხანს უნდებოდათ, ქართველ მეფის მუარველნი
კაცები მათ საზღვრამდე მისდევდენ, მერე იქ მათ ოსმალოს
მთავრობის კაცები ენიშნებოდათ.

რუსეთში მიღიოდნენ კავკავის მხრით, რუსეთში ვაჭრობა
ჰქონდათ გამართული კავკავს, მოზღოვს, ყიზლარს, ყირიმს,
სტავრაპოლს და ყველა იქ სადაც იარმუკობა იცოდნენ. *)

მეფისაგან ამისთვის ეძლეოდათ მოწმობა რუსეთის მთა-
ვრობის მოხელეებთან, ამიტომ ვაჭრები მეფეს ხშირად მო-
ართმევდენ ხოლმე რუსეთისა საქონელეს, ნამეტურ კამფეტე-
ბის და ასეთ რუსულ ტკბილეულებას, ჭურჭელს, და სხვა
ნივთებს.

ერთის ვაჭრობის დროს, იმერეთის ვაჭრებს გზაში დაე-
ცა დიდი ძალი ყაჩაღების ბრბო. ამათ დასცეს დიდი ძალი
ვაჭრების, ზოგი დაკოდეს. ამ დროს მოკლეს ქუთაისის კარგად
ცნობილი ვაჭარი პეტრე ოციხელი. ვაჭრების ზოგნი გადარჩენ,

*) ეკატერინა იმპერატრიცას ბრძანებით საქართველოს ვაჭართა-
თათვის იარმუკობა დანიშნულ იქმნა 1780 წ. ეკატერინოდარში. იქ ია-
რმუკობა ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და ქართლ-კახეთის
ვაჭრები იქ მიღიოდნენ. სავაჭროდ უეჭველია იმერეთის ვაჭრებიც იქ
ივლიდნენ.

გაცარცულნი ქუთაის მოვიდნენ, მეფეს მოახსენეს ეს ამბები. მეფე შეწუხლა ამაზედ, მაშინათვე რუსეთის მთავრობას წერილი მისწერა და ყიზლარის კომენდანტსაც ეცნობა, რომ თქვენმა ქვეშევრდომ ყაჩაღებმა ჩემი ვაჭრები დაცარცვეს, სა ქონელი წაართვეს და თვითაც დახოცეს, ამიტომ ვითხოვ განკარგულებას, ყაჩაღების დაჭერას, დასჯას და საქონლისაც დაბრუნებას, ამაზედ ფიცხელი მიწერ-მოწერა გაიმართა, რუსეთის კარამდისაც მივიღა. ყაჩაღები დაიჭირეს და ვაჭრებს ყოველივე ზარილი აღუდგინეს, ასევე დახოცილთა ზარალიც გადიხადეს, ამ დროს ქუთაისის ვაჭრებს დიდი ზარალი კი მოხდენიათ. ეს ზარალი საერთო ვაებათ გამხდარა ხალხის და ხოცვის გამო. თუმცვაჭრებს ყოველთვის ყარაულები ახლადათ გარს, მაგრამ მაინც სიკვდილის შიში კი ყოველთვის დიდი ჰქონდათ, ისევე გაცარცვისა და აკლებისა, საქართველოში ქართველთაგან კი იმის შიში ვაჭრებს სულ არ ჰქონდათ, რადგანაც ვახტანგ მეფის კანონის ძალით მტაცველთ და მკვლელთ სასტიკათ სჯიდნენ და მიტომ ესენიც მის გამო ბევრს არას ჩადიოდენ.

ქუთაისის ვაჭრებს უმეტესად გაჭქონდათ უცხოეთში და რუსეთს: წმ. სამთელი, აბრეშუმი, კაკალი და სხვანი, იქიდა- მაც შემოჰქონდათ საჭირო საქონელი. იმერეთის ვაჭრობა XVIII საუკუნიდამ წინ მიღიოდა. ამიტომ რომ მათ იმერე- თიდგან სპარსეთსა და ინდოეთსაც დაიწყეს მგზავრობა და იქ ვაჭრობა, იქიდამაც აქ მათ საკმარისის რიცხვის საქონელი შემოჰქონდათ. სპარსეთსა და ინდოეთში ვაჭრობის გამო ჩვენ იმერეთის ვაჭრების შესახებ გვეი არა გვაქვს, რარგანაც ინდო- ეთში და სპარსეთში ქართველთა ვაჭრობის ნიადაგის სიმტკი- ცე ყველასთვის იყო საქართველოში ცნობილი. ქართლის ვაჭრებთან მიმოსვლა არც ქუთაისის ვაჭრებს გაუძნელდებო- დათ, რადგანაც ქართლიდამაც უმეტესად ახალციხის ქართველ კათოლიკენი იყვნენ, XVIII საუკუნეში, ქუთაისის კათოლი- კეთა ვაჭრებში ბევრი მოზარდნიც ეჩვეოდენ ვაჭრობას და კეთა ვაჭრებში ბევრი მოზარდნიც ეჩვეოდენ ვაჭრობას და

ემზადებოდნენ სავაჭროთ. ხსენებულთ საუკუნის დამდეგიდამ იმერეთში აღორძინდა თუთუნის წარმოების საქმე და ვაჭრობა, თუთუნის ვაჭრობის ასპარეზე, იმერეთში რუსეთის გამგების სამკვიდრების შემდეგ, კარგად იჩინეს თავი თუთუნის მოვაჭრეთა და მექარხნეთა აზნაუროვებმა, ჯიმშეროვებმა და ფირალა-შვილებმა. ყველა ესენი მესხები არიან, ქართველ გვარის კათოლიკენი.

აზნაუროვებს — ერთ დროს ჰქონდათ წარმოება თუთუნის სტამბოლს, ტრაპიზონს და სხვა დიდრონ ქალაქებშიაც, სჭრიდენ თუთუნს, აკეთებდენ საწევს პაპიროზებს, თუთუნის ფოთოლსაც მრავლად ჰყიდდნან და თავის დროს სახელოვნებდენ შესაფერად მთელს საქართველოში.

ჯიმშერიშვილები-კახეთში მრავლად არიან, ოცხელი-ქართველ კათოლიკ ჯიმშერაშვილები ჯიმშეროვად იწოდებიან, ამათაც ფართეთ ჰქონდათ თუთუნის საქმე დაწყობილი, ვაჭრობა თავიანთ დროის კვალად დიდათ, ამათ ვაჭრობა ჰქონდათ გამართული ოსმალეთს, საქართველოს, რუსეთს და სხვა-განაც. შემდეგ კი შემცირდენ, სადღეისოთ არაფერილა დაშთა მათი სიღიადისა.

ფირალაშვილებიც-იყვნენ ცნობილნი მწარმოებელ ვაჭარ მრეწველნი. ერთ დროს ამათაც მიენიჭათ კაი გარემოება და სახელი, დღეს ამ გვარის სამახსოვროდ მხოლოდ ერთი კარგი ფირმა და არსებობს ქუთაისს, მაღლობა ღმერთსა, ესეც კაი, რომ დღეს, კარგის გვარის, ფირალოვების შთამომავალთ თავიანთი ფირმის საქმე ასე კარგად მიჰყავთ. ესეც კარგია.. დანარჩენი აღარავინ არის, მოისპნენ, საკვირველია, ასეთ წარმატებულ პირთა მოისპობის საქმე საოცრება არს. თვითქოს ერთი მეორეს ეჯიბრება მოისპობის მოპოვებაში.

ესეა ეს სოფელი. მოკლეა და გამოუცნობი, მისი კიბე ვიწროა და მოკლე. დღევანდელი მფლობელი ხვალ უცბათ ნატამალად ხდება და პატარა უმჩნევი მწერი, ყოველივე ამაო არს და მის სრულ ნიშან წყალი, თვინიერ სიკეთის, ძმათა

სიყვარულის და სიბრალულის თვით ტახტი და გვირგვინიცი არაფერი ყოფილა. ამის სრული საფუძველია ის გარემოება, რომ ვინც აღრე-იმერთა ვაჭრებთ შორის სახელოვნებლა და იქებოდა, ვისი ოჯახიც მაშინ ბრწყინავდა ქონებით, პურ-მარილით, ძმათ სიყვარულით, შეუძლოთ სიყვარულით ზა სხვა ამ გვა- რებით, აქ, დღეს ასეთის გვართა შესახების აღარაფერია და- შთენილი, ყოველრვე დროსა და მის მიმღინარე მახვილს მო. უცელია და გაუნადგურებია. ეს ვგონებთ ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. რადგანაც აქ ჩვენ ოცხელების სიტყვითაც ვისა- უბრეთ, ამიტომ ეხლა აქ კერძოთ ვისაუბრებთ თვით ქა- რთველ კათოლიკეთა ოცხელებზადაც, მათს გვარსა და ვა- ჭრობაზედაც.

ოცხელები კათოლიკის სარწმუნოებისა არიან, ძველი მე- სხები. მათი მოსვლა იმერეთს, ანუ გაღმოსახლება უნდა ეკუ- თვნოდეს 1790 წლებს. გრიგოლ პეტრეს ძე ოცხელის თქმით: ოცხელების ძველი გვარი მანანაძეა-ანუ მანანაშვილი. ამათი გაფრანგება ოცხეს უნდა მომხდარიყოს იმ დროს (XVII საუკ.) როცა სამცხე-საათაბაგო საქართველოს სამეფოს საყოველთა- თაღ მოსცილდა, ათაბაგობა მოისპო და ახალციხის ფაშობა განმტკიცდა. ამავ დროს მოხდა სხვა ქართველთა გაფრანგებაც, რადგანაც მათ კარს საერთო უბედურება აღგათ და გათათრება ელოდათ. კათოლიკობა ისე ადვილად და კარგად არსად ვრცელდებოდა როგორც ოცხეს, მიზეზი ამის ის იყო, რომ ქართველნი იქ უფრო დაჩაგრულნი და შეწუხებულნი იყვნენ ისმალთაგან. ოცხელები პირველად ოცხიდამ ახალციხეს უნდა იყვნენ გაღმოსულნი. ასე რომ იქ ვაჭრობას შეჩვეულან და მის და მერე იქიდამ იმერეთს გაღმოსულან, იმერეთს გაღმოსკლა ისტორულის სიმტკიცით რომ ვეძებოთ XVIII საუკუნის ნახევარს იქით არ წივა, ჩვენი მოსაზრება მჭიდროდ უახლო- ვდება ისტორიულ და ზეპიონ ცნობებსაც.

როგორც სჩანს ცნობილგან ოცხელები ვაჭრობას ან ოცხეში-
ვე შესჩვევიან და ან კათოლიკის სარწმუნოებასთან უა-
კავშირების შემრევ შეეჩვევოვედნ აღებ—მიცემას, ასეა თუ ისე,
ისკი უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ოსმალოს საქართველოს
სხვა ქართველ კათოლიკენი, ესენი XVII საუკუნეში უკვე
ისეთ ჩენილ ვაჭრებათ სჩანან, რაის გამო ოცხედამ ახალცი-
ხეს გადმოდიან და ახალციხიდამ იშერეთს— ქუთაისა, სადაც
იწყებენ აღებ-მიცემით შრეწველობას. ეს ცნობა და საღი მო-
საზრება გვამცნევს ვიფიქროთ, რომ ოცხელები ძველადგანვე
უნდა იყვნენ აღებ-მიცემას შეჩვეულნი, თორემ უცბათ აღო-
რძინებულ დაჩვევეულ ვაჭრებში იმ დროს ისეთი სწრაფი ცვა-
ლებადი არ მოხდებოდა, რომ ოსმალოს და იმ დროის სასტიკ
შიშის ქვეშ გაზდილ ვაჭარს მალე შესძლებოდა ერთის კუთ-
ხიდამ მეორე კუთხეში გადასახლება, ვაჭრობის დაწყობა,
ისიც ისეთ მოსისხარ სახელმწიფოთა და არსებულ კავშირთ
შორის რაც კი ქართლს, იმერეთს და ოსმალთ შუა არსებობდა.

ასე თა ამ გვარად ვინც კი XVIII საუკუნის ნახევარს,
ახალციხიდამ ქართველ კათოლიკენი ვაჭრობის მხრივ იმერე-
თს და ქართლს გადმოვიდენ, ყველა მათ აღეს-მიცემის ხანა
წინა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ, ასევე უნდა ვეძებოთ ოცხე-
ლების გვარის ვაჭრობის ცნობები, რაზედაც ეჭვი არ არის.
ოცხელების გვარის შესახებ დაშთენილია ესეთი ცნობაც,
რომ ვითომც აცხელი ამათ დაერქვათ კათოლიკობასთან და-
კავშირების შემდეგ, ანუ ვაჭრობის გაფართოვების და იმე-
რეთში გადმოსვლის და ვაჭრობის დაწყობის, იმერეთ შორის
ვინმე რომ იკითხავდა:—თუ სად იყიდე ბიჭო. ეს საქონელი?
მყიდველი ეტყოდა, რომ ამა და ამ ალაგას, ამ აცხელი კა-
ცის სავაჭრო რომ არის, სწორეთ იქიდამ ვიყიდეო. ვვარს
არავინ იხსომებდა იმ დროსაო და ამიტომ ხალხის შეხედუ-
ლებით და გამოხატულებით დარქმევიათ ოცხელიო. ასე მი-
ამბო გრიგორ პეტრეს ძე ოვხელმაც. ამაზედ ჩვენ არას ვი-
ტყვით და ისკი უნდა მოვიყვანოთ, რომ ოცხელების დარქმე-

ვა იმერეთს გარდა ახალციხეს უნდა მომხდარიყოს და იქმნება იქაურს სხვა კუთხეებშიაც, რაღანაც XVIII საუკ. ნახევარს, ახალციხეში, რამდენიმე სასულიერო და საერო პირები სჩანან, რომელნიც გვარად ოცხელებათ იწოდებიან.

გრიგოლ ოცხელის ნაამბობი: „ჯაბა გურიელმა მიამბოვო, — რომ ოცხელები ოცხიდამ მრადიოდნენ ქუთაისს, გურიას, ბათუმს, ახალციხის ფაშისაგან იმერეთის მეფესა და მთავრებთან წერილი მოჰკონდათ, რომლითაც ეცნობებოდათ, რომ თქვენს საბძანებელში ჩემი ოცხელი გვაჭარი მოდის და გთხოვთ ვაჭრობის მხრივ მფარველობა გაუწიოთო, კარგად მოუაროთო. ამიტომ შემდეგ დროში გვარათაც ოცხელები სწოდებიათო“¹. ასეა თუ ისე XVIII საუკუნის შემდეგიდამ, ქუთაისში, ვაჭრობის მხრით ესენითვალთ საჩინოდ სჩანან ამათგანი არს იმ დროს პეტრე ოცხელი, რე ამისი იაქობი და სერგეი სერო. სეროს ძენი, პეტრე, პავლე და ივანე. ოცხელებს თავიანთ დროის კვალიად ასმალეთიდგან იმერეთში გადმოჰკონდათ ყველა ნაირი საქონელი: ჩუსტები, სარკე, ჭურჭელი, ტყავები, ფართალი, ჩაო, შაქარი, ყავა, ქაღალდი და სხვაც მრავალი დროის საჭირო ნივთნი, ფერად-ფერადი, ფართალი და ძაფები ასევე სხვანი ჩვენთვის უცნობ ნივთები და საქონელი.

ოცხელთა წინაპართ ქუთაისში ყარგად მოუწყიათ ვაჭრობის საქმე, ხალხსაც კარგად მოსწყობიან.

იმერეთში, სამცხიდამ მოსულ ვაჭრებთ შორის, პირველად ამათ დაუხსნიათ სამღებროები, პირველი ამათი ქარხანა ყოფილა ლილის სამღებრო, ლილის და სხვათ უმ გვართა საჭირო სახმარ ნივთნი მათ ზოგი ასმალოს საჭაოთველოდამ მოჰკონდათ, ზოგსაც ადგილობრივ იძენდნენ.

იმერეთის რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, სერო და დაკობ ოცხელს პირველად დაუხსნიათ არყის სახდელი ქარხნები. ესენი თურმე მთავრობასაც კი შეეკვრენ იჯარით და რაც კი მთავრობას არაყი უნდებოდა, მხოლოდ ესენი აძლევდენ არაყს, იჯარით ჰქონიათ ამათ აღებული. სხვები ვერ

გაჰყიდნენ, მარტოდ ესენი ყოფილან, ეს მონოპოლიასვება სჩანს. თუმც ისიცკი უნდა ითქვას, რომ ამის გამგეობა ოცნელების ხელში დიღხანს არ დაშთენილა, სხვანიც აღმოჩენილან არყის სახდელს ასპარესზედ შემძლე მცოდნე პირებად. იმერეთის რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, 1814 წ. 18 ივნისს, ქ. ქუთაისს, ცნობას ადგენს რუსის მთავრობის მოხელე და მათ წინაშე საპატიო პირად სჩნდება მოქალაქე იაკობ რაცხელი, ამ პირს ვაჭრობა ჰქონია ფართლეულობით და საწვრიმალოთი, ამისთვის თანხა ჰქონია 2000 მ. მათ წლიური ვაჭრობის რიცხვიც კი არის მოყვანილი თუ წელიწადში რას ვაჭრობდენ, მათი ნავაჭრის ზომა დროის ვაჭრობის თანხმად მეტად კაი ზომისა არის. ამ ცნობილ ვაჭრებთა შთამომავალია გრიგოლ პეტრეს ძე ოცხელი, რომელსაც ქუთაისს და ბათუმს კარგი სავაჭრო ფირმა აქვს, ამათ გვარის სახლიკაცო ოცხელების ქ. ქუთაისს, მეორე ფირმაც არის ოცხელებისა. ყოველივე დღევანდელი ოცხელების მხნე წარმოება ფართლეულობის ჩვენ ცხადს საბუთს გვაძლევს ვითიქროთ, რომ ამათ წინაპართ წარსულში, ვაჭრობის ასპარეზედ კარვი სახელი უნდა ჰქონიყოთ. აწინდელ გრიგოლ პეტრეს ძე ოცხელს ფართლეულობის მხრივ ვაჭრობა ქუთაისიდამ რუსეთს გარეშე სამზღვარს გარეთაც აქვსთ გამართული. იქიდაშაც შემოაქვთ საქონელი და ყოველ სავაჭრო საქმესაც ჩინებულად აწარმოებენ.

ასეთ მოხერხებულ ვაჭრებთ და მათს წარმოებას არამც თუ მარტოდ ჩვენგან უნდა ექმნეს კარგი მნიშვნელობა მინიჭებული, არამედ იგინი რომ ევროპიელნი იყვნენ და ევროპაში ვაჭრობდენ, იქაც საპატიო ადგილს დაუზმობენ ვაჭრობის ასპარესზედ. რადგანაც აქ სიცუკა არათ ჩინებულებაზედ ჩამოვარდა, ამიტომ აქ მოვიყვან შემდეგსაც, რომელიც მე მიამბეს ქუთაისის ძველ ამბებთ მცნობ ვაჭრებმა. მეფის სოლომონ პირველის და მეორის დროს და რუსების შესვლის შემდეგ პირველ წლებში განთქმულნი ყოფილან შემდეგნი ვაჭარნი ქართველ კათოლიკეთა:

იოსებ ანდრონიკოვი, ამის მამა და შემდეგ ქენი, კარგი ცხოვნი ვაჭარნი, გორიდამ მოსულნი. შემდეგ დროს ყოფილი გაბრიელ ანდრონიკოვი, კაცი თავის დროს კაი ალყბ-მიცემის პატრონი.

იაკობ ზუბალაშვილი-ამაზედ აქა იქ სხვაგან გვიწერია, ამიტომ აქ არას ვიტყვით.

ჩინოშვილი, ქუთაისში ჩენილი თავის დროს. ბაჯიოლლი იაკობი, ოსმალოს ქვეშევრომი კათოლიკე. სადათიეროვი, ლუკა კაი ვაჭარი, დავითი და ანტონ მურადოვები ამათ ვევანდათ ამხანაგად ფრანცუზი ერისტო მარკოპოლი, პირველად ამათ დაიწყეს იმერეთიდამ ქალის თმის გატანა რუსეთსა და ევროპას და დასყიდვა კაი ფასებში. სტეფანე თუმანოვი, ოზურგეთელი, ქუთაის გადასული, მომსწრე მრავალ საქმეთა იმერეთის ერის, აკოფოვი სტეფანე, სიმონ ხითაროვი, ივანე ტიტინიკაშვილი, ოცხელები, ყაუხებაშვილები სამარს და მაკარიას გარდაცვლილნი და ცნობილნი. ამათ გარდა სხვებიც მრავალნი ყოფილან, მაგრამ მათი ცნობა ჩვენ არ ვვაქვს. არც მათ ცნობათა მომთხრობნი სჩანან, ის კი უნდა ითქვას რომ ყოველს შათგანს სჭერია ხელში კაი საქმე, კაი სავაჭრო ბოლაზი, ყოველ მათგანი ვაჭრობისთვის მგზავრი ყოფილა ოსმალეთს, სპარსეთს, რუსეთს და სამზღვარ-გარეთაც, მათ დიდი ძალი საქონელი გაჰქილათ და შემოჰქონდათ, მათვე ასწიეს მაღლა და დაადგინეს ლორის ჯაგრის ვაჭრობა, რაც მაშინ იმერთა წინაშე ერთობ უმნიშვნელო იყო და დღესკი ისეა წინ წასული, რომ იმერეთში ლორის ჯაგარი ფუთი 30 მ. იყიდება, წინეთკი იმერთ შორის ჯაგარს არავინ ჰკიდებდა ხელს, ყოველივე უბრალოდ სანაგვეზედ მიღიოდა; გადასაყრელად. მის საჭიროება არავინ იცოდა, ხსენებულ პირებმა შეატყობინეს იმერთ ჯაგრის კითარება.

ასეთ ვაჭრებთა საშუალებით, იმერთა ერის წინაშე ასეთი საქმენი ერთი და ორი არ ვაკეთებულა, არამედ მრავალი შემოსულა და განთესილა. დღეს, თუ იმერეთ შორის ვაჭრობა და რეწველობა არსებობს ყოველივე ეს შემოტანილა, დაფუძნებუ-

ლია და ოსტატობით გავრცელებული ახალციხელ და ქუ-
თათურ ქართველ კათოლიკეთა წაჭრებთაგან, რომელთაც ჩვენ-
გან არ დავიწყება მართებს და მარად შამს ჰატივით მოგონება.
იმქრეთის ერში ასეთის ამაგის დათესის მნიშვნელობას მათ
ვერავინ წაართმევს, ეს მთელშა იმერეთის ერმა და ვაჭრებმა
კარგად უნდა იცოდენ, რომ სოლომონ მეფის დროიდგან
დაწყებული 170—200 სავაჭროთა არსებობას დიდი მნიშვნე-
ლობა უნდა მიეცეს მათ მაზარუ ვაჭართ და მრეწველთ წი-
ნაშე. უამისობა არ შეიძლება. დღესაც კი, თუ ვინმე ისურვებს
და გამოიკითხავს ქუთაისს, იმერთ ვაჭრებთ შორის, თუ მათ
ვისგან ჩსწავლეს ვაჭრობა და მრეწველობის ვითარება, ყო-
ველივე გამოსჩნდება, რომ ქართველ კათოლიკეთაგან: თვით
ქართველებში კარგად ქებული სუნნოვან წყალთა გამსყი-
დავ გამომხდელი მიტ. ლალიძეც კი ქართველ კათოლიკეთა
ნაამაგდარია. უნდა ითქვას, ქუთაისში და სხვაგანაც, იმერთ
მეუეთა დროიდგან არ ყოფილა რამ სავაჭროთა განყოფილე-
ბა, მრეწველობის საწარმოებელი და ისევე სხვანი, რომ მის
ნაწილი ან სრულიად და ან რამდენიმე ქართველ კათოლიკე-
თაგანს ხელში არ ჰქავებოდა და არ ეწარმოებინათ. ამისთვის
იგინი რამც თუ ქუთაისიდამ საქართველოს სხვა და სხვა კუ-
თხეებში მოგზაურობდენ და საალებ-მიცემო საქმეებს მართავ-
დენ, არამედ აგინი ამის გასავითარებლიდ მოგზაურობდენ ოს-
მალების, სპარსეთს, რუსეთს, საფრანგეთს, იტალიას და სხვა
ასეთ შორს ქვეყნებშიც, სადაც მაშინ მგზავრობა ერთობ ძნე-
ლი იყო და ნამეტურ აღებულიცემა, საქონლის გატანასა და
შემოტანაზედ ხომ ველარ იტყვის კაცი რამეს, დიდი სიძვი-
რე ყოფილა მაშინ ყოველისფერის მგზავრობის და საქონლის
გატან-შეტანის.

ქუთაისის ვაჭრობა იყო შუაგული მთელის იმერეთის ერის ვა-
ჭრობის, ყოველი დაბა იმერთ სამეფოს თუ სამთავროების მხო-
ლოდ ქუთაისს ეტანებოდა და აქ ყოფილ ვაჭრებისაგან ვაჭ-

რობას და თავიანთ კუთხეებში საქონლის შეტანასა. მთელი
იმერეთის ერში ცნობილი იყო ქუთაისი და ქუთაისის შეძლე,
ბულნი ვაჭარნი და მიტომაც იყო, რომ ყოველ დაბის სოფ-
ლის და ქალაქის ვაჭარიც აქ მოილტოდა ალებ-მიცემისათვის-
ქუთაისს ელტოდენ არა მარტო შინაურ დაბათა და ქალაქთა
წვრილი ვაჭრები, არამეთ აქ მოდიოდენ ოსმალთა და სპარს-
თა ვაჭარნიც, ნამეტურ ბერძნები და ხანდისხან ევროპიელნიც,
ფრანცუზნი, ნემენცი, ინგლისელნი და ავსტრიულნიც. მოკ-
ლედ ვიტყვით, რომ ქუთაისის კათოლიკობას ვაჭრობის მხრივ
მთელ იმერეთის ერთან ჰქონდა კავშირი და იმერეთს გარდა
ოსმალების სამფლობელო ფოთშიაც კი კი დაახლოვებული
ალებ-მიცემა ჰქონდათ. ფოთში ხშირად შედიოდენ ქუთაისის
და სხვა ქართველთა ვაჭრები და ოსმალებიდამ შემოტანილ
საქონელზედ ვაჭრობდენ.

ფოთი. ოსმალების მფარველობის დროს, მთავარს ძალას
შეადგენდა ოსმალთა მთავრობისათვის. შავი ზღვის ნაპირას
მდებარე ნავთ-საღვურ ქალაქებთ შორის ფოთი პირველი იყო,
მას ოსმალთა წინაშე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა
ფოთი ადგილ მდებარეობის და გემების მიდგომის სანთიანის
ადგილებითკი არ იყო ჩენილი, ფოთს სხვა ადგილები ბევრად
სჯობდა და ნამეტურ ბათუმი. მაგრამ არა ოსმალთა სამეფოს
ძლიერება უფრო ფოთს აწვებოდა და იქ იკრებდა ყოველ
ნაირს ძალას, რაისა გამო სურდათ და ეგონათ რომ სამეგრე-
ლოსაც დალისტანის მსგავსად გავათათრებო. სამცხე საა-
ბაგო და მასთან გურია თითქმის ოსმალთაგან ალებული იყო
და საქმე გათავებული, ხალხი გთათრებული. საქმე საძნელო
და იმერეთი იყო, რომელთა გათათრების ძალათაც ფოთს
სთვლიდნენ და ამიტომ ფოთში ამრავლებდნენ ყოველნაირს
ვაჭრობას, იქ ყველაფერი საქონელი შემოჰქონდათ, რათა მის
საშუალებით მიეზიდნათ იმერეთის ვაჭრები. საქმე აქ მარტო
საქონელთა ვაჭრობის წახალისებით კი არ ისაზღვრებოდა,
არამედ ჩვენდა საუბედუროთ, აქ ბაზარი იყო დასაციდათ თვით

ქართველ ქართველ ქართველი, სადაც მართლაცა და 1840 წლამდე, ვიღრე ფოთს რუსეთისათვის ბეგლარ ორბელიანი აიღებდა, მინამდე ჯე ქართველთ შვილები ხშირად იყიდებოდენ. ასე იყო თუ ისე იყო, ფოთის საქმე როგორც ძველად, ისევე შემდეგშიაც ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებს აქვთ დიდი მისვლა. მოსვლა და აღებ-მიცემის კავშირი ჰქონდათ.

ფოთის ნავთისაყუდრების გამო ჩვენ ბევრი ცნობები არ გვაქვს, მის ცნობები ოსმალთა ბარბაროსის ფრთხოა ქვეშ დაიკარგა. მის ცნობები მხოლოდ 1815 წ. შემდეგიდამ ჩნდება, როცა იგი რუსებმა აიღეს. მის წინეთ ყოფნის ცნობები ვაჭრობის მხრით ჩვენ არა ვიცით რა, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ფოთში ოსმალოს ფაშა იჯდა, რომელიც მთელის აფხაზეთის ფაშით იგულისხმებოდა, აქედამ განაგებდენ მთელს კუთხეს მუსულმანთა წესებით და აქვე იყო ოსმალთა სავაჭრო შუა გული, სადაც შემოჰქონდათ ოსმალოს სხვა და სხვა საქონელები და ამ საქონელს იგინი ასაღებდენ იმერეთის ვაჭრებზედ. ფაშობის დროს, ფოთში 300 მდე ოსმალთა ვაჭართ პატარა სავაჭროები ყოფილა და ამდენივე მეგრელთა ვაჭრებთა, იმერთა და ქუთისელთ ქართველ კათოლიკეთაცა.

ფოთში თათრობის დროს რუსეთიდამაც ხშირად შემოდიოდნენ. თევზის და ნამეტურ ზუთხის და ხიზილალის ვაჭრობა აქეთ ძველადგანვე სულდნიათ. იმერეთის უმეტეს ნაწილს აქედამ ეზიდებოდენ თევზეულობას. რუსეთის გაძლიერების შემდეგ აქეთ კათოლიკებმაც მრავლად იჩინეს თავი, ამათ მახლობლივ გამრავლდენ აღებ-მიცემის მხრით ფეიქაროვები, ყოყოჩაშვილები, ბაინდუროვი, ხოჯაშვილები, ასლანოვები და სხვა. შემდეგ ამ გვარის პირნი ისევ ქუთაისს მიიქცნენ. დღეს ფოთში კათოლიკეთ რიცხვი ძრიელ მცირეა, აღრეფი აქ იმდენი იყო რომ მათთვის ეკკლესიაცი იქმნა საჭირო, ერთ დროს ამის გაკეთებასაც ფიქრობდენ, ამას ჩვენ აქ ვასახელებთ როგორც კათოლიკეთა რაოდენობის გამომხატველს. ფოთში ყოფილ ქართველ ვაჭართა შესახებ დაშთენილია ისეთი ცნო-

ბაც.— „ქართველ გაჭრებმა ფოთში არის ზიღვა და გამოხდა ადრინდგანებულ დაიწყეს და იქიდამ რუსეთშიაც გაჭქონდათ“.—ვინ იყვნენ ეს ფაქტარები და არყის მხდელნი ამისი ჩვენ არა ვიცით რა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, იგინი სულ ქართველ კათოლიკენი ყოფილან. დგონებთ თუმანაშვილები, ოცხელები, ზუბალაშვილები და ზოგიც სხვანი. ერთის მხრით კიდევ შესანიშნი ცნობანი.

ფოთში ქართველ კათოლიკეთ ძველი ვაჭრები შესანიშნავად აკეთებდენ წნელის გოდრებს, კალათებს, სხვა და სხვა ჯინებს, ნიჩებს, თოხებს, წერაქებს და სხვასაც ასეთებს მრავლად, ყველა ესენი ვაჭრებს 1810 წლის შემდეგიდამ აქეთ იქით გაპერნდათ და ჰყიდნენ, გოდრები, კალათები და სხვა ამგვარნი ქებული იყო იქ. სხვა და სხვა იარაღი მთავრობასაც უხვად სპირდებოდა, ამიტომ ამათი საჭიროებაც ამრავლებდა მათს განვითარებით წარმატებას. ზოგნი ამბობენ, რომ ვითომეც შველა ესენი ისმალეთიდამ იყო ფოთში შემოსული და გავრცელებულიო, მაგრამ არ გვგონია, რადგანაც ასეთ საჭიროებათა კეთება საქართველოს სხვა კუთხეებში უფრო უკეთ იციან და ნამეტურ აქარა-ლიგანაში. უნდა ითქვას, რომ ამ კუთხეში ყველა ხსენებულ საწნავთა ხელობა ერთობ კარგად იცოდნენ და ნამეტურ საცრების კეთება და სხვა ამ გვარ იარაღების გამოიყვანა რაც ქვის ჭრისათვის იყო საჭირო. ასე რომ ძველად თუკი არსებობდა ფოთში რამე ხელობა ყოველივე იგი იყო ადგილობრივ, იქაურ ქართველთ წინაპართ გონებიდამ გამონაწყობი, ამის უარს ვერავინ იტყვის. ყოველივე ჩვენია იგი ავია თუ კარგია.

ქართველი მეფეთა დროს უცხო ქვეყნებიდამ შემოტანილი

საქონელთა იჯარა

უცხო ქვეყნებიდამ საქართველოში საქონელი თავისუფლად შემოტკინდათ. მასზედ არავითარი იჯარა არ იყო, საქონელს მორტანდა სოველაგარი და საღმე ქარვასონის თავისუბში დაწყობდა. წვრილი ვაჭრები აქედან ყიდულობდენ საქონელს და თავ-თავიანთვის მიჰკონდათ გასასყიდლად. გამსყიდვი სოველაგარი ცნობებს აღგენდა თუ ვინ, რომელ ვაჭარმარა საქონელი იყიდდა. ამის გვარსა და სახელს სოველაგარი თფილისის მელიქს, ან მოურავს გადასცემდა, იგი სუნავდა ყოველივეს დაწვრილებით, მერე წავიდოდა ვაჭარის სავაჭროში და ხარჯს დაადებდა, ვაჭარი იჯარას იხდიდა საქონლის გაყიდვის შემდეგ, ისიც ძრიელ მცირედ. სრულიად უმნიშვნელოს. მართალია მაშინ იჯარა ფი ყველაფერს ედო, თვით ბურნუთსაცკი, მაგრამ ყველაფერს მცირე გადასახადი აქვნდა. ვაჭარი ხარჯს ისე იხდიდა, რომ მით მას არავითარი გაჭირება არ ემცნეოდა.

აბა რა ხარჯი უნდა იყოს და გადასახადი, საზოგადოთ, მაშინ მთელის თფილისის აბანოებს ხარჯად წელიწადში 120 მანათი რყო თურმე, ხან მეტი და ხან ნაკლები. ეს რიცხვი აუსტურლამაშია, ც ძოიხსენება. ვსთქვათ ეს იყო 1720 წლებში, შემდეგკი შეიძლება მეტი ყოფილიყოს, მაგრამ მაინც ისე მეტი არ იქმნებოდა რომ მისი ანუსხვა ლირდეს განცვითრებით. ამავ წიგნის სიტყვით ლვინოზედაც მცირე ხარჯი იყო და არაყზედ ლიტრაზედ ექვსი შაური. ვინც იჯარით აიღებს ის წლიურად გადიხდიდა 200 ან 250 მ. მის მეტი სხვა ვერვინ გაჭირდდა. მერე ამის გამონახადს სხვები გაპყიდენ, რასაკვირველია პატრონისაგან დადგენილ ფასებშია.

ბურნუთის და თუთუნის იჯარად წელიწადში 100 მან. იყო გადასახადი. 1796 წ. არაყისა და ლვინის იჯარა მთელს თფილისში 800 მ. გახლდათ. 1798 წლიდამკი 1000 მ. იყო.

სულ ეს გარემოება იყო რომ ქართველ ვაჭრები უცხოეთში ისე ხშირად დაიარებოდენ და იქიდამ სხვა და სხვა საქონელი შემოჰქმნდათ საქართველოში. ესევე გარემოება ახლოსებდა მათ. თუმცა ბაზრობიდამ დასავაჭროებიდამ იხდიდა ყველა ვაჭარი სამეფოსთვის ნავაჭრიდამ რამე ნაწილს, მაგრამ იგი ისე მცირე იყო, ისე უმნიშვნელო, რომ იგი ვაჭარს სრულებით საქმეს არ უფერხებდა. სულ ამის წყალობა იყო, რომ მაშინ საქართველოს ვაჭრებთ გაკოტრება იშვიათი იყო. ამ გვარი საქმენი მაშინ ხშირად არ ხდებოდა. ერთი შედეავათი ამ ვაჭართა ისიც გახლდათ, რომ ვაჭრებს ხდებოდათ წელიწადში სახელმწიფო ხარჯთ ექვსი აბაზი და ხელოსნებს 70 კაპ. იმდროის კვალიად ეს არ გახლდათ დიდი ხარჯი, რომ იმას ყველა ვაჭარი და მექარხნე აღვილათ იხდიდა. მექარხნეებზედკი უფრო ცოტა იყო ნამეტურ მათს ხელოსნებსა და მუშებზედ. სულ ეს პირობები იყო, რომ მაშინ ხალხი ვაჭრობის და ხელოსნობის ასპარზედ არ იყო ეხლანდურად მშერი და გულ მუცელ დარღით და ბოლმით ავსილი. ასე მცირე იყო მაშინ იჯარა.

გიმრის ხელობის ამბავი და საზოგადოთ მმიღთა და
ლითონთა.

ჯშირის ხელოსნობა საქართველოში ძველადგანვე სჩანს. ამის ხელოსნობა ისეთივე ძველია, როგორც ჩექმის, თერ-
ძის, ჭონის და ყაზახის. ხელოსნობის არსებობა კარგად სჩანს, ხოლო ისკი არ ვიცით, თუ პირველად ამ ხელოსნობას საიდამ მიეკა
დასაწყისი, განვითარება და წალორძინება. ამ ხელოსნობის
აღორძინებას თავის საკუთარი ისტორია აქვს. ოლხინის თქმით *)
ბევრს კუთხეს და ერში სხვა და სხვა ხელოსნობა ისე აღორ-
ძინებულა და განვითარებულა, რომ იმას სხვათა ტომთა გავ-
ლენა ერთობ დიდი ჰქონია. მართალია, რომ ჩვენ, ქართველ ებს
მაგრი და კეტილი ცხოვრება არ გვქონდა, ჩვენ აღვილათ ვე-
კედლებობიდ სამეზობლოთ სპართ, ოსმალთ, არაბთ, სომეხთ
და ქალდეველთ, მაგრამ ვიტყვით იმასაც რომ იყო დრო და ხა-
ნა ჩვენთ შორის განვითარებისა, როცა უცხოთ გავლენა ჩვენ-
ზედ მხრლოდ გარეეგნობით ხოებოდა, შინაგან საქმეებში ჩვენ
ჩვენს ძლიერებას ვიჩენდით.

ასეთია მაგალითებრ ქართველებში ლითონთ ისტორია და
მასთან გრძელის ხელოსნობის აღორძინება, ამათვე დაუკავშირე-
ბთ ქარვის, მარჯნის, ლალის, ფირუზის, ზურმუხტის და ალ-
მასის. ასეთ ქვათა ხელოსნობა ჩვენში ძველადგანვე სჩანს, ზოგს
ქვას თავ-თავის დროს წამლათაც ხმარობდენ, ამის მაგალითია
ხვითოს ქვის ხმარება სამკურნალოდ საქართველოში. ყოველს
აქ მოხსენებულ ქვათა ოსტატობას და ხმარებას თავის ისტო-
რია მჭიდროთ არის დაკავშირებული არაბთა სახელოსნო გა-
რემოებასთან, სპარსთა, ინდოელთა და სხვათა, ხოლო რაც
შეეხება ქვათა შორის მოხსენებულს გრძელის ამბავს და ხელო-
სნობას ესკი ნამდვილადი კერძოდ საქართველოშია აღორძინებუ-
ლი და წარმატებას წესული, ამ წარმატებას ხელს უწყობდა-
აღმოსავლეთის ერთა განვითარების ლტოლვა.

თამამათ ვიტყვი, რომ თუ აღმასის, ქარვის, ლალის,
ფირუზის, მარჯნის და სხვათა ძვირფას ლითონთ ხელობის და
მოპოვების განვითარება ნილოსის კიდეებზედ უნდა ვეძებოთ,

*) წარმატება კაცის გონებისა ტ. II.

ეფრატს, ელადას, არაბისტანს, ასურეთს, ფარსისტანს და ინ-
დოეთს, მათთან ვიტყვით იმისაც რომ გიშრის განვითარების
ხელოსნობის ამბავი კი პირდაპირ საქართველოში უნდა დავ-
სდგათ, რაღანაც თვით ამ ქვათა მაღანიც ძველადგანვე იქმ-
ნა საქართველოში გამოჩენილი და სახელოსნოს წარმატებით
წინ წასული. ამ ხელობას მაღა თავის თვალთ საჩინო ასპარე-
ზიც გამოუჩნდა, მასზედ აღმოსჩნდნენ გიშრის ხელოსნობის
კარგად მცოდნე ოსტატ ხელოსნები, მათ შექმნეს გიშრის ოს-
ტატური ხელოსნობა. ამის ძიება და ოსტატობის ვითარება
უმეტესად იმერეთში წავიდა წინ, საღაც გიშრის ბინათ სადგუ-
რი ანუ სამშობლო ადგილებიც უხვათ არსებობდა. მოკლეთ
უნდა ვსთქვათ, რომ ძველადგანვე გიშრის ხელოსნობის ოს-
ტატობამ და მის განვითარებამ იმერეთში აიდგა ფეხი. გიშ-
რის ხელოსნობა იმერთ საკუთრებას შეადგენს და ამის ხანა
იქ უნდა მიახწევდეს ერთობ უძველეს დროს, თითქმის ქრის-
ტეზედ წინედ, მაგრამ ამაზედ ჩვენ არას ვიტყვით, დავასახე-
ლებთ მხოლოდ შემდეგ დროს, როცა ქრისტიანობა გავრცე-
ლდა საქართველოში, როცა მონასტრების შენება დაიწყეს
და მასთან ბერ მონოზნების გამრავლება, ბერ მონოზან-
თათვის ერთად საჭირო შეიქმნა კრიალოსნების ხმარებაც.
ამან უფრო შეუწყო ხელი გიშრის ოსტატობას და მომავალში
უფრო წარმატებით მიეცა აღორძინებას. შემდეგ საქმე ისე
მოეწყო, რომ ამ ხელოსნობის შესწავლა დიდის ხალისით და-
იწყეს თვით ქართველთ ბერებმაცა.

ქართველთ ბერების ხელში ამ გიშრის ქვის ქრის ხელო-
ბამ უფრო ნაზი თვისება მიიღო, მინამდის თუ ერის კაცნი
აკეთებდენ მხოლოდ გიშრის ჩიბუხებს, თვლებს, სამაჯურებს,
კრიალოსნებს, სხვა და სხვა ნაზის ჭურჭელ და საყურადღებოთ
სამზერ ნივთებს, მის მოღმა, ბერებმა იწყეს უფრო უკეთ გი-
შრის კრიალოსნების კეთება, ჯვრების, ოდიკების, სხვა და
სხვა საეკლესიო იშვიათთა ნივთთა და ეკკლესიაში სახმართა
ჭურჭელთა და სხვათ ამ გვარებთა. საქმემ იქამდის მიაღწია,

რომ გიშრისაგან გამოყვანილ ნივთთა ღიღის პურობონენ მეფენი, მთავარნი, დიდებულნი, მცირებელნი და საერთოთ ყველანი. არის უნობები რომ გიშრით აკეთებდნენ თვით გვირგვინებსაც, სამკვეთლებლებს, საინებს, სამარილებსა და სხვათაც ამ გვართა მრავალთა, ბევრი რამ ნივთები ჩვენთვის უწნობიც არის.

ყველა ამაებს საქართველოს უხსავარის დროიდამ XVIII საუკუნის გასვლამდე ჰქონდა თავისი პატიოსანი ხანა, ჩენილი ძახელოსნო პირობები, ეს პირობები გრძელოცული იყო კარგის პურივით და ყოველივე გიშრის ხელობის ოსტატი ერის კაცი იყო თუ ბერი იქებდა და იდიდებდა ყველგან საერთოთ და საზოგადოთ გიშრის ხელობის ოსტატობას თავის საკუთარი რთული თვისებაც ჰქონდა და ამ თვისების გარს კარგი წამხალისებელნი და პატრონიც ჰყვანდნენ, ესენი იყენენ ჩინებულად და კარგად მცოდნე გიშრის ხელოსნობის და მისგან გამონაყვან ნივთთა ვაჭრობის და აღებ-მიმცემი, რომელთაც საქართველოს გარეშე აღმოსავლეთის ყველა ხალხებშიაც გაჰქინდათ ეს ნივთები და იქ ავრცელებდნე და ჰყიდენ. ამათვე შემოჰქონდათ ძველადგანვე საქართველოში ყველა ძვირფასი ქვების ფილი სისტემის მიერთ და საქართველოში სახანს ძრიელ ძველის დროიდგან.

ქარვა. სახანს ქრისტეს წინეთ პირველ საუკუნეებიდამ.

დალი. სახანს ძველადგანვე და იგი შემოაქვსთ საქართველოში არაბისტანიდამ.

იაგუნდი. სახანს ძველადგან და შემოაქვსთ არაბისტანიდამ.

იგი მოიხსენება ძველ ქართულ წიგნებშიაც.

მარჯანი. სახანს ვინ იცის როდიდგან უმეტეს ნაწილ ასეთ ძვებისას ვპოულობთ ძველს საფლავებში, სხვა და სხვა ნივთებში, ხატებში, ბეჭდებსა და სამაჯურებში ჩასმულთა რომელთა ხელოსნობაც ერყობა კარგი შესაფერი თავის დროის ნიჭის წარმატება და.

გრარი, ძვირფასი თვალი, უხსავარის დროიდგან სახანს.

დოუნგულის ფიცარი (მარმარილოს ქვა) შესანიშნავად წინ
წასული ხელობა ძველადგანვე საქართველოში და ამის ქვეშვე
ალორძინდა იმერეთში ქვის მვრელობა, კანდიკი და ჩუქუ-
რთმა რაც ერთობ მდიდარია ჩვენს ნაშთებში.

შარგლითი. საქართველოში შემოდის ძველადგნა ელადი-
დამა. ბევრი კიდევ სხვა ძვირფასი ქვათა ხელობანი იყო
საქართველოში ძველადგანვე გავრცელებული. მათი ხელოსნო-
ბა უმაღლეს წერტილამდე იყო ასული, მისი ავეარგიანობის
ცოლნა ისე იყო მოფენილი, რომ ძველად მათ სასარგებლოდ,
ძველ ქართველ ბრძენ კაცთაგან სახელოსნოდ სახელმძღვანე-
ლო წიგნიცაი დაიწერა, ასეთმა სახელმძღვანელო წიგნებმა
ჩვენ დრომდესაც მოაღწიეს. ასეთი ხელთნაწერი მეც წამიკი-
თხავს, დღეს იგი მოიპოვება „ურა კითხვის სამართველოს სა-
მკიონხველოს წიგნთ საცავში“ (ჩუბინაშვილის განყოფილება)
მასში აუარებელი ქვებია მოხსენებული, მათი მოპოვების დრო,
ადგილნი და ხელოსნობის განვითარება, მერე მათ ალებ-მი-
ცემის დაწყობა.

რაც ჩვენ ზემოთ ქვები მოვთვალეთ, თვით ანდაშატიდაშ
(ალმასი) დაწყობილი ყველა თვალისა და ქვის ჭრის ოსტა-
ტობა და წარმოება ქართველებმა კარვად იცოლნენ. ქართველ
ხელოსან ვაჭარ მრეწველნი ამ თვლებისთვისხშირად მგზავრობდენ
არაბისტანს, სპარსეთს, ინდოეთს, ელადას, რომს, ფინიკიას,
ასირიას და სხვა. რაც საქართველოში ნივთები არ იყო ის
ამათ იქიდამ შემოჰქონდათ და მით ამკობდენ დიდებულთა
ხმალს, ხანჯალს, იარაოს, ქალთა სამკაულთა, მუთეთა გვი-
რგვინთ და სამლელ-მთვრო მიტრებთა, სამოს და სხვათა:
ძველის ძველად ამითვე ამშვენებდენ ქართველთ ღმერთთა სა-
ხეებს და მათ სამკაულებს.

ისიცკი უნდა ითქვას, რომ ქართველთ შორის ამ ნივთთა
ხელობა და ალებ-მიცემა დიდის სიტრთხილით და სინაზით
ვრცელდებოდა, მის ხელოსნები დიდათ იქებოდნენ და იდიდე-
ბოდენ, ყველა მოწინავე პირი მათ შესაფერს პატივს ანიჭე-

ბდა, ყველა კაის თვალით უმზერდა, სულ ამის მიზეზით იყო, რომ ძველადგანვე ამ ძვირფას ქვათა ხელოვან ხელოსანთა და ოლებ-მიმუემთა თავიანთი წელობის მნიშვნელობა ერთი ათად ოლამალლეს და ნამეტურ შინაურ ლითონთა და ქვათა სტატობაც უმაღლეს წერტილზედ აიყვანეს, მაგალითებრ.

მარშარიანის ლურჯი ქვის ფიცარზედ სჭრიდენ მაცხოვრის ტანჯვას, მღვთისმშობლის მიცვალებას, ამაღლებას, ქართველ მეფეთაგან მღვთისადმი გუნდრუკის კმევას. ქრისტეს ისტორიას გარეშე ძველის აღთქმიდამ ადამ და ევას, სამოთხეს, აბრამისაგან ისაკის შეწირვას და ბევრიც სხვათა ასეთებს. ასეთმა ქვებმა ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს. იგი დიუს წარმატებაში იყო წასული. ძეგლებისთვის იგინი ლურჯს და თეთრს ქვებში სჭრიდენ ბევრნაირ ცხოველებს და ხშირად თვით გარდაცვალებულთ პირთაც: გვირგვინოსან ცოლ-ქმართ, მეომარს თავის შვილდ ისრით, მხედარს, მეფეს, ღედოფალს თავის სამკაულებით, ქურუშთა მღვდელ მთავრებს და სხვათაც თავ-თავის შესაფერის ნივთებით.

მარშარიანის თეთრი ქვის ოსტატობაც ძრიელ წინ წავიდა, იგი იხმარებოდა ყველა ტაძარსა, საკურთხეველსა და ძეგლებზედ, ყველგან ხელოვნურად ცვრცელდებოდა მისი განვითარება. ყველა ამ ქვათა და ლითონთა ხელოვნობას და ოლებ-მიცემას ქართველ საერო პირთა გახლდა სასულიერო პირნიც მისდევდენ, უფრო მონასტერში ბებრები. ისიცკი უნდა შენიშნოს, რომ ქართველებში, უფრო კარგად და ხელოვნურად ასეთ ქვათა ოსტატობა მიღიოდა წინა, რომელთაც აღგილ მდებარეობა, ანუ ძირი, ბინა საქართველოში ჰქონდათ, ქართველთ ხელოვანი ხელოსანი მას საქართველოშივე პოულობდა, უცხოეთში მგზავრობა მას არ უხერხდებოდა. სწორეთ ასეთი იყო საქართველოში გიშრის ხელობის ამბავი. მისი ხელოსნები ძველადგანვე იმოდენად მრავლად მოიპოვებოდენ, რომ იმერეთში კერ ნახავდით საღმე სოფელს, რომ იქ ამის ხელობის და ოლებ-მიცემის მცოდნე არ გენახათ. გიშრის ბი-

ნაც რასაკვირველია აქეთ იყო, აქეთ იყო ამის შშობელი ადგილი. გიშრის ხელობამ თავის განსაკუთრებული ხელოვნურ ხელოსნობის სახე შეიძინა, მის ოსტატ-მწარმოებლად ქართველნი აღმოსჩნედენ. იმერეთში მრავლად აკეთებდენ ამის ნივთებს და იგი უცხო ქვეყნებშიაც გაპქონდათ.

სამწუხაროდ, როცაკი ჩვენს ქვეყანას მტერი ევლინებოდა და რამე უბედურობა ხდებოდა, მაშინ ეს გარემოება ქართველთ ხელოსნობაზედაც დიდათ მოქმედებდა, ხანდისხან რომელიმე რთული ხელობა ძირიან ფერსვიანათ ეცემოდა, მის მცოდნეთა რიცხვი აქა იქ უმნიშვნელოდ ითარებოდა, გაისვლიდა ხანი, ყოველივე დაწყნარდებოდა და რთულ ხელოსნობის და აღებ-მიცემის საქმეც კვალად დაიწყებდა. წარმატებას, მაგრამ ეს იქმნებოდა დროებით, გაბრწყინვებულს რაკიდევ მოევლინებოდა დაგეშილი მტერი, მის მოსვლით უპირველესად სულ ნაზს და რთულს კარგს თვალთ საჩენს ნივთებს, ხელობას და აღებ-მიცემას ევლებოდა ლახვრად, მას აუძლოურებდა და ესობოდა გარს უსასტიკესად, ეს ასეც არის შენიშნული და ყოველი მტრის მოვლენა უფრო რთულს სახელოსნო, თუ საგანგებო ხელოვნურს ნაკეთ ნივთებს ევლიანებოდა, მტერი უფრო ასეთ ასეთ ნივთებს ეტანებოდა, მას ელტოდა, იტაცვდა, ანგრევდა, აქცევდა, ყოველივე თან მიჰქონდა, ყოველივე საგანგებოდ მოწყობილ მეცნიერულად ნაკეთებნი მტრის უმეცრების წერაქვას ქვეშ ილახებოდა, ჰქონებოდა. ამას მეტად დიდი ისტორია აქვს. ეს ისტორია ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

რაც ჩვენ ქვები დავასახელეთ, ყველა ამ ქვებს ქართველობაში ჰყავანდენ პირველად მომპოვებელნი ოსტატ ხელოსნები, მერე ხელოვნურად მკეთებელნი და უკანასკნელ ნაკეთის შესაფერის ფასის განმსაზღვრელნი და აღებ-მიმცემნი, ანუ ვაჭარნი. ამისთვის მათში ყველას აქვნდა სახელოსნო და სააღებ-მიცემო ბინა, სადაც ხალხი მიდიოდა სავაჭროდ, იქვე იცოდენ შაგირდების ყოლაც როგორც ხელოსნობისთვის,

ისევე ალებ-მიცემისთვის, ყოველთვის საქართველოდამ უცხო-
ეთში თუ მიღიოდა აშ საქმეთა ვინმე მწარმოებელი, იგი ალებ-
მიცემაში და მრეწველობაში განთქმული უნდა ყოფილიყოს,
უამისოდ იგი ვერას გახდებოდა, ასეთ კაცთა თავიანთ ნაკეთ
ნაგებ საქმენი ერთობ ხშირად გაჰქონდათ ქონსტანტინეპოლის,
სპარსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და თვით ინდოეთშიაც კი.
დღესაც ხშირად შეხვდებით ხოლმე უძველეს დროის ძვირფა-
სად ნაკეთ ქვათა, საღაც ქართველ ხელოვან ოსტატ მრეწვე-
ლის სამოწმოდ გამკეთებლის რამე ნიშანი სჩანს, რასაცირვე-
ლია ქართული ასო და ან სხვა რამ ქართველობის მომასწა-
ვებელი ნიშანი. ასეთი მნიშვნელოვანია ხსენებულ ქვათა წა-
რსული და მისი ისტორია, ასეთი ფაქიზი და თვალთ საჩინოა,
მაგრამ დღესკი მათ არსებობის მომდევართ ქართველობაში
აღარაფერი არსებობს. ასეთ ნაზის ქვათა ხელობაკი არა და
უბრალო ქვის მჭრელებიც აღარ მოიპოვებიან ქართველებში.
დღეს თუ ვისმეს ნახავთ ამის ხელობაზე, ის უსათუოდ ბერძე-
ნი იქმნება. იშვიათად რომ თქვენ დღეს თუნდ ასეთ მდარე
ტლანქ ქვათა მჭრელებში შეხვდეთ ქართველ კაცს, იქმნება
შემდეგში ეს ასე არ იქმნეს, ქართველებიც გაჩდენ კვალად,
დღესკი ეს ასეა და ქართველთან ერთად დაუძლურებულია და
დაცემულია თვით ხელოვნურათ კეთების ოსტატობა და კა-
რგად წარმოების მრეწველთა საქმე საერთოდ. ამ დაცემულე-
ბას ქართველი მაძიებელი ყველგან აღვილად შენიშნავს, თუ
მასკი ამის შეგნება და ცნობის სურვილი ექმნება.

XVIII საუკუნეში და ნამეტურ სოლომონ იმერთა პირველის
მეფის დროს, ქუთაისში, ვაჭრობის და ხელოსნობის ასპარე-
ზედ, უკვე რამდენიმე სახელოსნო და სამრეწველო არსებო-
და გიშრის მწარმოებელთა. მათი ცალკე ბაზარივით უბანიც
არსებობდა და ამ ხელობის კარგი ოსტატი კაციც კარგადაც
განითქმოდა. ამათ გარემოებას ასულდგმულებდა ისიც რომ
გიშრის მთა ტყიბულისაკენ ახლო იყო. გიშრის მთები იმერე-
თში ძველად ბევრს ალაგას ყოფილა, ზოგ ალაგას დალეულა,

შოსპობილა, ზოგ ალაგას იქმნება კიჯევაც არის, მაგრამ მისი ორსებობა არავინ იცის, გიშრის არსებობის ძარღვთან ჩატული კავშირი უნდა ჰქონდეს ახლო ნათესაობა ტყიბულის ნახშირს და შავ-ქვას. გიშრი მე ამ ქვათზე ანახად ნალებათ მიმაჩნია. გიშრის მთის მესაკუთრება ძველად არ იყო მაინცა და მაინც სასტიკის პირობებით გარემოცული. იგი საკუთრება იყო იმე-რეთის მეფის საგვარეულოს და გელათის ტაძრის და სხვათა, მუშავნი, ოსტატნი და გამსყიდავნი ხარკათ მცირე რამეს უხდიდენ. გიშრის ქვის მტკრევასაც თავის ოსტატობა ჰქონია, ამ ოსტატობას შესწავლა უნდოდა თურმე, თორემ ისე ვერავინ რჩს მოახერხებდა.

სექნებულს საუკუნეში, გიშრის საქმემ მაღალს წერტი-ლომდე აიწია. გიშრის ნივთებს ხმარობდენ მღვდელნი, ბერნი, ქალები და კაცები. დიდი გასავალი ჰქონდა არა მარტო იმე-რეთში, არამედ მთელს ქართლსა და კახეთშიც. მთელს საქა-რთველოში გიშრი მიღებული იყო და შრავალ ალაგას საჭი-რო და მასთან სასარგებლო მიჩნევათაც ჰქონდათ. გიშრიდგან გამოყვანილ ნივთებთა გატანა საქართველოდამ ევროპაშიაც კი დაიწყეს, მაგალითებრ იტალიას, საბერძნეთს, რუსეთს, ოსმალეთს და სპარსეთსაც. უცხო ქვეყნებში ამის ვაჭრობა მის შემდეგ უფრო გავრცელდა, როცა ქუთაისში ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა იწყეს გადასახლება და ქუთაისში სა-ცხოვრებლად ფეხის მოკიდება, ვაჭრობა და მისი წარმატების მომართვა. ახალციხელ ქართველ კათოლიკ ვაჭრებმა ქუთაის-ში გიშრის საქმე და ვაჭრობა ერთი ათად წინ წასწიეს, ქუ-თათურ ურიებს ამათ ერთობ გაუსწრეს წინ როგორც ვაჭ-რობით ისევე სხვაფრივათაცა, ებრაულთა კარგად აჯობეს, უა-მისობა არც შეიძლებოდა.

გიშრის ხელოსნობას და აღებ-მიცემას ქუთათურ ებრაე-ლთა ოსტატნიც მისდევდენ. ებრაელნი ქუთაისში ვაჭრობის მხრით ცნობილნი იყვნენ ყველაფერში, ესენი ვაჭრობისთვის ქუ-თაისიდამ ოსმალეთსაც მგზავრობდნენ მაგრამ ყოველივე მა წ

იყო წვრილმანი, იგინი ქუთაისში ყოველი მხრით იოლად მიღიოდნენ, ვაჭრობა მათ ხელში არ იყო კარგად გაფართოებული, რაც იყო, იმასაც არავინ რა წუნს სდებდა, ვაჭრობას და აღებ-მიცემასკი იქ კაი მოთხოვნილება ჰქონდა. ამ მოთხოვნილებას ურიებიკი ვერ ასრულებდენ, ეს ამბები ახალციხელ კათოლიკებმა კარგად იცოდნენ, და ამიტომ 1710 წლიდამ ახალციხელთ ვაჭრებმა ქუთაისში იწყეს გარდასახლება და დღებიცემის დაწყობა. მართლაცა და ამათ აქ საქმე ჩინებულად წაუვიდათ. ამათ აქ თავი ასახელეს ვაჭრობის შნოთი, ასეთმა შნომ იგინი იმერეთის მეფესაც დაუახლოვა, მეფე და მთავარნი მათ უფრო პატივს აძლევდენ, პატივს იმის მხრითაც, რომ ახალციხელ ქართველ კათოლიკე ვაჭარნი ოსმალის ქვეშევრდოვნი იყვნენ და მეფენი და მთავარნი ოსმალეთის მთავრობასაც ხომ კარგად აძლევდენ პატივს, როგორც მოსამზღვრე სახელმწიფოსი თავაზი ჰქონდათ. ეს გარემოებაც საკვირველია რომ ახალციხელ ქართველ კითოლიკეთა ვაჭრებს დიდს პატივს აგებდა და იგინი იქ უფრო ხალისით ეძლეოდნენ ცხოვრებას. სწორედ ამ დროის ერთს მხნე ვაჭარ პირად ირიცხება შეძლვბულ ჯავახელ ქართველ კათოლიკეთა ძველი ვაჭარ მრეწველი ვინმე ჩილაშვილი.

ჩილაშვილები ახალციხელნი არიან, ქართველ კათოლიკენი, ძველადგანვე გადასულები ახალციხეს. ამათ წინაპარნი კი ადრე თავდგერიძენი ყოფილან, ერთ ამათგანში რომელიც გაფრანგებულა, შემდეგ დროს, ყვავილი გასჩენია და მის მეოსებით დაჩენჩილა სახით და მერმე მის გამო სწოდებია. გვარადაც ჩილაშვილი. ე. ბ. დაჩენჩილის შვილიო ახალციხის კათოლიკებმა ასე იციან, იქ გვარები ყველას მონათლული აქვს და საოცრათ გადაკეთებული. ასეა მათი ჩვეულება, ჩილაშვილები რომ თავდგირიძეების მონათესავენი არიან, ამას ფიქრი არ უნდა, ეს ყველასთვის ცხადია, რადგანაც თავდგრიძეების უმეტესი ნაწილი ერთ დროს გათათრებულიც იქმნენ და იმავ დროს, ზოგ მათგანი კათოლიკობასაც დაუგავშირდენ,

ასე რომ ძველიად კათოლიკეთ სარწმუნოებაში თავდგირიძეთა გვარის წევრთა რამდენსამე კომლს ვნახავდით. დღეს კი მათში ალარავინ სჩანს, უამთა ვითარების მეოხებრ ასპალეთის ქალა-ქებში აქეთ იქით გადიხვეწნენ. საქართველოში დღეს ჩილაშვი-ლებს შთავომავლნი მცირედ არიან.

ერთ ჩილაშვილმა სტეფანემ მაშინათვე განითქვა სახელი ქუთაისში. ამან კერძოდ და კარგად დაიწყო თვით გიშრის ვაჭრობაცა. სტეფანე ჩილაშვილი **XVIII** საუკუნის პირია, მომსწრე დიდის აღსავსეობით საქართველოს მეფობის და ნა-მეტურ იმერთა მეფეთა გამგეობის და სხვა ბატონიშვილთა და მთავართა საქმეების. მის უროს ქუთაისში ქართველ კათო-ლიკეთა ვაჭრები კარგად სახელოვნებლენ. სახელოვნებლა-თვით სტეფანეც, სტეფანეს შემდეგ, მის საქმეთა ასპარეზედ დიდის ცნობათა მოყვარეობით აღმოსაჩნდა მისი ძე ანტონ სტეფანეს ძე ჩილაშვილი. ანტონიკი **XIX** საუკუნის პირველ წლებშია დაბადებული და 1860 წ. კვდება 60 წლისა. აქე-დამაც ცხადათ სჩანს როგორც ანტონის დაბადების წელთ ალრიცხვის დრო, ისევე ისიც რომ მისი მამა დოსტოლრივ **XVIII** საუკუნის პირი უნდა იყოს. გიშრის ხელოსნობის ასპარეზედ რაც სტეფანე ყოფილა და რაც ამას ჰქონია შნოდ, იგივე ყოფილა და გამოსულა მისი შვილი ანტონიც.

ანტონ ჩილაშვილის თავის დროის კვალიად მეტად, ნიჭი-ერი შნო გამოუჩენია გიშრის ხელობის საქმესა და ოლებ-მი-ცემაში. მას მოუწყვია გიშრის ხელოსნობის საქმე და ოსტა-ტობა უფრო კარგის პირობებით, უფრო კაის სახელოსნოს წარმატებით. ანტონისავე ძმა ყოფილა თომა ჩილაშვილი. თომა უფროსი ყოფილა და მათ ჰყოლიათ კიდევ ერთი ძმა პავლე. ყველა ესენი მამის სიკვდილის შემდეგ, თომას შეუჩევევია ვაჭრობისათვის. ისიც არის სათქმელი, რომ პირვე-ლიდ ეს ძმანი ქუთაისში სხვა საქონლითაც ვაჭრობდენ, მე-რეკი კერძოთ გიშრის საქმიანობას. და ხელობას მოჰკიდეს ხე-ლი. თომა უფროსი ძმა ყოფილა და მას ძმების გამოწუ-

რთვნაში კაი ოსტატობა და შნოც გამოუჩენია. უმეტესად თომასაგან ანტონი გამოწურთნულა და მიტომ შემდეგში ანტონი მარტოდ გიშრის ხელოსნობის გვერდით არ დარჩენილა, სხვაც შეუსწავლია რამ და მომავალში სხვა საქმეთა ცოდნითაც აღმოჩენილა შეძლებულ წარმოებელიათაც. გიშრის კეთების და გაყიდვის საქმეს ამან უფრო უკეთესი ნიადაგი შეუმზადა, ოსტატობას დიდი სიფაქიზე და სისუფთავე გამოუძებნა, ხელოსნობას კარგად განვითარება და მასთანვე გასაღებასაც უფრო კაი ბაზარი მოუპოვა.

ამისავე მოხერხებით მოეწყო ის გარემოება, რომ პირველად მან დაიწყო ეკლარის ქვის მტვრევა და მისი ოსტატობის განვითარება. შემდეგს დროში ამ ქვის მტვრევა მთავრობისაგან მან ბაჟით აილო, თვით აწარმოებდა ქვათა მტვრევის საქმეს, მაგრამ არც ამით შეჩერდა იგი, მარტოდ თავის გარემო არ შეიკუნჩხა, არამედ ეკლარის ქვის მტვრევა ბაჟით სხვათაც დაუწყო ძლევა, მისგან სხვებიც იღებდენ ეკლარის ქვის ტეხას და ჭრას ბაჟით, იგინი აღსრულებდნენ ყოველივეს წესიერად, იგი ისეთი მოხერხებული კაცი ყოფილა თავის გამჭრიახობით, რომ მუშაյობას გარდა მემაღნობის პატივისცემაც დიდი ჰქონია, ნამეტურ მის ძიებისა. სხვათა შორის გიშრის ადგილის დასაწყისი ამას თავის შრომითაც უპოვნია ბერეკაშვილებში. აქ ნაპოვნ გიშრის ადგილმა წარმოებაც დაიწყო და შემდეგ ბერეკაშვილებში კაი მნიშვნელობაც იქონია, ამ საქმემ იგინიც ფეხზედ დააყენა. როგორც ძველად, ისევე ამ ანტონ ჩილაშვილის დროსაც გიშრის ხელობას და აღებ-მიცემას კაი ბაზარი ჰქონდა, კაი გასავალი. როგორც ზემოდ ვსთქვით, გიშერი გაჰქონდათ აზიურ ქალაქებს გარდა ევროპას-იტალიას და სხვაგანაც, ნამეტურ რუსეთს.

გიშრის საქმიანობის და სხვათა საქმეთა ტრფობით ანტონ ჩილაშვილი სტამბოლშიაც ხშირდ დადიოდა, გიშრის გარდა იგი მატყლისა და ბამბის წარმოების საქმესაც უხვათ მისდევდა და ყოველს ალაგის და ყოველ საქმეში კარგს მოხერხე-

ბულს შნოს და ნიჭი იჩენდა. ბამბა, მატყლი და სხვანი
სტამბოლშიაც მრავლად მიჰქონდა. იქიდაშაც სხვა და სხვა
საქონელი უხვათ შემოჰქონდა. ბამბასა და მატყლს მაშინ
უველგან დიდი გასავალი ჰქონდა, რაღვანაც საქართველოში,
ქართველთ შორის, ფეიქრები თითქმის უველა სოფელში
სცხოვრობდენ და უველასთვის საერთოდ ფეიქრები ქსოვდენ
უველა საჭირო ნართს. ამიტომ ბამბისა და მატყლის წარმოე-
ბამაც ახალ დროში კაი ნიადაგი და მსვლელობა ჰქონდა, ამ
მრეწველთა და ვაჭართა წყალობით ვიტყვით, რომ მატყლის
და ბამბის საქმეთა გარეშე პირველად ამან განავითარა გიშრის
საქმე, ასევე ეკლარის ქვის წარმოება. ამის უფლება და წა-
რმოება მის სიკვდილის დღემდე დაშთა. ამ საქმეთა ცოდნით
იგი პირველი იყო. უნდა ითქვას, რომ მის დროს, გიშრის
მთები აქა იქ კიდევ მოიპოვებოდენ, მაშინ ეს ქვა და მისგან
ნატეს ნათალი ნივთები საბერძნეთში გემებით გაპირობით გაპირობით.
დღეისთვისკი იგი აღარ არსებობს, თითქმის მოისპო, თუ გა-
ქრა გიშრის მთები, მოისპო მასთან შეუმჩნევლად მისი განვი-
თარებული ხელოსნობა და მოისპო ხელოსანთა რიცხვიც.
მოისპენ თვით მის აღებ-მიმცემთა პირნიც. დღეს იქმნება
მრავალთათვის ეს საოცნებოთაცკი დაშთეს, ქართველებში ამ
ხელობის ბევრმა აღარა იცისრა, მაგრამ უნდა ითქვას პირნა-
თლად რომ მას მეტად დიდი კარგი ისტორია აქვს. ესეა ყო-
ველივე, ცვალებადი, სოფელი მეტად შავი და ბნელია, დღეს
აღარ არის ის, რაც ის იქნება გუშინწინ დიდის დიდებით
ბრწყინავდა.

როგორც წესი და რიგი აქვსთ ქართველ კათოლიკებს,
ანტონ ჩილაშვილი მარტოდ თავის ვაჭრობის და ხელოსნო-
ბის გარშემო არ დარჩენილა, იგი უხვი ყოფილა უველა საქმე-
ში და პურარილში. მისი წყალობით დამთავრებულა ქუთა-
ისის კათოლიკეთა ეკკლესიის შენობა, მას გაუღია მასზედ
ეკლარის ქვა უფასოდ. აშენების შემდეგ ნატვრა დაგვირგვი-
ნებია და პირველად ამის გვამი შეუტანიათ ახალ ეკკლესიაში

წესის ასაგებათ, ამ ეკკლესიას გარდა მასვე დიუი დახმარება აღმოუჩენია ქუთაისის ებრაელთა სალოცავების შენებისათვის და ეკლარის ქვა შენებისათვის მუქთათ უძლევია, ესეც კაი შემწეობა ყოფილა მისგან, სხვაც ბევრი ასეთი რამ უქმნია. გარდა ამისი თავის დროის კვალად ყოფილა კარგი მეპურ-მარილე, კაი თვისების, ძმათა და მეგობართა მოყვარე, ყველგან და ყოველთვის სიყვაოულის და სათნოების მფენელი. ამის ღირსებით იგი ისე ყოფილა ჩენილი, რომ მას მეტად ხშირად ირჩევდნენ შუა კაცათ, შუა კაცობაში ეს იჩენდა თურმე მეტად მშვიდობიან მხარეს. კაცთ მოყვარეობის სათნოებას და მშვიდობას, ყველა სადაც საქმე, საშფოთო, სამჭრო და საბოროტო სულ მშვიდობით თავდებოდა. ამას ისეთი ხმა და ძალა ჰქონდა რომ მის გარდაწყვეტილებაზედ ვერავინ რას იტყოდა, ხმასაც ვერავინ ამოიღებდა. იგი ყოფილა მშვიდობა კაცთა შორის და მალამო ყველაფერის. დღეს ამის შთამომავალთაგანია ქუთაისის კარგად ცნობილი მენაბდე და მეშალე, ვაჭარი, იყანე ანტონის ძე ჩილაშვილი. სხვა რამ მემკვიდრეობით გარდმოსაცემი მას არა დაშთენია რა, კარგის შესამცნევის წარსულის სამოწმოთ და მომთხრობლად მარტოდ ეს ერთად ერთი კაცია დაშთენილი თავის აღებ-მიცემით. ეხლა აქ ჩვენ უნდა ვსთქვათ შემდეგი: ქართველებში გაქრა შემდეგ საქმეთა მიმდევრობა.

გიშრის ხელოსნობა და ალებ-მიცემა მოისპო. დღეს ალარაფერია ჩვენში. თვითქმს ამის აღარცე არსებობს რამე, ვითომც არცე ვოფილა ამის განვითარება და წარმოება ოდესმე,

ალმასის. (ანდამატი) ხელობა და ხელოვნურად წარმოებაც მოისპო და გაქრა.

მარჯნის მოქრა და ოსტატობაც ამოვარდა.

ფირუზის ძებნის ოსტატობა და წარმოებაც მოისპო.

იაგუნდის ოსტატობაც მოისპო, დღეს აღარავინ რა იცის.

ჭალის ოსტატობა და ხელოსნობაც მოისპო და გაქრა უჩინრად.

ზურმუხტის ოსტატობაც ჩაბარდა სამარეს.

ქარვის ხელოსნობაც ძველადგან ჩვენში კარგად იყო-
გავრცელებული, დღესკი მისი ხსენებაც აღარ არის.

მარგალიტის ხომ აღარა ვიცით რა. ყოველივე გაქრა.

ესენიც კვარა. მარმარილოს ქვებს, ანუ დრუნგულის ფი-
ცართ გვართა და სხვებს. აღარ ვახსენებთ. მოკლეთ ვიტყვით,
რომ ძველად ამ ძვირფას ქვათა ხელოსნები და მწარმოებელნი
საქართველოს გარეშე მუშაკობდენ და ვაჭრობდენ ინდოეთს,
ასურასტანს, ბიზანტიას, სპარსეთს, ოსმალეთს, ავღანისტანს,
ბუხარას, არაბისტანს და სხვაგანაც. ხსენებულ ქვეყნებიდამ
საქართველოში შემოჰქონდათ მრავალნაირად დაფასებული
ძვირფასი ქვები, აქ აწარმობდენ მის ხელოსნობის საქმეს. ქა-
რთველთ ვაჭართა და ხელოსნებმა არამც თუ მარტოდ ამ ნი-
ვთთა ვაჭრობა იცოდენ, არამედ როგორც ზემოთ ვსთქვით,
ყველა ძვირფას ქვათა პირველ საბინადრო აღგილებიცი იცო-
დნენ, სადაც მიდიოდენ, სიშორეს არ უშინდებოდენ, იქ ამ
ნივთებს იძენდენ, საქართველოში შემოჰქონდათ, თფილისში
მათგან ამისთვის გავრცელებული და გაჩალებული იყო სახე-
ლოსნოები და სავაჭროებიც, რაც ყველგან თვალთ საჩინოდ
არსებობდა და სახელოვნებდა.

დღესკი, ქართველებმა ყველა აქ ნივთთა ოსტატობის და
ხელოსნობის აღარაფერი იციან, აქ ყოველივე სასტიკათ ნა-
ტამალობს. ყოველივე დაეცა, მოისპო უჩუმრად და უჩინრად.
ძველად ამ ხელობათა ხელოსნები სულ დარბაისელ მოქალა-
ქე პირებთაგან შესდგებოდა, ყველა ეს ხელობა დაკვირვებულ
და საქმის შემცნებულ პირთა რიცხვს ითხოვდა. **XIX** სალკუნის
რიცხვების შემდეგიდამ ამ ხელოსნობის ოსტატთა რიცხვიც ისე
გაქრა, რომ დღეს მათი ხსენებაც აღარ დარჩა. დაეცა და მო-
ისპო სრულიად ხელოსნობაც და ხელოსნებიც.

კოკჩაშვილების შრომა „წამალენის“ ასპარეზედ და პეტრე-პავლე
გოგოხოვი (იგივე ქოქჩჩაშვილი) ჭ. ქუთაის.

ქუთაისის წარმატებასა და ოლორძინებასთან მჰვიდროთ
არის დაკავშირებული რამდენიმე ქართველ კათოლიკე ვაჭართ
ცხოვრება და ოლებ-ზიცემა და ერთი ამათგანია პეტრე-პავლე
ივანეს ძე კოკჩაშვილი. რომელიც დაიბადა 1832 წ. ქ. ქუ-
თაისს. ამათ წინაპართა კათოლიკის სარწმუნოებასთან დაკავ-
შირება ეკუთვნის XVIII საუკ. დამდეგს. პეტრე-პავლე ივანეს
ძემ სწავლა ქუთაისის კათოლიკე პატრებთან მიეღო და შემ-
დგომ დიდათ განვითარდა საექიმო, სააფთიექო და სავაჭრო
ასპარეზედაც.

ვაჭრობის წარმატებით განმხნევებულმა ევროპაში მგზავ-
რობაც დაიწყო. იგი ამით უფრო დაწინაურდა. მისი ენერგი-
ულის შრომით ქუთაისში გაიხსნა პირველი აფთიექი 1860
წლებს. ეს დიდი სამარხსოვრო საქმეა ქართველის კაცისაგან.
მის მერე სააფთიექო მაღაზია, მის მერე სამაგალითოდ მოხე-
რხებული სუნივერსიტეტის ქარხანა, რომელიც მარ-
თლაცა და სამაგალითო იყო და არის კიდევაც მთელს მხარეში.
ამ პირთან იმყოფებოდა და ვითარდებოდა ჩვენი კარგი მამუ-
ლისშვილი მიტროფანე ლალიძე, რომელმაც ერთ დროს ქუ-
თაისში, ქართულ ენაზედ საუკეთესო წიგნებიც ბეჭდა და რო-
მელიც მკაცრი თანამხედველ მგზავრია ქართველ ერის გამლვი-
ძებულ ცხოვრების. დღეს, ამ პირს ქ. ქუთაისში აქვს სუნივერსიტ-
ეტის წარმატება, იგი დღეს თავისთვის გამოიყენა.

სავაჭრო და სამრეწველო ასპარეზედ პეტრე პავლე ივანეს-
ძეს ბევრი რამ სამსახური მიუძღვის და უნდა ითქვას, რომ
ამ სამსახურს იმერთა შორის ვაჭრობის ოლორძინებაზედაც კარ-
გი აჩრდილი უნდა აქვნდეს დატოვებული, ამას ფიცი არ უნ-
და, რადგანაც პეტრე იყანეს ძე წინა დროდამ, ქუთაისში მა-

ნუფაკტურნი საჭონლის ვაჭრობასაც მისდევდა. ამის სავაჭრო ასპარეზედაც აქვს შესამჩნევი შრომა დატოვებული და გარდა ამის საყურადღებოა მითაც, რომ იგი იმავ თავიდგანვე იმერეუ თიღგან სამზღვარ გარედ ბამბასაც გზავნიდა, ესეც რასაკვირუ ველია სამაგალითო საქმეა. ამას გარდა სხვა და სხვა მასალა და საჭონელიც ხშირად უგზავნია და ანუ უკედ რომ ჯსთქვათ გაუტან — გამოუტანია ხოლმე. პეტრე-პავლე ასე და მმ გვირად, თავის ქვეყანაში, თავის თანმემამულეთ წინაშე სამაგალითო საქმეების კეთებით დაბერდა. დღეს იგი ხანში შესული გახლავსთ და სახლობის პატრონია. ჰყავს შვილები, ვაჟები: ლევანი, ივანე, ზაქარია-პრავიზორები. მეოთხე ვაჟი ვასილი, გამომძიებელია. მამის მსგავსად, მისვა შვილებმაც 15 წლის წინეთ ქუთაისში გახსნეს სააფთიერე ნივთების მაღაზია. შვილებიც მამისაცან არჩეულს ენერგიულს გზას ადგნენ და მათგან შიერ გახსნილი სააფთიერე მაღაზია ქუთაისში ითვლება ერთს საუკეთესო სუფთა მაღაზიად. აფხაზეთიდაშ და სხვა კუთხე-ებიდგამ დაწყობილი ამ მაღაზის აპურობენ დიდს ყურადღებას, რაღგანაც იგი მოწყობილია სანაქებოდ და კარგად. ამის მხრითაც საქებია როგორც პეტრე ივანის ძე ისევე მისი ენერგიით სავსე შვილები, რომელნიც თავიანთ საქმის ასპარეზედ კარგს, სპეციალისტ პროვიზორებათ უნდა ჩაითვალონ.

ისიცემი უნდა მოვიხსენოთ, რომ ასეთ ასპარეზედ, სააფთიერე მაღაზიის გახსნა ქართველის კაცისაგან პირველი მაგალითია. ისიც ისეთის ფართო მაღაზიის როგორიც ამათ აქვს დღეს ქ. ქუთაის გახსნილი. მისი არსებობა დამაკმაყოფილებელია საჭიროების და გვარად. ქუთაისში კათოლიკობა ყოველთვის გულს მოდგინედ მისდევდა მკურნალობის და წამალ ხანების საქმეს. ამათ ამის მიმდევრობა თვით მეფეების დროს ვე აქვნდათ და სწორედ ამის მაგალითია დღეს კოკოჩაშვილების აღებ-მიცემის საქმე სააფთიერე ასპარეზედ იმერეთის ერის წინაშე ქ. ქუთაის.

სოლომონ მეფის დროის გამოჩენილი ვაჭრები ქუთაის-და მათი გვარის შვილნი შემდეგ დროს.

ზანზღია-კონი. თავის დროის კვალად გამოჩენილი ვაჭარი ქ. ქუთაისს. ცნობილი მეფე სოლომონ მეორის დროს და კარგად მომსწრე რუსთა გამგეობისაც. შეძლებული პირი, მრავალ ნაირის საქონელით მოვაჭრე, ძველად ახალციხელი, ქართველ კათოლიკე. შემდგომ ამ კონის სიკვდილის კარგის აღებ-მიცემით სახელი განითქვა ამის შვილმა თომამ. საქონელი მათ შემოჰქონდათ ოსმალეთის ქალაქებიდამ. ნამეტურ სტამბოლიდამ, უკანასკნელ დროს რუსეთიდამ დაიწყეს შემოტანა. ამათ აღებ-მიცემამ ბევრს იმერთა შვილებს ასწავლა ვაჭრობის მიხვდრა.

კოსტანაშვილები (კოტე) ძველნი ვაჭარნი და გამოჩენილნი სხვა და სხვა საჭირო საქონლის შემოტანით და ქუთაისში კარგი მაღაზიების დახსნით. თავის დროს ამათაც წახალისეს იმერთა ბავშვები ვაჭრობის შესათვისებლად. ვაჭრობა ამათი ფართო ყოფილა თავის დროს და მნიშვნელოვანიც მრავალ ნაირის მხრით. დღეს ამათის ძველის აღებ-მიცემის არავინ აღარაფერი იცის. თვითოვეული ეს ვაჭარნი ერთი მეორისაგან განსხვაოდენ მით, რომ რასაც ერთი ჰყიდვა საქონელს და მის ვაჭრობას ავითარებდა, იმას მეორენი არ ელტოდენ და პირველს სავაჭრო საქმეს არ უყურებდენ.

ივანე ისრაელფი. მომსწრე იმერეთის ძველი დროის და თავის დროს ცნობილი კაი აღებ-მიცემის კაცი და სხვა ქვეყნებშიაც შავალი ვაჭრობის მხრით.

ჯიმშერთვები. სახელგანთქმულნი ვაჭრები ქუთაისს, ესენი მესხები არიან, ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობა-

სთან. ჯიმშერიშვილები ძველად თვით თავად-აზნაურნიც იყვნენ
და სუხოვრობდენ მთელ საქართველოში მრავლად. სახელი
განითქვეს ვაჭრობით სტამბოლს, ქუთაისს, თფილის და სხვა-
განაც. ესენი მოხსენებულ არიან თფილისის კათოლიკეთ
ეკკლესიის კონდაკებში. ამათ წევრო **XVIII** საუკ. თფილისშიაც
უცხოვრიათ.

აზნაუროვები. ძველადგანვე განთქმული გვარია. მესხები
არიან, კათოლიკობასთან ძველადგანვე დაკავშირებულნი. ახა-
ლციხიუამ ქუთაისს გადასახლებულნი. მერე თფილის აღებ-
მიცემის ასპარეზე სჩანან თვით ჩვენი მეფეების დროიდგან.
უკანასკნელ განითქვეს სახელი მეთუთუნობით. ვაჭრობა აქვა-
ნდათ სტამბოლს, ტრაპიზონს, ქუთაისს, ბათუმს, თფრლისს და
სხვაგანაც. დღესაც ითვლებიან წარჩინებულ ვაჭრებათ და
ცნობილ პირად. სამწუხაროდ ამ ძველი გვარის შესახებ და
ნამეტურ მათ წევრთა აღებ-მიცემაზედ ძველის კონდაკებიდამ
ბევრი ვერაფერი. შევკრიბე.

თუშანიშვილები. ქუთაისში, სოლომონ მეფის დროს თავადის-
შვილებს გარდა ყვნენ აზნაურ და მაქალაქე თუმანაშვილებიც.
ვაჭრებში, თავიანთ დროს გამოჩენილი როგორც სტეფანე და
სხვანი. ამათვან ვაჭრობის ასპარეზე სჩანან მიხეილ თუმანი
შვილი 1825 წ. პაპუნა თუმანაშვილი, არუთინა თუმანაშვი-
ლი 1830 წ. და მრავალიც სხვანი. თუმანაშვილების ვაჭრობა
იმერეთიდგან აქვნუათ ოსმალეთს, რუსეთს და სამხლვარ გა-
რეთაც. როგორც სტეფანეს, რომელმაც პირველად განავრც
იმერეთში აბრეშუმის ჭიის თესლი და სხვაც ბევრი რამ, ესაა
მხოლოდ თავადის შვილი. ამის შთამომავალნი დღესაც სუხ-
ვრებენ ქუთაისს. ამ სტეფანე თუმანიშვილის აღებ-მიცემის
ისტორია მეტად მდიდარია, ხოლო ცნობები კი აღარ არის.

ნემსაძე. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან,
მერე სააკაშვილად-სააკოვად წოდებულნი, რადგანაც მათს
მამას სახელიან სააკა რქმევია. მერე სააკაშვილად გახდენ
სომებს კათოლიკეთა მღვდლებთაგან. ამ სააკოვებს გორის სა-

აკადემიური არაფერი ნათესაობა აქვსთ. გორის სააკადემიური მე-
რე სომხის კათოლიკე ტიბინკონზე მდგარ მღვდელთაგან ტერ
სააკოვებათ იქმნენ გადაკეთებულნი. ნემსაძეებს იმერთა მეფის
დროს კაი ვაჭრობა ეკავათ და შესამჩნევად აწარმოვებდენ
თვის სავაჭრო საქმეებს.

ენდრონიკაშვილები. ქუთაისში მეფეების დროსვე მოსულნი
და გამოჩენილი ვაჭარნი. მრავლად სახლობდენ ქუთაისს, ერთი
ამათგანი ვაჭარი იაკობი მიიცვა. 1824 წ. ქუთაისს. ენდრონი-
კაშვილებს და სოლოხავას ვაჭრობა ლეპციგშიაც აქვნდათ,
თავიანთ დროს, ამათ ქუთაისში დიდი ალებ-მიცემა ეკავათ.
მეფეთა და მთავრებთ წინაშეც გამოჩენილი იყვნენ. ამათგანი
სჩანს კიდევ ვაჭარი ალექსანდრე და ზოგნიც სხვანი.

ბაინდურაშვილები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათო-
ლიკობასთან. მესხები. არიან. ქართველთ არევის და გაჭირების-
დროს, ზოგნი გასომხებულან. გასომხებულნი თფილისში სცხო-
ვრებენ, გაფრანგებულნი ძველადგანვე ქუთაისს გადასახლე-
ბულან. სოლომონ პირველის დროს, მათ ალებ-მიცემის ასპა-
რეზედ დიდი ნიჭი გამოუჩენიათ, იგინი სავაჭროდ მგზავრო-
ბდენ სტამბოლს, ყირიმს, რუსეთს და სპარსეთს. სოლომონ
პირველმა ბაინდურაშვილებს აზნაურის შვილობაც უბოძა. შე-
მდეგ დროს, მეფე სოლომონის წინაშე ბაინდურაშვილები გა-
ხდენ სახელოვან ვაჭრებათ და ერთგულ პირებათ. დიდი ხმა-
და ნიჭი გამოიჩინა ნონია ბაინდურაშვილმა როგორც ვაჭრო-
ბის ასპარეზედ, ისევე სოლომონ მეფის ერთგულობაში. 1803 წ.
იმერეთის მეფე სოლომონ მეორისაგან ნონია ბაინდურაშვილი
რუსეთში იქმნა გაგზავნილი პავლე იმპერატორის წინაშე დესპანათ.
თავის დროს დიდი სახელი აქვნდა ნონია ბაინდურაშვილს და
მის შემდეგ მათ გვარის მომდევრად სჩანს პეტრე, იოსები,
ავთანდილი, ისაია, სიმონი, იოსები და სხვანი. ყოველ ამა-
თგანი სახელოვნებადა თვის დროს დიდის ალებ-მიცემით.

აკადემიური. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკო-

ბას. მეუე სოლომონ 1-ის და მეორის დროს ამათ ვაჭრობით თავი ისახელეს. ვაჭრობდენ ქ. ქუთაისს, ოსმალეთს, რუსეთს, სომხეთს და სამზღვარ-გარეთაც. თავიანთ დროის კვალად ესენი ქუთაისში გამოჩენილ ვაჭრებად ითვლებოდენ. ამათგანი იყვნენ პაატა და იაკობი. ორივ ეს პირნი რაღაცა მანქანებით 1795 წ. სომხის სჯულზედ გადავიდნენ. ამათეე დროს, ქუთაისში, სხვა კათოლიკენიც დაუკავშირდენ გრიგორიანობას. შემდეგ დროს, ამის გამო ქუთაისში დიდი ალიაქოთი მოხდა და აყალ მაყალი. სოლომონ მეფეც განწყრა ამაზედ. რომ როგორ თუ ჩემს სამეფოში ხალხი რჯულს იცვლისო. 1803 წ. ბრძანება გამოსცა და ამით რჯულ გამოცვლილ კათოლიკებს რჩევა მისცა, რომ თქვენ ისევ თქვენ ძველ სჯულზედ გადაა დითო. მე ამისთვის თქვენ არ გაგვიცხავთო. მერე ესენიც გადავიდენ ვგონებთ კათოლიკობაზედ. აკოფაშვილები, ანუ იდკობიშვილები ძველადგანვე იყვნენ განთქმულნი ალებ-მიცემით. შემდეგ დროს სჩანს გიორგი აკოფოვი გამოჩენილი ვაჭარი. ამ გიორგის დიდი დახმარება მიუცია ქუთაისის ეკკლესიის შენობისათვის **XVIII** საუკ. ბიალოს.

თერძიაევები. ახალციხიდამ მოსულნი ქუთაისს, შეფეხის დროს და შემდეგ გამოჩენილნი ვაჭრობით ოსმალეთს, ტრა-პიზონს და სხვაგანაც. იყვნენ დროის შესაფერად შეძლებულნი ვაჭარნი და თუთუნის საჭმეთა მწარმოებელნი, იმერეთის თუთუნსაც ესენი კაი ბაზარს უჩენდენ. ერთი ამათგანია თო-მა თერძიაევი.

ქურთიშვილები. ძველნი შეძლებულნი ვაჭანი და სოლო-მონ მეფის წინაშე ცნობილნი როგორც დიდი ალებ-მიცემის პირნი. გამოჩენილნი იყვნენ ძველადგანვე მრავალნი და მათ შემდეგ მომდევარ ვაჭრებთ ისახები, გრიგორი და სხვანი.

უაუხხიშვილები. **XVIII** ცნობილი ვაჭრობით. **XVIII** სა-უკუნეს გამოჩენილნი იყვნენ ახალციხეს ვაჭრობით, მერე ქუ-თაისს გადასახლდენ. ქუთაისში ამათ ვაჭრობა ბრწყინვალედ წაუვიდათ. ვაჭრობდენ სტამბოლს, სამზღვარ-გარეთ და რუ-

სეთს XIX საუკ. შემდეგ ამათში ვაჭრობით თავი ისახელეს სტეფანე ანტონისძემ და ამის ძმამ იოსებმა. ვაჭრობის გამო სტეფანე სამარაში მუკვდა 1866 წ. გვამი მისი სამშობლოში მოასვენეს და ქუთაისს, კათოლიკეთ ეკკლესიის გალავანში დაასაფლავეს, მის ძმა იოსებიც აქ ასაფლავია, რაღანაც მათ ეკკლესიისათვის შეწირულება დაუტავებიათ.

შურვანთვები. მეუის სოლომონის კარის ვაჭრები. ამათ იხსენებს ბესიკიც, კაი ალებ-მიცემა ჰევებიათ ქუთაის ამ გვარის წევრია. მურვანიშვილები კათოლიკობას ძველაიგანვე დაკავშირებიან, ზოგნი სომხობას.

ფარალოვები. ძველი გვარი ქართველთა. მესხები არიან. სამცხის გაჭივრების გამო ზოგნი კათოლიკობას დაუკავშირდენ, ზოგნი გრიგორიანობას, ზონიც გათათრდენ. სომებ ფირალოვები კახეთს და თფილის სცხოვრობენ, კათოლიკენი. ახალციხეს სცხოვრობდენ და XVIII საუკ. სამცხიდამ ვაჭრობის მხრით ქუთაისს გადასახლდენ, იმერთა მეფის მფარველობის ქვეშ შევიდნენ. იყვნენ მართ-მადიდებელ ქართველ ფირალოვებიც. ამათგანი იყო გოლერძი ფირალოვი, მდივანი მეუე გიორგისა. ამ ფირალოვმა რუსეთის გარდასახლების შექდეგ გრიგორევი დაირქვა, დღეს გრიგორევად იწოდებიან. XVIII საუკუნეში რომში სჩანს ანტონ ფირალოვი ახალციხელი, შემდეგ ანტონი, კლავდინე, აგვისტინე, პეტრე. ანტონ ფირალოვს წერილებიც უწერია. ქუთაისში ამათ სახელი განითქვეს და მეფეების დროიდგანვე დაწყობილი კარგი ალებ-მიცემა ჩაიგდეს ხელში. დღეს ეს გვარი ვაჭრობის მხრით ცნობილია ქუთაისს, თფილისს, ბათუმს და სხვაგანაც.

სოდოროვები. ძველადგანვე განთქმულნი ახალციხეს და კათოლიკობას დაკავშირებულნი. შემდეგ დროს ვაჭრობის მხრით სჩნდებიან ქუთაისს, ვაჭრობა აქვსთ ამათ იმერეთს, ოსმალეთს და სხვა კუთხეებშიაც. შემდეგ დროს ვაჭრობის ასპარეზედ ამათგანია ზავითი, იოანე, სერაფიმე, მელქონა, ლაზარე, ივანე და სხვანი. თავიანთ დროს გამოჩენილი პირნი ალებ-მიცემის და სხვა საქმეთა ასპარეზედ.

ფეიქაროვები, ძველად ფეიქმრიშვილები. ფეიქარიშვილები მრავლად სცხოვრებდენ ქართლს, კახეთს, თფილის და სამ. ცხეს. სამცხის ფეიქაროვები ძველადვე დაუკავშირდენ კათოლიკის სარწმუნოებას. აღებ-მიცემასაც ძველად მოჰკიდეს ხელი და დაწინაურდენ. შემდეგ დროს, ახალციხიდამ ქუთაისში გადასახლდენ, სადაც იმერეთის მეფის მფარველობის ქვეშ შევიდნენ. იმერეთში მათ დაიწყეს ვაჭრობა და ვაჭრობის ასპარეზედ თავიც ისახელეს, სავაჭრო საქმენი კარგად განაგრძეს. შემდეგ დროში, ანუ 1840 წლებში კარგად აღმოსჩნდა ვაჭრობის ასპარეზედ ითანე ფეიქაროვი, პავლე, ანტონი, სტეფანე და სხვანი. იმერეთის ერთს წინაშე ამ პირთა კაი სახელი მოიხვევეს, ვაჭრობის მხრით დიდი პატივისცემა და თავაზი. ამიტომ იგინი ცხოვრებითაც წინ წავიდნენ, დღეს ფეიქაროვებისა ქუთაისში კარგი მაღაზიები არსებობს რკინეულობის აღებ-მიცემა აქვთ გაშართული და უნდა ითქვას, რომ ჩინებულთაც აწარმოებენ თავიანთ ვაჭრობის საქმეებს.

სოჯიგანოვები. მეფის დროინდელი ვაჭარნი ცნობილნი გვანი შეძლებით და ვაჭრობით:

იურიქოვი-ქუთაისს მოსულნი და ძველნი შეძლებულნი ვაჭარნი, ცნობილნი პირნი მეფეთა წინაშე.

მურალაშვილები. გამოჩენილი ვაჭრები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. 1790 წლებს შემდევ მამუკა და გიორგი გრიგორიანობაზედ გადავიდნენ. ამათ შთამომავალნი არიან დღეინდელ ქუთაისის სომხე მურადაშვილები. იყვნენ ვაჭრობით განთქმულნი და ცნობილნი მთელს იმერეთში: დავითი, იოსები, პეტრე, მამუკი, ანტონი და სხვანი, კათოლიკენი სჯულით.

მესარქოვები. სოლომონ შეფის დროს, ახალციხიდამ გადვიდნენ და ვაჭრობაც დაიწყეს. ქუთაისში ცნობილ იქმნენ როგორც აღებ-მიცემის ხალხნი. ამათგანია მოძღვარი ვინმე მესხი-გვარამაძე,

გვარაშვილი. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობას. კარგი ცნობილნი ვაჭარნი და სხვა და სხვა საქმეთა მწარმოებელნი. შემდეგ დროს ამათგანი იყვნები: სიმონა, მელქონა, სტეფანე, პავლე, ანტონ, და გიორგი. კარგი ენერგიული ვაჭრები იყვნენ.

ნალბანდოვები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. ახალციხელნი, ვაჭრობის მხრით ქუთაისს გადასულნი და მოვაჭრენი მთელს იმერეთს, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონს, ევროპას და რუსეთშიაც. ამათ კაი კავშირი აქვნდათ იაკობ ზუბალაშვილთანაც. XIX საუკუნის ასპარეზედ დიდის სახელოვანის ვაჭრობით სჩანან ასეფა, ანტონი და სტეფანე. ნალბანდოვების ძველი გვარი შოშიაშვილი ყოფილია. ანტონ ნალბანდოვი მეფე სოლომონ მეორის კარგი მცნობი ყოფილია და მასთან კარგი სანდო ერთგული პირიც. სოლომონ მეფე რომ ოსმალეთში გაიქცა 1810 წ. მაშინ როგორც ერთგულნი ანტონ ნალბანდოვიც თან გაჰყვა მეფეს ვაჭრობის მიზნით. (ხაამბოლი გრიგოლ ნალბანდოვისაგან). უკანასკნელ დროს ამათ ვაჭრობა ბათუმშიც გადმოსცეს, აქ ვაჭრობდა გრიგოლ ანტონის ძე ნალბანდოვი. ნალბანდოვებს და ზუბალაშვილს იაკობს ვაჭრობა ერთად სტამბოლშიც ფართოთ ჰქონიათ გამართული. ნალბანდოვის გვართა წევრთა რიცხვი დღეს შემცირებულია.

თქრომჭედლოვი. ცნობილნი მეფის სოლომონის. დროს დიდის ვაჭრობით. შემდეგ დროს ცნობილი ანტონი. ძველად კარგი ოქრომჭედლის ქარხნის მექონი. ამათი წინაპარნი. ახალციხიდამ გადასულან ქუთაისს და იქ ოქრომჭედლობაც გაუჯვრულებიათ, მის აღებ-მიცემაც. ოქრომჭედლის ხელობის და ვაჭრობის გავრცელებას იმერეთში და კერძოთ ქუთაისს კარგი ღირსება აკრავს გარს.

ქორქაშვილები. კათოლიკის სარწმუნოებას ძველადგანვე დაუკავშირდენ XVIII საუკუნის ბოლოს პაპუნა და ბეჭან ქორქაშვილები კათოლიკობიდამ სომხის სჯულზედ გადავიდენ.

ეს ამბავი ბევრს ეწყინათ. 1803 წ. სოლომონ მეფის ბრძანებით იგინი ისევე კათოლიკობაზედ გადავიდენ. იყვნენ აზნაურის-შვილებიც და მასთან კარგი შეძლებულნი ვაჭრებიც. შემდეგ იყვნენ გამოჩენილნი ვაჭარნი: სიმონი, დავითი და სხვანიც, თავის დროს გამოჩენილი და ცნობილნი.

შატინაშვილები. კარგი ვაჭრები. მეფის წინაშე ცნობილნი მატინაშვილები კათოლიკობიდამ სომხობაზედ გადავიდნენ შესყიდვით, მეფეს ეწყინა ეს ამბავი. მერე ისევ კათოლიკობას დაუბრუნდნენ. იყვნენ შეძლებულნი ვაჭარნი.

შაპაშვილები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობაზედ, მერე ვაჭრობის მხრით ქუთაისს გადასახლებულნი. ქუთაისში გაბრიელი სომხობას დაუკავშირდა, ეს ეწყინა მის ნათესავებს. აღებ-მიცემით შემდეგ სახელი განითქვეს მეფის წინაშეც. მეფის სოლომონ II ის დროს მომდევარ ვაჭრებათ ითვლებიან ქაიხოსრო, პეტრე და ივანე. ორ უწყით ესენიც გასომხდენ თუ არა. მეფემ სტუქსა გაბრიელი სჯულის გამოცვლის გამო და ამიტომ იგი ისევე დაუბრუნდა თავის სჯულს.

დათიაშვილები. ანუ სადათიეროვათაც წოდებულნი. მეფის სოლომონის წინაშე კარგად დამსახურებულნი და კარგი აღებ-მიცემის მექონიც იყვნენ. ძველადგანვე კათოლიკობასთან დაკავშირებულნი და ვაჭრობით წინ წასულნი, მეფე სოლომონს ისე უყვარდა ერთ სადათიერო, ანუ დათიაშვილი ნონია, რომ თავის საიდუმლო საქმეებსაცი ანდობდა. ვაჭრობის ასაპარეზედ ესენი ისე ჰახელოვნებდენ, რომ ძველადგან ამათ აზნაურის შვილობაც ებოდათ მეფეთაგან. მეფის სოლომონის შემდეგ ამათგან სახელი განითქვეს მრავალთა, და მათ შემდეგ ვაჭრობით აღდგომილან: სოლომონი, ოპანჯანა, იოსებ, ლუკა, გიორგი, სტეფანე, დავითი, იოანე, ანტონ, თომა, სადლეისორ ეს გვარი. შემცირდა.

ალიანთვები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობას და შეძლებულნი ვაჭარნი მეფის სოლომონის დროს.

ოსმალეთიდგან მრავლად მომტანნი სხვა და სხვა საქონლის.

ზურადაშვილი. ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობა სთან, მესხები და გამოჩენილი ვაჭრობით მეფე სოლომონის დროიდამ, შემდეგ დროებში ვაჭრობით განითქვნენ: გიორგი, პეტრე, დავითი და სხვანიც ახალ დროისანი.

ქუჩჩიბაშვილი. ძველნი ვაჭარნი ახალციხიდამ გადასულნი ქუთაისს და ცნობილნი ვაჭრები მეფის წინაშე.

ტოტინიგაშვილები. ძველნი ვაჭარნი და განთმულნი საკმარისად.

თხევაზიაშვილები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობას და შეძლებულნი ვაჭრები ძველადვე.

ბაქრაძენი. ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და ცნობილნი გვამნი და ვაჭრები მთელს იმერეთში. ბაქრაძეები კათოლიკის სარწმუნოების აწი ძველად მრავლად იყვნენ, დღეს ძრიელ მცირედლა არიან.

საბაშვილები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან და განთქმულნი აღებ-მიცემით და გვარის შვილების კაცებით, ამათში ზოგნი მოწინავე სასულიერო პირნიც იყვნენ. ვაჭრობით განითქვეს სახელი ძველადგანვე ახალციხეს, ქუთაისს, შემდეგ ბათუმს და სხვაგანაც. ახალციხეს გარეშე იგინი ვაჭრობით სხვა და სხვა ადგილებში აღმოსჩნდენ და ახლ დროს, ქუთაისში სჩანს შესამჩნევის სახელწოდებით ანტონ საბაშვილი, იგივე საბაევი. დღეს ქუთაისში და ბათუმში ოვალთ საჩინოდ სჩანს ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევი — იგივე ძველად საბაშვილი. ამ ენერგიულს პირს კარგი სავაჭროები იქვს დახსნილი ქუთაისსა და ბათუმში. მისი სავაჭროების არსებობა ჩვენი ტომის ვაჭრობითი განვითარების ასპარეზედ მნიშვნელოვნად ჩაითვლება. დღეს ნიკოლოზ საბაევი ცნობილი პირია და მასთან კარგად მცოდნე და ენერგიული მოქალაქე ყველა საქმის ცოდნაში ცხოვრების და მოქმედების ასპარეზედ დღეს სადაც ერთი და ორი სახელოვან ქართველთ კათოლიკენი გამოსჩნდებიან, იქ არც ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევი გა-

ძოაკლდება. ქუთაისსა და ბათუმში მას ჩინებულად მიჰყავს თა-
ვის საქმეები. შეუძლებელია რომ იგი რამე საზოგადო და სა-
ქველ მოქმედო საქმეთა სამსახურს უკან გაუდგეს, მოერიცოს.
კათოლიკეთ ეპისკოპოსი რომ მოვიდა ბათუმში, მაშინ მან
ამის სახლში ისადგურა.

ხითარაშვილები, ხითაროვები მრავლად სცხოვრებდენ სა-
მცხე-სათაბაგოს. ძველად, ქართველ დევნელების გამო ზო-
გნი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გადასახლდენ,
ზოგნი ლსმალში წავიდნენ. ვინც სამცხეს დაშთენ იგინი
ყველა კათოლიკობას დაუკავშირდენ. ზოგნიც გრიგორიანო-
ბაზედ გადავიდენ. ამ გვარის წევრთა ძველადგანვე განითქვეს
სახელი ვაჭრობით. ზოგნი გადასახლდენ ქუთაისში და ვაჭრო-
ბა დაიწყეს. სადაც მართლაცა და ფეხი წადგეს წინ ვაჭრობით
და აღებ-მიცემათ.

ჩარექაშვილები. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლი-
კის სარწმუნოებასთან. ვაჭრობით ამათაც დიდი შნო გამოი-
ჩინეს სამცხეს, მერე სამცხიდამ იმერეთში გადასახლდენ. იმე-
რთა მეფის წინაშე მათ ვაჭრობით დიდი სახელი და ნდობა
მოიპოვეს, მასთან პატივის ცემაც. ამათმა სახელშა და საქმე-
ებში იქამდე მიაღწია, რომ იგინი მეფეთაგან დაჯილდოვებულ
იქმნენ აზნაურის შვილობითაც. თავის დროს მათ დიდი სახე-
ლი და მნიშვნელობა აქვნდათ იმერთა მეფეთა კარის კაცთა
შორის, სამწუხაროდ მეფესთან ამათ დაახლოვებულ კავშირის
შესახებ ჩვენ არაფერი ცნობები გვაქვს. სადლეისოთაც ბევრი
არა ვიცით რა, თუმცა ძველად განთქმულ ჩარექოვების შთა-
მომავალნი დღესაც სცხოვრებენ ქ. ქუთაისს. ვაჭრობით
და აღებ-მიცემით ძველ ვაჭრებთ შემდეგ დროს ცნობილნი
არიან; ივანე, იოსები და პეტრე.

გელაზაროვები. ძველადგანვე დაუკავშირდენ კათოლიკო-
ბას და სახელიც განითქვეს ვაჭრობით. შემდეგ დროს ქუთა-

ისში გადასხლდენ და აქ დაიწყეს აღებ-მიცემა. სოლომონ მეფის დროს და შემდეგაც 1825 წლებში ქუთაისში ვაჭრობის ასპარეზედ სჩანან ანტონი, სტეფანე და სხვანიც.—უცხო-ქვეყნებშიაც მავალნი აღებ-მიცემისათვის. მათ მომდევარნი დღესაც სტანცრებენ ქუთაისს.

ხოჯივანაშვილი. დღეს ხოჯივანოვები. კათოლიკობას ძველადგანვე დაუკაცშირდენ და ვაჭრობის მხრით XVIII საუკუნის ბოლოს იმერეთში გადასახლდენ. ქუთაისში გაიმაგრეს ფეხი და აღებ-მიცემით წინ წავიდნენ. ამ საქმით იგინი საკმარისად დაწინაურდენ და გამაგრდნენ. შემდევ დროს სოლომონ მეფესაც დაუახლოვდენ და ქუთაისში იქმნენ ცნობილნი როგორც საპატიო პირნი. შემდევ დროს ამ გვარიდამ ვაჭრობის ასპარეზედ სახლოვნებით აღმოსჩნდენ პეტრე და სხვანიც. უახლეს დროისას არ ვასახელებთ, მათი ცნობები არ გვაქვს.

ხეჩინაშვილები. ძველადგანვე დაკაცშირებულნი კათოლიკობას. ქუთაისში განითქვეს სახელი ვაჭრობით სოლომონ ჰეფის დროს. შემდევ დროს, ვაჭრობის ასპარეზედ კაის მხნე-იპრით აღმოსჩნდენ დავითი, სტეფანე, ბენიამინ, პეტრე, სიმონ, ბესიკა და სხვანი. ქუთაისში აღებ-მიცემის ასპარეზედ ამათ კაი აღვილი ჰკავებიათ ერთ დროს.

ჩილინგარავები ახალციხელნი, ძველადგანვე ცნობილნი და განთქმულნი. აღებ-მიცემით ქუთაისს, ძველადვე დაკაცშირებულნი კათოლიკობასთან.

გოზალოვები. ძველადვე დაკაცშირებულნი კათოლიკობასთან და ვაჭრობის მიზნით ქუთაის გადასახლებულნი და მოვაჭრენი მეფეთა დროიდვანვე.

რაც აქ მოვთვალეთ, უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნის შემდევიდამ, იმერეთში, ათჯერ ამაზედ მეტა ვაჭრებიც იყვნენ, რომელთაც ვაჭრობა აქვნდათ გამართული ოსმალებს, სპარსეთს, ინდოებს, ევროპის ყველა ერში და რუსეთშიაც, აქ ყველას მოთვლა ძნელია, რადგანაც ცნობები არ გვაქვს, თუმცა ამბათ კი გვაქვს გაგონილები სხვა და სხვა გვარნი, რომ ესა

და ეს გვარის წევრი ამა და ამ დროს ესა და ეს ვაჭარი იყოვო. ესეც კმარა იმის საფუძვლად, რომ ვიცოდეთ, თუ იმერე-
თში, იმერთ მეფეთა დროს, მარტოდ კათალაკეთა ვაჭრები
რა რიცხვის და ზომის იყო. უნდა დაუშატოთ, რომ იმავ დროს,
ქუთაისში მრავლადიდა მეტად მრავლად იყვნენ გამრავლებულნი
ეპრაელთა ვაჭრები, სომხები და ადგილობრივი იმერთა მცხო-
ვრებთ მოქალაქეთა შეილებიც. სომხები იმერეთში თვილასი-
დამ სახლდებოსენ და მცირედ ახალციხიდან. ესენი მრავლო-
ბდენ დიდათ ქუთაისს, ორბირს, ფოთს და სტვაგანაც. იმერთა
შორის ვაჭრობის აღორძინების შემდევ ამათმა რიცხვმა იმე-
რეთში დიდათ იკლო.

პარასკევობა-ანუ იარმუკობა იმერეთში.

პარასკევობა, ანუ ბაზრობა ქუთაისში იცოდნენ ძველა-
დგანვე. ბაზრობა იმართებოდა ქალაქის შუა გულ აღაგას,
ვაჭრები იხდიდნენ სამეფოდ ერთ ნაწილს, სამოურავო და საქა-
ლაქოდ ცოტას. ვაჭრობის დროს, ყველა ხელოსანი თავის ნამოქმე-
დარით იხდიდა ხარკს. ხარკში აძლევდენ სიმინდს, ღომს, პურს,
ქათამს, ღორს, ცხვარს, სხვა საკლავ საქონელს. ფრინველს,
ღვინოს და ფულსაც. ქუთაისში კვირის იარმუკობა შემოვიდა
1830 წლების შემდგომიდამ.

ფზურგეთშიაც ასევე იცოდნენ, პარასკევობას დიდი ძალი
ვაჭრობა იცოდნენ. ვაჭრები და ხელოსნები საგურიელოს
ხდილობდენ, ამის მასალები მე შევკრიბე. ხარჯი ძრიელ მცი-
რედ არას განაწილებული ვაჭრებსა და ხელოსნებზედ, ესენიც
თავიანთ ნაწარმოებით იხდიდენ ხარკს. ოზურგეთში პარასკე-
ვობა სჩანს 1803 წლიდამ წინა დროის არ ვიცით.

ხონის-ვაჭრობა და პარასკევობა სჩანს 1830 წლიდამ.
ხოლო ამ დროს იქ ისე ყაფილა განვითარებულ აღორძინე-
ბული, რასაც ნიადაგი და ნათესავობა შორს უნდა მიუწვდე-
ბოდეს, თიქმის XVIII საუკუნეში, ვინაიდგან ხონი ძველ

დროს ნამდვილი ბოლაზი იყო მოხერხებულის ვაჭრობით. სხვა და სხვა ქალაქებშიც ასე და ამ გვარად, პარასკევობა აველგან იცოდნენ. ყველგან იყო ვაჭრობა გამართული და ყდგილობრივ საქონელთ გარდა სამზღვარ გარეთელ ტაქონლითაც ვაჭრობდენ. საქონელი შემოჰქონდათ მრავლად ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა და ეპრაელთაც. ებრაელებმა თითვის ყველგან იცოდენ პარასკევობა და ვაჭრობა საღაფუა იგინი სცხოვრებდენ.

ფულად გადიოდა იმერული ფარა და ოსმალური ფული, ყურუში, ოქრო და სხვანი, ქართული ფული და საპარსულიც საზოგადოთ იმერეთში პარასკევობა ცოცხლად და მრავლად იცოდენ. ზოგნი ამბობდენ, რომ პარასკევს ყაჭრობა მიტომ განუწესებიათ, რადგანაც ეს დღე ქრისტიანთათვის მძიმეა, შავი დღე არის და მიტომ ვაჭრობაც ამ დღეს დაუნიშნავთო. ზოგნი ამბობდენ და ჩვენც ვფიქროთ, რომ ეს უნდა იყოს დაშენილი ოსმალთა გავლენის დროიდამ, როცა იმერეთი ოსმალთ ეკავათ და მათ ჩვეულებათ აქვნდათ ჯუმა დღეს, ანუ პარასკევს, საღმე დიდ სოფელში, საღაც ხალხი ჯამეში სალოცავად თავს იყრიდა, ამიტომ ხალხის გამო ვაჭართაგან ვაჭრობაც იქვე, მათ ახლოს იმართებოდა. ასე და ამ გვარად მე ვფიქრობ, რომ ჩვენებური პარასკევობა პარდაპირ ამის შედეგი უნდა იყოს, რადგანაც დღესაც ოსმალეთის საქართველოში, ქართველ მაჰმადიანები, ჯუმა დღეს, ჯამეს ვვერდით, პარასკევობას სწორედ ამ აზრით ახერხებენ და მართავენ.

პარასკევობას სხვა და სხვა ვაჭრებთ გარდა თვით ყასპებიცი მისდევდნენ და საკლავს ხოცავდნენ, მაგალითებრ ძროხას, ცხვარს, თხას და ლორს იქ, საღაც ოსმალთა დიდი გავლენა არ აქვნდათ. ეს ჩვეულება ოსმალეთის საქართველოში დღესაც იქვსთ. პარასკევობა იმერეთის ზოგი ერთს დაბებში დღეზდეა დაშთენილი, ნამეტურს ხონში, სამტრედიას და ფოთში, პარასკევობა ძველიად ვრცლად ცოდნიათ, სადღეისოდ იგი იქ მკაცრად დაეცა. უნდა მოგახსენოთ, რომ იმერეთში რამდე-

ნადაც უცხოეთის საქონელი შემოჰქონდათ, იმაზედ მეტს ადგილობრივ გაკეთებულს აქვნდა გასავალი, ძნელად, რომ ვაჭრებს ადგილობრივ ნაწარმოების საქონლისკე არა ჰქონიყოთ რა გასყიდათ მიტანილი.

პარასკევობის წესიერება დადგენილი და დამტკიცებული იყო მეფე და მთავრებთაგან, რაის მსგავსი პარასკევობის წესიერების დაცვის დამტკიცება მეც მაქვნდა. ბაზრობის ყოველივე წესი, რიგი და ოლებ-მიცემის მოჰყრობა დიდის კაღნიერებით და თავაზით არინ დასაბუთებული და დამტკიცებული. დიდს ქალაქებში პარასკევობას ყოველთვის მოურავი ადევნებდა თვალ ყურს და ყველა წესიერებას ეს იცავდა. ესევე ჰქონდა ხარჯს. გვითქვამს და კიდევაც ვიტყვით, რომ პარასკევობას ვაჭრები და ხელოსნები ერთობ ცოტა ხარჯს იხდიდნენ.

პარასკევობა ხანდის ხან გაგრძელდებოდა რამდენსამე დღესაც:

ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრს ალაგას, პარასკევობა იცოდნენ წელიწადში ერთხელ, ე. ი. დიდი იარმუკობა, სადაც აუარებელი ვაჭრები იყრიდნენ თავს. იქ დიდი ვაჭრობა აქვნდათ მათ გამართული, დიდი ოლებ-მიცემა და საქმეებსაც ფიცხლავ და ცოცხლივ აწარმოებდნენ. ასეთი იშვიათი იარმუკობა იმერეთში ერთობ ხშირად იცოდნენ. სადაცი იცოდნენ, იქ ვაჭრობა და ოლებ-მიცემაც კარგად აქვნდათ დაყენებული და ყოველ საქმეს დიდის მოწიწებით და ფაქიზათ ასრულებდნენ. ასეთ იარმუკობასაც თავისი გადასახადი აქვნდა მეფისაგან და მთავრებთაგან დადგენილი და განწესებული. ამიტომ ვაჭრებს და ხელოსნებს მეტს ვერავინ რას წართმევდა, რადგანაც ყოველმა პირმა, ვაჭარმა თუ ხელოსანმა კარგად იცოდა საიარმუკოდ, სამეფო და სამთავრო გადასახადი. ხარჯიც ერთობ მცირე იყო და ჩიტომაც გახლდათ რომ ასეთი დიდი, მაგრამ იშვიათი იარმუკობაც წინ მიღიოდა და ხალხში მრავლდებოდა,

პარასკევობა და ვაჭრობა იმერეთშ თუ სადამდე იყო გარცხველებული სოლმონ მეფის დროს და მასზედ წინეთა(,

ეს იქნდამაც კარგად სჩინს, რომ როგორც სოლომონ პირველს XVIII საუკუნეში, ისევე სოლომონ მეორეს სავაჭრო წესიც ი აქვნდათ გამოცემული. ანუ მაზანდა, ასეთის მაზანდობის ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს. ერთი ასეთის მაზანდის დიდი ფურცელი, ლურჯს ქაღალდზედ ნაწერი აქვნდა ს. მერკვილაძეს, იგი ლურჯ ქაღალდზედ იყო ნაწერი და სავაჭრო საქონელთა შორის მოხსენებული უყო ყოველისფერი საჭროსაქონელი და მასთან ფასებიც ზომიერი. სასწორის ანუ საწონის ზომა, რიცხვი და სავანი უმეტესად ოსმალურის სახელებით მოიხსენებოდა.

უნდა ითქვას, რომ როგორც ქალაქ თფილის, ვორს, ახალციხეს და სხვაგანაც, იმერეთის ქალაქებშიაც ნიხრი ერთობ მცირე ყოფილა, ყოველივე იაფი ყოფილა და მასთან კარგი, სუფთაც. ყოველივე აღგილობრივ ხორაგეულობის და გამონაყვანის ისეთი იაფობა ყოფილა რომ მასზედ ლაპარაკი მეტიც არს. დრო იყო ისეთი და იაფობაც თან ახლდა შას. მაზანდის წერილები ჩვენი მეფეების დროს ყოველთვის ეძლეოდათ ფაჭრებს, თითქმის ყოველ თვეს. ასეთი მაზანდის წერილები მრავლად არს და შოთენილი კავკასიის შთავარ მართვანლის არქივში, საიდამაც ჩვენ ვერ ვსარგებლობთ, მათი ნახვა და გაცნობა კი მეტად კარგი იქმნება. ორი მაზანდის წერილი „ივერია“-შეც იყო აღაუგ დაბეჭდილი და იგი რუსულად სთარგმნეს. ეს მაზანდის წერილები ჩვენ ველარ ჭიბოვეთ, თორებ აქვე მოვათავსებდით. ხოლო იმასკი ვიტყვით, რომ სოლომონ მეფის მიერ გამოცემული მაზანდის წერილიც დაკარგულა მპოვნელის ხელში, სამწუხარო კი ასეზი ძველი საინტერესო ცნობების დაკარგვა.

ვაჭრობა და აღებ-მიცემა ოზურგეთში.

რამდენათაც ოსმალთა შფარველობა დასარუპი იყო ქართველთ გვარისთვის, იმდენათვე იგი სასაჩვებლო იყო მეზობლობის, ვაჭრობის და აღებ-მიცემის მხრითაც. ოსმალთა იმპერიის სიახლოვემ, ზღვამ და მასზედ მოგზაურობამ გურიაში დღადგინა ვაჭრობა. ამ გარემოებამ კაი გავლენა იქონია და ოზურგეთი საყურადღებოთ გახდა ქართველთათვის, შას ყურადღება მიაპყრეს ახალციხელ ქართველ კათოლიკეებმაც, გორის, ქართლის და სხვათა ქართველთაც. ახალციხელნი ვაჭრობისთვის ხშარად მსვლელოდენ გურიას.

ძველადგან ანუ XVII საუკ. გურიას საზოგადოთ და კერძოთ ოზურგეთში, ვაჭრობის ვრცელების საქმეს ხელს უწყობდენ კათოლიკის ბერებიც რომელთა რიცხვი იქ ყოველთვის, საქმარისი იყო. გურიაში ძველადგანვე აღორძინდა ვაჭრობის და ხელოსნობის გარეშე ზღვაზედ მგზავრობაც. აქ არსებობდა თითქმის ყველა ხელობა, ყველა სავაჭრონი და მასთან საქარხნო სამუშავონიც.

ვაჭრობის და ხელოსნობის ასპარეზედ უმეტესად გურულები იყვნენ და აქა იქ ბერძნებიც ერივნენ, მასთან ოსმალნი და ქობულეთელნი ქართველ მაჰმადიანებიც. ოზურგეთში ქართველ მაჰმადიანთ ვაჭრებთ რიცხვი ძველადგან ვიდრე 1850 წლამდე 55 დუქანზედ შეტი იყო. ისევე სხვების და ქართველ კათოლიკეთაც (იხ. ამის ძველი ცნობა სხვაგან).

ვაჭრობისათვის განწესებული იყო თვით იარმუკობაც ანუ პარასკევობა. პარასკევობა იქ ფართოთ სწარმოებდა და

ნამეტურ დაბასა და ქალაქებში ხალხი საჭიროებდა, ამიტომ იარმუკობა — ანუ პარასკევობა აქ ფართოთ სწარომებდა და ამ დღის ვაჭრობიდამ ალებ-მიმცემნი და ხელოსნები საგურიეულოდ და საბატონოთ ანუ სამოურავოდ ხარჯსაც იხდიდნენ, ზოგნი ფულით, ზოგი ფართლით, ზოგიც სხვა ნივთებით, ვისაც რა უწყობდა ხელს იგი იმით ხდილობდა თავის ვალს.

ამისთვის წესებიც, ი ყოფილა გურულებისაგან დადგენილი და განწესებული. თუ ვის რა უნდა გადაეხადნა ხარჯათ. მაგალითებრ მეფართლეს თავის წილათ რა უნდა მეცა ხარჯად, ისევე მეწულეს, თერძს და სხვათაც ამ გვართა. ამის წესები ისე იყო მოწყობილი, რო მგურიის სამთავროამ დაწვრილებით იცოდა ისიცვი, თუ ოზურგეთის იარმუკობაზედ რამდენი ვინ ვაჭარი დაესწრებოდა, ხელოსანი და ვინ რითი ივაჭრებდა. ამათი გვარი და სახელებიცვი იცოდნენ, სადაც ყოველთვის გვარი და სახელითაცვი ანუსხავდენ იმ გარემოებას თუ ვის რა უნდა გადაეხადნა თავის წილად. ასეთ ნუსხათა ალწერის წიგნებმა ჩვენ დრომდისაცვი მოაღწიეს და ერთს ხელთნაწერში ანუსხულია 1800 წლის შემდეგ დროის ისეთი ცნობები 1810 წლამდე, ვიდრე ეს სამთავრო თავის ავტონომიით გაუქმდებოდა. ცნობებიდგან სჩანს, რომ გურული ვაჭრები შინაურ ნაწარმუებთა გარდ ჰყიდნენ თვით უცხოეთის საჭონელსაც და ნამეტურ ოსმალეთიდგან შემოტანილს. ამიტომ გურული ვაჭრები ძველადგანვე მგზავრობდენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებშა და იქ ალებ-მიცემას აწარმოებდენ, ასევე გადიოდნეს ტრაპიზონს, სტამბოლს და სხვა კუთხეებშიაც. აღსანიშნავია, რომ გურულებს სიმინდი გურიიდამ საბერძნეთს, ანუ ოსმალეთში აღრიცვანვე გაჭკონდათ და ჰყიდდნენ, სჩანს ოსმალეთში არამც თუ დღეს, არამედ ძველადგანვე ყოფილა სიმინდის მოსავალი დიდს საჭიროებაში. ეს ყველამ იცოდა ძველად და ამიტომაც ყოველი გურული მეცადინობდა ამის ალებ-მიცემის მოწყობა — განვითარებას.

ოზურგეთელ ვაჭრობას და აღეპ მიცემას ხელს უწყობდა
კიდევ ის გარემოებაც, რომ იგი საქრისტიანო სამთავროს
ხელში იყო და აქ თავისუფლად მოდიოდენ ახალციხის უა-
ჭრები და საქონელი გადმოჰქონდათ გასასყიდათ და ქართველ
მაჲჲადიანებიც მიტომ ეტანებოდენ აქ ოსმალეთის საქონელით,
რაღანაც აქ ვაჭრობას კაი გასავალი ჰქონდა და მეორე-
ერთი ენის ცოდნა და მონათესავობაც უფრო აკავშირებდა
მათ ურთი ერთობას. ამ გარემოების წყალობა გახლდათ რომ
ახალციხის კათოლიკეთა გრძიაშა არამც თუ მისვლა მოსვლა
განავრცეს, არამედ მათ გურიის მთავრებთანაცკი კაი განწყო-
ბილება ჰქონდათ. იგინი მათ ყოველთვის ერთგულობდნენ,
უაღრესათ პატივსაც სცემდენ. ასეთ ცნობილ კათოლიკე-
თაგან რამდენიმე ოჯახი სჩანს ძველად და ერთი ამ ოჯახთა-
განია და ამათი გვარის წევრნი — ძველად ცნობილის თუმანი-
შვილებისა, რომ ლენიც ოზურგეთში ძველადგანვე სცხოვრო-
ბდენ აღებ-მიცემის მხრით, მრაწველობის და ხელოსნობისა.
ესენი იქ გურიელების დროდგან ისე გამოჩენილ და პატივცე-
მულნი იყვნენ, რომ მათ ყველა კარგად იცნობდა ყველამ
იცოდა თუმანაშვილების აღებ-მიცემის ვითორება.

ოზურგეთელ კათოლიკ თუმანიშვილების წინაპარნი ქა-
რთლის სოფ. ხელთუბნელები ყოფილან, უეჭველია თავადის-
შვილები და აქვე დაკავშირებულნი კათოლიკის სარწმუნოების,
რაღანაც დღემდე ვიცით ჩვენ რომ კათოლიკ თუმანიშვილები
გორსა და ხელთუბანს ჩვენს დრომდისაც სცხოვრობდნენ. ამ
თუმანიშვილების გვარში დაშთენილია სეთი თქმულება: თუ-
მანიშვილები ხელთუბნელები არიან. ქართლს ლეკები დაცე-
მიან და ახლციხისკენ ტყვეები წაუყვანიათ, სავათა შორის,
ამ ტყვეებში თუმანიშვილებიც რეულან. ლეკებს ეს ტყვეები
ახალციხეში დაუტოვებიათ თუ დაუყიდნიათ ქრისტიანებზედ.
ამ სახით თუმანაშვილებიც ახალციხეს დაშთენილან, აქ უცხო-
ვრიათ, აქ იგინი შესჩვევიან აღებ-მიცემას, ანუ ვაჭრობას,
შემდეგ დროს, ამათ ამის საქმე აქეთ კარგა წასვლიათ, აღო-

რძინებას მისცემიან, მერე ვაჭრობის მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც უწყვიათ მგზავრობა ნამეტურ ოზურგეთს, რაც ახალციხეს ახლოდ ესამხლვრებოდა.

ასე და ამ გვარად, თუმანიშვილები ოზურგეთში XVIII საუკუნეში უნდა იყვნენ გადმოსულნი, ამას ეჭვი არ უნდა, ამათი წარმატება და გვაროვნობის მთავარ გურიელსაც კარგად სცოდნია, იგი ამათ განსაკუთრებით ყურადღებასაც აქცევდა, პირველი როგორც გვარიშვილს და მეორე როგორც ოსმალოს ქვეშევრდომს. საქმე ისე მოეწყო და ოზურგეთში თუმანიშვილებს ისე კარგად წალვიდათ წარმოება რომიგინი საყოველთაოდ იქ დაშთენ საცხოვრებლად, თითქმის ადგილობრივ ჟცხოვრებთა რიცხვში იგულისხმებოდნენ, საყოველთაოდ იქ მიეცნენ ცხოვრებს და აღორძინებას, XVIII საუკუნის შემდეგ, ოზურგეთის ქართველ კათოლიკეთა თუმანიშვილებთ შორის საკარისად სახელოვნებდა სტეფანე პავლეს ძე თუმანიშვილი.

სტეფანე პავლეს ძის დაბადება შეკავშირებულია XIX საუკუნის ხანასთან, იგი გარდაიცვ. 1890 წ. თითქმის 90 წლისა. მაშასადამე ამის მამა პავლე XVIII საუკ. პირია. სტეფანემ პირველი დრო ცხოვრებას ოზურგეთს გაატარა, მის მერე ქუთაისს გადასახლდა და იქ გარდაიცვალა. სტეფანე მოხერხებული პირი ყოფილი თავის დროს ამას გურიიდგან აღრიდგანვე დაუწყვია მგზავრობა ევროპისაკენ. გურიიდამ პირველად ამას გაუტანია ევროპაში აბრეშუმის ჭირი შარკი გასასყიდათ, შემდეგ იგი ხშირად დადიოდა, მგზავრობდა და თავის ალებ-მიცემას განაგრძობდა. ერთდროს ეს რომ წავიდა და საქონელი გაიტანა გასასყიდათ, იმ დროს მას ნიაპოლის-აც მოუხდა მისელა, დარჩენა დავაჭრობა. სწორედ ამ დროს, ნიაპოლის გარს გარიბალდი შემოეკრა თავის ჯარით. ამის ამბები სტეფანე პავლეს ძეს ძრიელ კარგდ ახსოვდა თურმე და მის შესახებ ლაპარაკიც იცოდა.

სტეფანე პავლეს ძემ თავის დროის კვალიად როგორც

ძველმა კაცმა ძრიელ ბევრი ძველი ამბები იცოდა თავიანთ გვაროვნობის შესახებ. ამათ გვარის შესახებ მას სხვა და სხვა ძველი ცნობებიც ჰქონია შეკრებილი. ამას გარდა სცოდნია ძველ ქართველთ ვაჭართა აღებ-მიცემის ამბები და ნამეტურ ხალციხის ვაჭრების, ოზურგეთის, ქუთაისის და სხვათაცა, რომელნიც მაშინ აღებ-მიცემობდენ და ხალხს ემსახურებოდნენ. გურიის, სამეგრელოს მთავრების შესახებაც ბევრი ცნობები ჰქონია და ისევე ხალციხის ფაშებზედ, ოსმალოს გამგეობისა და სხვებზე უც მრავლად სცოდნია ცნობანი. სამწუხაროდ, მას თავის დროს ვერავინ შეხვედრია ისეთი პირი რომ ისეთ პირისაგან ესაჩებლინა და რამე ძველი ცნობები დაეწერა, ყოველივე შესთან გაქრა და მოისპო. ისკი კარგად ვიცით და ეს მე მიამბო მახეილ ალექსანდრეს თუმანიშვილმაც, რომ სტეფანე თუმანიშვილი მეტად მახვილ გონიერი კაცი ყოფილა და მრავალ ძველ ამბებთა მცირდნე. ნამეტურ ვაჭრობის, აღებ-მიცემის და შემდეგი დროის საქმეებისა ქუთაისში.

შესავსებლად თუმანაშვილების გვარის წევრთა მრეწველობის და აღებ-მიცემის შესახებ დამატებათ ვიტყვით კიდევ შემდეგს მოთხრობილს ამბავს.

გურიაში, ძველადგან უმეტესად სიმინდის არყის ხდას მისდევდენ. თვითქოს ჭაჭის ხმარება და მის არყის გამოხდა მათ არ სცოდნიათ. ოზურგეთს და დუაბზუს პირველად კარგი არყის დიდი ქარხანა გაუხსნია ალექსანდრე თუმანიშვილს და ამ ქარხნის საშუალებით უფრო საფუძველიანათ მოფენილა გურიაში არყის ხდის ხელოსნობა ხელოვნურად. სხვა რამ ცნობები ამ არყის ქარხნის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა. ჩვენის ზოგი რამ ცნობების შესამოწმებლად და გურიაში ქართველ კათოლიკეთაგან ვაჭრობის ქონვის და ალორძინების გამო მოვიყვანთ შემდეგ გაღმოსცემასაც. — „ოზურგეთში, ძველად გურიელების დროს, დიდათ სახელოვნებდა თომა თუმანიშვილი. ეს იყო გურიელების მახლობელი პირი, მეგობარი, ვაჭარი სასახლის და სხვა და სხვა ამბების წამლებ მომტანიც.

თომა ოზურგეთში სცხოვრებდა ცოლ-შვილით, მისი შვილები იყვნენ და არიან: იოსები, მიხეილი და ალექსანდრე. ეს პირნი გურიაში არიან აღზრდილები და მათი ცხოვრება აღმარძინდა იმ დროს, როცა გურულებმაც თვალი გაახილეს. ვაჭრობის ასპარეზედ ამისთვის მათ კი შრომა მიუძღვისთ. მაგალითებრ პირველად ამათ როსტოვიდამ მოიყვანეს პურის მცხობლები და ოზურგეთში პურის ცხობა დაიწყეს. პურის ცხობის აღორძინება ოზურგეთში ამათის ცდითა და შრომით იწყება. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, გურულები ძველადგანვე პურის ცხობას სულ არ მისდევდენ, მათში ღომი და სიმინდი იხმარებოდა ყოველთვის. პურის ცხობას და ჭამას გურულები 1840 წლების შემდეგიდამ შეეჩივნენ. პურის საცხობთა განყოფილებანი მათ ჯევნდათ ფოთს დაჭუთაისსაც, ფურნის პურის ცხობის საქმეს აქაც ისეთი მნია შვნელობა აქვს, ხოლო თონის პურის ცხობაკი აქ მეფების დროიდგანვე იყო გავრცელებული, რადგანაც რაჭველი მეთონეები არამც თუ ქუთაისს, არიმედ თფილისშიაცკი გადმოდიოდენ. თვით XVIII საუკუნის დამდეგს, 1795 წ. უბდურებამდის. თფილისში რამდენიმე თურ მეპურის საცხობები იყო, რომელნიც რაჭველებს ეკუთვნოდათ.

თომა თუმანაშვილი ოზურგეთში პატარა მისულა სავაჭროდ, იგი დადიოდა სტამბოლოს და სხვა ქვეყნებშიაც. თავის დროის კვალად იყო მცოდნე და მოხერხებული პირი. შემდეგ დროს ამის შვილებიც ისევე იწურთნებოდენ და გურიაში ვაჭრობის ასპარეზს საკმარისად აფართოვებდნენ. ამათმა ცდამ გურულებს ფართოდ შეუწყო ხელი ვაჭრობისთვის. თორემ გურულები სულ არ მისდევდენ ვაჭრობას. 1853 წ. ომამდის, ოზურგეთში 52 ვაჭარი ასმალიდამ მოსული ქართველ მაჰმადიანები იყვნენ. ამ ცნობას ერთი ძველი წერილი ამტკიცებს, რომელიც აღრე მოვიპოვეთ. აი ამ ძველი ცნობის შინაარსი: — „ 1853 წ. ოზურგეთში მოვაჭრე

ოსმალთ რიცხვით 52 კაცი, გამოეცხადათ, რომ რაღანაც რუსეთს ოსმალეთან ომი უხდება, ამიტომ თქვენ თქვენს სახელმწიფოში უნდა წახვიდეთო 52 ვაჭარი თხოვნას აძლევა მთავრობას და ავალებს, რომ, — რადგანაც აქ დიდი ნისია გვაქს გურულებზედ და ფანტული, ამიტომ ხება მოგვეცით, რომ ცოტა ხანს დაწინჩეთ და ნისის საქმე გავასწოროთ ავკრიფთოთ. და სხვანი. ასე იყო თურმე გურულებში რომ მათში უფრო მუსულმან ქართველნი ვაჭრობდენ. თომა თუმანიშვილმა და მისმა შვილების საქციელმა კი გურულებზედ უკეთესად იმოქმედა და ქრისტიანებმა ქრისტიანები უაღვილესად წაახალისეს ვაჭრობის ასპარეზედ. ასეთივე დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ვაჭრობის ასპარეზედ სტეფანე თუმანიშვილს და მის შვილს პავლეს, რომელიც კარგა ხნის მომსწრე პირნი არიან გურიელების მართვა-გამგეობისა.

ოზურგეთს და მის მიღამოებში ესენი აწარმოებდენ ყველა ნაირ საქონლი, ვაჭრობის და წარმოებას. თავიანთ დროის კვალიდ ესენი შეძლებულნი პირნი იყვნენ. თვითოვეულ მათგანს აქვს კარგი მნიშვნელობა გურულების წაქეზებაში ვაჭრობის ასპარეზედ ასეთ ამაგის გამო გურულებმა ერთხელ ამათი გაძევებაც განიძრახეს, მაგრამ ამაოდ. ამათვე გახსნეს არყის ქარხანა საჯავახოს, რასაც რასაკვირველია თავისებური მნიშვნელობა არ მოაკლდება არყის ხდის ცოდნის გავრცელების ასპარეზედ გურიაში. როგორც იმერეთში, გურიაშიაც ძველიდგან არ მისდევდენ არყის ხდას მრავლად და ოსტატურად. თუმანიშვილებს ოზურგეთში, მასთან მთელს გურიას და გურულების წინაშე, რაისა გამო მათ თვით გურიელებიც აძლევენ სსვა და სხვა მოწმობას და წერილებს გურიაში სინდისიერად ვაჭრობის და აღებ-შიცემის წარმოების გამო. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენის ვაჭრობის პატივ საცემლად და მის მნიშვნელობის საცოდნელად ეს გურიელების მოწმობაც დიდი რომ გახლავსთ. მე ასე ვფიქრობ და ვგონებ ამას ეჭვიც არ

უნდა. ასეთი იყო მნიშვნელობა თუმანიშვილების აღებ-მიცე-
მის გურიასა და ოზურგეთში და მიტომაც ემადრიელებოდენ
მათ გურულების უმეტესი ნაწილი და გურულებაც.

გურიის ერის ვაჭრობით განვითარების შესახებ დიდი
ძალი მასალები იყო დაშვენილი ოზურგეთის სამაზრო გამგე-
ობის არქივში. 1896 წ. 120 ფუთი ძველის დოკუმენტების,
საგვარეულო ცნობების, სავაჭრო და სახელოსნო მოწმობის,
ფუთობით გაყიდეს და მით დაიღუპა დიდი რამ ძალი ჩასა-
ლები გურიისთვის. დაუფასებელი, ჩვენგან მოუფიქრებელი და
მოსაზრებული ცნობები. ზოგი რამ ცნობები მე შევკრიბე და
ყოველივე ჩემი ცნობები იქიდამ ამოვკრიბე.

გურიაში რომ კათოლიკობა წინ მიღიოდა **XVIII** საუკუნის
შემდეგიდამ, ეს მისი საქმე გახლდათ, რომ ახალციხე გური-
აზედ ახლო არის. როგორც გურულებს ემარჯვებოდათ ახალ-
ციხეში გადასვლა, ისევე ახალციხელები გადადიოდნენ გური-
აში, ნამეტურ იზურგეთში. გურიის მთავრებს კარგათ ესმო-
დათ ვაჭრობის მნიშვნელობა და ამიტომ სამცხითან ვაჭრებს
იგინი დიდს პატივსა და თავაზსაც აგებდენ. გურიის მთავართა
და სამცხელ ქართველ კათოლიკ ვაჭრებთ შორის ამხანაგური
კავშირი ისე იყო დაახლოვებული და განცხოვლებული, რომ
თვით მთავრებიც ც. ს. მთავარი სესხულობდენ მათგან ფულს და
ნისიათ იღებდენ სხვა და სხვა ნივთებს. ქართველ კათოლი-
კე ვაჭართათვის გურიის ქ. ოზურგეთი მითაც იყო კარგი,
რომ ეს ქალაქი ბათუმსა და ზღვის ნაპირებთან ახლოს იყო
და შეორე აქ განაგებდა ქრისტიანეთ მთავარნი, რომელნიც
მათ ყოველთვის გაუწევდენ დიდს მუარველობას. ასეც იყო
და ზღვაზედ და ზღვის ნაპირა ქალაქებში ქართველთ ვაჭრე-
ბთა გაჭუცვას ვერავინ ბედავდა გურიელების შიშით. გურიე-
ლების შიში აქვნდათ თვით ლაზისტანში მცხოვრებ თათრე-
ბისაცი, ესენიცკი ვერაფერს ცნებდენ ლაზისტანის ქართველ
კათოლიკეთა ვაჭრებს. გურულების შიშით ქართველ ვაჭრებს

ლაპისტანში ჩაღაც არ დაეკარგებოდათ ხოლმე. მაშინ როცა
ბერძნებს და სხვებს თათრის ყაჩალები ყოველთვის და შეუ-
წყალოდ სცარცუავდენ. აი ეს გარემოებაც გახლდათ მის მი-
ზეზად გამზდარი, რომ სამცხე-სათაბაგოს ქართველ გვარის.
კათოლიკეთა ვაჭრები გურიაში ისე ხალისით მისდევდენ გა-
დასახლებას და ვაჭრობას. ამის მაგალითია სტეფანე თუმანი-
შვილის მამის გადასახლების საქმე გახლდავს ახალციხიდამ
გურიაში XVIII საუკ. ბოლოს.

ბ ა თ უ მ ი

მჭედლიშვილების ამბავი-და სრვა ცნობები.

ბათუმი ქართველთათვის საყურადღებო კუთხე იყო და
მასთან მეტად საჭიროც. ოსმალთა მფლობელობის დროს,
ჩვენ ამ კუთხეზედ დიდი ყურადღება გვქონდა მიპყრობილი,
ყოველ ქართველს დიდის ხალისით სწყუროდა ბათუმის ნახვა,
მის ახლო მახლო მგზავრობა, მასთანვე მთელი ამ კუთხის
შემოერთება ამიერ საქართველოსთან. ამ ჰაზრით გამსჭვალუ-
ლნი ხშირად ერთმანეთში ფულს ვაგროვებდით, მით წიგნებს
ვყიდულობდით და ვიდრე საქართველოს შემოუერადებოდა,
მინამდის ამ წიგნებს იქ ვგზავნიდით დასარიგებლად. მოლები
და ხოჯები რას უშვრებოდენ ამ წიგნებს ამისი ჩვენ არა ვი-
ცოდით რა, თუმცა ბათუმი ჩვენზედ ახლოს იყო, მაგრამ იგი
შორს იყო ჩვენგან მით რომ იქ ოსმალოს ფანატიკობის მა-
ხვილი არსებობდა, იქ ჩვენი მისვლა-მოსვლა ძნელდებოდა-
დ. ბაქრაძე ბათუმის ფაშამ 10 დღეს დააკავა ბათუმში და მხო-
ლოდ მერე მისცა სხალტამდის წასვლა და აქ უქ ნაშთების
ნახვა. ასე იყო ამ ქალაქის საქმე ჩვენზედ მოწყობილი.

აი ასეთ დროს; ბათუმში, ჩვენა გვყვანდენ გულ შემატკა-
ვას ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები, რომელნიც

აღეა-მიცემის მხრით ახალციხიდამ ძველადგანვე ბათუმის გზით
ოსმალეთში მგზავრობდენ და საქონელი გაპერნდათ და შე-
მოპერნდათ, ამათს ერთს უმთავრეს ბინას ბათუმი შეადგენდა.
ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრები უპირველესად აქ
ჩერდებოდნენ, აქედამ ემზადებოდნენ სტამბოლში წასვლას,
ზღვაში მგზავრობის თავდარიგს, იქ ვაჭრობას და მერე და-
ბრუნების, ბათუმი ამათვის შეადგენდა ცოცხალ სახელმძღვანელო
სარკეს, მასში ხედავდენ იგინი თავიანთ აღებ-მიცემის მომავალ
მგზავრობის სვებედს. ერთ ასეთ ღვაწლ დებულ პირად უნდა
ჩაითვალოს, ძველადგანვე კარგად ცნობილი, სოფ. უდელი,
ქართველ კათოლიკეთა ვაჭარი ლუკა ანტონის-ძე მჭედლი-
შვილი და მომავალში ამის შვილებიც. ამიტომ საჭიროდ მი-
გვაჩნია რომ მოკლედ ჯერეთ ეს გვარი და მის წევრთა
ვინაობის ისტორია. მოვიხსენოთ და მერე სხვა საქმეებსა და
ვაჭრობაზედაც გადავიდეთ.

მჭედლიშვილების ძველი გვარი — როგორც გამიგონია ზა-
ზაშვილიც ყოფილი. ესენი ყოფილიან მცხოვრები ქართლის
სოფ. რუისისა. ერთ დროს, ამ სოფელს და მასთან მჰელს
ქართლს ლეკები და ოსმალები დაცემიან, ტყვეები დაუტა-
ცნიათ და ახალციხისკენ წაუყვანიათ, ამ ტყვეებში რეულან
შემდეგ დროს მჭედლიშვილებათ ხმობილთა წევრნიც. ამათ
ოსმალთაგან თავი დაუხრწევიათ, ახალციხიდამ სოფ. უდეს.
გადასულიან და იქ დასახლებულიან, ვგონებთ, კათოლიკის სა-
რწმუნოებასაც იქ უნდა დაკავშირებოდნენ. ამაზედ მათ გვარში
არ არის დაშთენილი ჩამე ცნობა, ისკი არის ნათქვამი, რომ
მჭედლიშვილები ქართლის რუისიდამ ვართ და ძველი ჩვენი
გვარი ზაზაშვილიაო. კათოლიკობა XVII საუკ. რუისშიაც იყო
განვრცელებული გორიდამ და ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ,
რომ მჭედლიშვილები კათოლიკის სარწმუნოებას რუისშივე,
ან გორში იქმნენ დაკავშირებულნი. ასეა თუ ისე, ჩვენ ამას
არ ჩამოვეკიდებით, დღეს იგინი ირიცხებიან ქართველ კათო-
ლიკედ, ვინაიდგან მოდგომითაც ქართველები არიან. შეინი-

შნოს აქ უნდა, რომ XVII საუკუნის დამლევს, ქართლიდამ საზოგადოთ და მასთან რუისიდამაც რამდენიმე კომლი იქმნა თასმალთა და ლეკტაგან ტყვედ წყვანილნი და ახალცი ხეში კათოლიკეთაგან თავ-დახსნილები, რომლებიც იქვე ახალციხის ახლო მახლო სოფლებში დაშონენ და კათოლიკობა აღდარეს.

მცედლიშვილები მესხეთში მიეცნენ ცხოვრებას და გამრავლებას, იქვე შეეჩივნენ ვაჭრობას და შემდეგ დროს ამის ასპარეზედ იგინი საკმარისადაც გაძლიერდენ და გამრავლდენ. იგინი ვაჭრობდენ და აღებ-მიცემას აწარმოებდენ ახალციხეს და მის მიღამოებს, ეს დრო უნდა მიეწყროს XVIII საუკ. ნახევარს და ამ დროის პირად ჩვენ უნდა მივიღოთ ლუკას მამა ანტონ მცედლიშვილი. ანტონ მცედლიშვილი უეჭველია ახალციხეში განვითარდებოდა, იქ შეიძენდა ვაჭრობის შნოს და იქიდამვე დაიწყებდა აქეთ იქით სიარულს, ნამეტურ იმერეთს, იზურგეთს და ბათუმს. საიდგანაც მერე თსმალეთშიაც წავიდნენ სავაჭროდ. ანტონ მცედლიშვილის ახალციხიდამ იმერთის კუთხეებში გადმოსვლის ხანაც ჩვენ ზემო ხსენებული დრო მიტომ მიგვაჩნია, რადგანაც ახალციხელ ვაჭრებმა მესხეთიდამ ერთს დროს იწყეს იმერეთში გადასახლება და გამრავლება. ანტონი XIX საუკუნესაც კარგა ხანს მოესწრებოდა, რადგანაც ამას ლუკას დაბადების რიცხვიც აჩენს ესენი თავიანთს დროის კვალად იქამდე ჩენილნი არიან, რომ ვაჭრბის შხრით ამათზედ ლაპარაკი არ იქნება შეტი. მაგრამ სამწუხაოდ ანტონ მცედლიშვილის ცხოვრებას და აღებ-მიცემის შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს. ეს არის ჩვენი უბედურება რომ ჩვენი ძველი ყოფა ცხოვრების შესახებ ბევრი არა ვიცით რა და ნამეტურ ვაჭრობაზედ.

ამ გვარის წევრთა ცნობები მხოლოდ ლუკა ანტონოვისძის მოქმედებით სჩანს და ამიტომ ჩვენც ლფკას მოლვაზეობის მოგონების აღწერით დავიწყებთ. ლუკა მცედლიშვილს რომ აღმზრდელათ მამა არა ჰყოლიყო, უამისოდ ის თავის ჰა-

საკუთხი მისვლისას შესამჩნევ პირად ვერ აღმოსაჩინდებოდა არა მც თუ ვაჭრობის ასპარეზედ, არამედ მოგზაურობაში და თუნდ ბათუმში გადასახლებაზედ და იქ დასახლებაზედ საყოველთა თ. ლუკა ანტონის ძე ვიდრე ბათუმს დასახლდებოდა, მინამდის იგი რამდენ გზის მე ყოფილა აღმოსავლეთის ქვეყნებში და ნამეტურ სტამბოლს, ამის ცხოვრების ასპარეზედ გამოსცლა, აქა იქ ვაჭრობა და მგზავრობა მიეწერება 1835 წ.

ოსმალეთის სახელმწიფოს ვაჭრობას, საქონელს, მის დრო და დროის მაზანდას ლუკა კარგად იცნობდა, ოსმალეთი მას ისე ჰქონდა გათვალისწინებული, როგორც თავის ხელის გული. მან კარგად იცოდა მათი ავი და კარგიც. ოსმალეთში მისი მგზავრობა საზარალოდ არას დროს არ იქნებოდა, მან იცოდა სად როდის და რისთვის ან რა საქონლისთვის წასულიყო. უბრალოდ დროს არ დაკარგვდა. ოსმალეთიდამ საერთოდ და კერძოთ კიდევ სტამბოლიუმ მან სხვა და სხვა სავაჭრო საქონლის შემოტანა საქართველოში დაიწყო 1837 წ. მრავალნაირი საქონლით დატვირთულს ლუკა მჭედლიშვილს პირველად ბათუმში მოუხდა დარჩენა. სადაც მაშინ ქართველთვის ვაჭრობის რიცხვი ერთობ ჰატარა იყო. ლუკას ჰყოლია თრი ძმა: ირასები და გრიგოლი, ესენიც მისავებ ვაჭრობასა და აღებ-მიცემაში განთქმულნი ყოფილან თავიანთ დროს.

ახალციხე რუსეთმა რომ აიღო მალხაზ ანდრონიკოვის მოხერხებით, ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდენ ახალციხას ქართველ კათოლიკენი და ქართველ ებრაელნიც, ამათ დიდათ უხაროდათ რუსთა მისვლა. მალე დაიცალა ახალციხე ოსმალთაგან, გავიდა ახმედ ფაშა ხიშშიაშვილი და თან გაიყოლა დიდი ძალი ქართველობა აჭარას და არზრუმისაკენ. ქართველთათვებს ახალციხის დაკარგვა ერთობ სწყინდათ, ამიტომ ერთის წლის შემდეგ, ესენი ერთ ღამეს უჩუმრიად დაეცნენ ახალციხეს და იკლეს უწყალოდ. აკოებულებთ შორის მოჰყვა

ლუკა მცენლიშვილიც, რომელიც რამდენსამე ხანს დარჩა აჭარელების ხელში და მერე კი იგიც გაანთავისებულს, რაღაც ტყვეების განთავისულების ბძანება აქცნდათ და მეორე ლუკას იგინი კარგადაც იცნობდენ. ამბობენ, რომ ამ დროს, ახალციხეში, ქართველთ შორის ბევრი შეძლებული ოჯახი იქმნა აკლებული და ანიავებულიო. ბევრი ქონებითაც იქმნა დასჯილი და გაცარცულიო. მალე გაანთავისუფლეს ტყვეები და განთავისუფლდა ლუკაც.

იმის შემდეგ ლუკამ გადასწყვიტა აქა იქ მგზავრობა და თავის საქმით წარმოება. ალებ-მიცემის წინ წაიყნა, იგი ახალციხეში ვაჭრობდა ჩითებლობით, ანუ ყოველნაირის ფართლეულობით, ვაჭრობის მხრივ მას დაახლოვებული კავშირი ჰქონდა ქუთაისის ვაჭრებთან, ოზურგეთის, ბათუმის და ნამეტურ - ზუბალაშვილებთან, რაღანაც მაშინ ზუბალაშვილები ალებ-მიცემის ასპარეზე საკმარისად ბრწყინავდენ და სახელოვნებდენ. ამისთვის ამ კუთხეთა ვაჭრების ცნობა მისთვის საჭიროც იყო, რაღანაც იგი ვაჭრობისთვის მათთან საქმესაც იქცერდა, იგინი მას ანდობდენ უცხო ქვეყნებიდამ საქონლის შემოტანას. ლუკა ანტონის ძე საქართველოდამ მგზავრობდა სტამბოლს, სპარსეთს და იქიდამ დიდი ძალი ფართლეულობა და შალეულობა შემოჰქონდა. 1849 წ. სპარსეთიდამ მოვიდა თფილისს და თან შემოიტანა დიდი ძალი ნივთები და ფართალ შალეულ-აბრაშუმეულება. მეტად კარგი ნივთები. სპარსეთს გარდა თფილისში სტამბოლიდამაც ხშირდ გადუტანია ხოლმე. საქონელი იყო მრავალნაირი, ბევრი იშვიათის ფასისაც. მასთან დროის კვალად საყურადღებოც.

თავრიზიდამ დაბრუნებული დარჩა თფილისსა, ადალციხეს და ქუთაისს, თავისაგან მოტანილ საქონლის საქმეები გასწალდა, გაასაღა და მის მერმე შეუდგა ადგილობრივ საქართველოს ერის ნაწარმოებთა შეკრიბეს და თავდარიგს სტამბოლში გამგზავრებისთვის და საქონლის გასაღებისთვის. სტამბოლს მომზადებული პათუმის გზით მალე წავიდა. თან წაიღო

სხვა და სხვა საქონელი, იქ მოისაქმიანა, შემდეგ ამის დაბრუნდა საქართველოში და წლის თავზედ ბათუმს მოვიდა-ეს დრო უნდა ყოფილიყოს 1852 წ. თან მოიტანა დიდი ძალი საქონელი. საქონელს თავ-თავის გზა და კვალი მისცა. თავის კანონიერი სავაჭრო მიმოსვლა. საქმის გათავების და სამზადისის შემდეგ იგი კვალად წავიდა სტამბოლს სავაჭროდ, იქ დარჩა რამდენსამე ხანსა, ივაჭრა, მოისაქმიანა და საქონლის შეკრების შემდეგ დიდის ძალის ნივთებით საქართველოში დაბრუნდა, ეს ხანა მიეწერება 1854 წ. უნდა შეინიშნოს, რომ ამ დროს, რუსეთსა და ოსმალთა შორის ომიანობის ხანა იყო დამდგარი და შიტომ ვაჭრებიც ვერ ბედავდენ თავისუფლად მგზავრობას, ყველას ერიდებოდა, ეშინოდა გაცარცვის.

ლუკა კი ასეთის შიშის არაფერი ჰქონდა, რაღანაც მას ყველგან თურმე კარგად იცნობდენ და ამას ყურადღებას აბყრობდა ზეით ისმალეთის უმაღლესი მთავრობა, რუსეთის და სპარსეთისაც. მაგალითი გახლავთ ამისი ის, რომ 1856 წ. სტამბოლიდამ რომ წამოვიდა საქართველოში, მას თან გამოატანეს სტამბოლიდამ იმ დროის სულთანის ფირმანი. ფირმანი სასტიკად აუწყებდა ქვეშევრდომთ, რომ ოსმალეთის იმპერიაში ლუკა არსად გაეცარცვათ. მაგრამ დრო ისეთი იყო, რომ მაინც ვერ ასცდა იგი გაცარცვას, სტამბოლიდამ ხოფას რომ მოვიდა, მერე იქიდამ ართვინს გადავიდა და იქიდამ აპირებდა საქონლის შემოტანას ახალციხეს და საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაშინ რუსეთის კარანტინი ახალ კიხის მახლობლად ყოფილა, მგზავრობის დროს, ლუკა აჭარლებს გაუცარცვამთ და საქონელი, ანუ მანუფაკტურა სულ წაურთმევიათ. წართმევა და თავდასხმა რამდენ ჯერმე შემთხვევია გზაში და ქვაბლიინში რომ დასცემიან მაშინ მძიმეთაც დაუჭრიათ. დაჭრილი თფილისში გადასახლდა ზუბალაშვილების ოჯახში, იქ მორჩა, მის მერე ბათუმს დაბრუნდა, იმ დროს ბათუმს განაგებდა სეიდ ფაშა.

სეიდ ფაშასთან აჩივლა ლუკამა და თან სულთანის ფირზანიც წარადგინა. საჩივარს დაწვრილებით დასძინა გაძარცვის და დაჭერის ცნობებიც. სეიდ ფაშა სასტიკი კაცი იყო, გაძარცვასა და დაწრაზედ ძრეილ გაჯავრდა მით უფრო, რადგანაც ლუკამ სტამბოლშიც გაგზავნა საჩივარი. ფაშამ მალე სასტიკი ბრძანება გამოსცა და აჭარელთ დაავალა გამცარცვავთ დაჭერა, მაგრამ ეს ვერ მოხდა, მცვარცვანი ვერ დაიჭირეს, უკანასკნელ ისკი მოხდა, რომ სეიდ ფაშის ბრძანებით, ლუკა ანტონის ძეს წანართმევი საქონლის ფასი დაუბრუნეს, ყოველივე ზარალი აღუდგინეს. ამ საქმის გარემოებამ მრავალნი გააკვირვა და თვით ბათუმის იმ დროის რუსის კონსოლიც, რომელიც ლუკასაც ესარჩილებოდა როგორც თავის იმპერიის ქვეშევრდომს, ოსმალთაგან ითხოვდა ლუკას დაჯილდოვებას. ამ გაოემოებას ზედ ერთოდ სეიდ ფაშის მრისხანე განკარგულებაც, რომელმაც კარგად იცოდა აჭარელთა ზე, ხასიათი. ამ სეიდ ფაშის შემდეგ ბათუმში ფაშას გამგეობა მოისპო და 1860 წლიდამ კი მაკანი, ანუ პოლკოვნიკის თანამდებობა დაარსდა.

რადგანაც ლუკას ბათუმის რუსის კონსოლიც კარგად იცნობდა და ამას გარდა კონსოლმა მისი მნიშვნელობაც იცოდა, ამიტომ ლუკა მჭედლიშვილი ბათუმში უასახლდა 1857 წ. იქ მოაწყო თავისი სავაჭრო საქმეები და იმ დღიდამ რუსეთის კონსოლს ისე დაუახლოვდა, რომ კონსოლმა იგი გაიხადა თავის თანამართველად და საქმის მართვა გამგეობაში მონაწილეობის მიმღებათ. იმავ დროს ლუკა ირიცხებოდა კონსოლის კომისიონერთაც, კონსოლმა იგი თავის მოთარჯიმანეთაც დაიჭირა და მალე კავკასიის მთავარ მართებლსაც აცნობა და გააცნო ლუკას ერთგულება რუსეთის მხავრობისადმის ოსმალეთის სახელმწიფოში. ლუკას სახლობა კი ახალციხეს სახლობზა შვილებით. მალე ლუკა ბათუმის მიღამოების მცხოვრებთა წინაშე პატივსადებ პირად შეიქმნა, მას იცნობდენ ქართველი ბეგები, ფაშები და თათრის ყველა მოხელენი. ლუკამ

ამ კუთხის და ნამეტურ ბათუმის ავკარგიანობა ისე იცოდა, რომ ამას ერთი პწყარიც კი არ გამოეპარებოდა. აქ ამან ახალურიხიდამ ბათუმში გადიყვანა თავის, პირველი შვილი იოსები და იგი გამოწურთნა როგორც ვაჭრობაში, ისევე კონსოლის წინაშე შესაფერს სამსახურში და მის შემძლებლობაში. ლუკა გარდაიცვალა 1860 წ. ქ. ართვინს. იქვე დაასაფლავეს, რაღანაც მაშინ ბათუმში კათოლიკეთ სასაფლავო არ იყო. ლუკას გარდაცვილების ცოტა წინეთ ბათუმში გადაყვანილ იქმნა გრიგოლ ლუკას ძე მჭედლიშვილიც, მეორე შვილი ლუკასი- გრიგოლიც მამის და ძმის გავლენას ქვეშ იწურთნებოდა როგორც ვაჭრობაში, ისევე სხვა და სხვა საქმეებშიც. ლუკას სიკვდილის შემდეგ ბათუმის კონსოლმა თავის თარჯიმანათ იოსებ ლუკას ძე დანიშნა, ეს განაგებდა, იოსების სავაჭრო საქმეებსკი გრიგოლი.

ლუკას ბათუმში დიდი გავლენა ჰქონდა თვით ოსმალოს მთავრობის წინაშე, იგი დიდით ემსახურებოდა კათოლიკეთა საქმეებს, მათთვის სასლში ჰქონდა ეკკლესია მოწყობილი და რაღგანაც აქ მათ სამუდაშოდ მღვდელი არ ჰყვანდათ, ამიტომ იგი ხან ტრაპიზონიდამ მოიწვევდა პატრებს — კაპუჩინებს და ზან ართვინიდამ. კათოლიკებს გარდა ლუკას და მის შვილებს იოსებს და გრიგოლს საქართველოდამ გაყვანილ ტყვეების დახსნაზედაც დიდი ამაგი მიუძლვისთ და ამას გარდა ბერძნების და სომხების მცარველობაზედაც, იგინი იყვნენ ყველა ქრისტიანთა ფარი და ხმალი. ლუკა რომ არ ყოფილიყო, უაშისოდ ბათუმში ბერძნებს ოსმალნი ეკკლესიის შენების წყობასაც არ მისცემდენ, ისეთი დიდი ხმა და გავლენა აქვნდათ ამ პირებს. დღეინდელი ბათუმის საყდარი ლუკას თავოსნობით და დახმარებით არის გაკეთებული. ლუკას შემდეგ ბათუმში როგორც თავი ასახელა იოსებმა, ისევე მისმა ძმამ გრიგოლმაც. როცა იოსები ბათუმში არ იყო, მის თანამდებობის აღმსრულებელი გრიგოლ ლუკას ძე მჭედლიშვილი გახლდათ.

დოოსა და გარემოების კვალად რამდენადაც ლუკას ძე გრიგოლი ზრდაში შედიოდა, იმდენადვე განვითარდეის, წარმატების და გამოცდილებასაც ეძლეოდა, როგორც აღებ-მჩუდემის საქმეში ისევე ცხოვრების კერძო საქმეებშიაც. იჯი დროსს კვალად მცოლნე იქმნა მთელს ბათუმის მიდამოებთა მცხოვრებთა და მასთანვე გამოჩენილიც როგორც რუსის კონსოლის წინაშე, ისევე ადგილობრივ ოსმალთა მთავრობისაცა.. ამავე დროს ბათუმში სახელოვნებდა მეორე ქართველ კათოლიკეთა ვაჭარის სტეფანე. დედებოვი. ამ დედებოვს დიმ. ბაქრაძეც იხსენიება თავის მგზავრობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამათ დროს თითო თროლა სხვა ქართველ კათოლიკენიც იყვნენ, რომელნიც აღებ-მაცემის და ხელოსნობას მისდევდენ. დედებოვსაც თავის დროის კვალად ცოდნა ჰქონია შეძენილი, ამის შვილი იყო ფერდინანდ დედებოვი, რომელიც ერთ დროს სპარსეთში იყო და იქ კავლის კუნძებს ჰყიდულობდა და ევროპაში გზავნიდა, ამის ასპარეზზედ სპარსეთში მან კაი საწარმოებელი ნიჭი გამოიჩინა, გურდაიც ბათუმს, 1896 წ. საჭიროა რომ ხსენებულ დროის მწარმოებელთა და მრეწველთ ცნობები გვქონდეს და მასთანვე აღწერილიც, მაგრამ სამწუხაროდ ეს ჩვენ არა გვაქვს და ამიტომ ისევ ამ გვარის წევრთა ცნობებს უნდა მიუბრუნდეთ.

ბათუმში მცხოვრებელმა და დახელოვნებულმა გრიგოლმუკანასკნელ დროს, რაკე ბათუმში მან საკეოერებლად უფხი გაიმაგრა და ცხოვრების სახსრით მოეწყო, მერე ბათუმს გა, დიყვანა თავის ორი მცირე წლოვანი ძმების ლევანი და პავლე აღსაზრდელად. შემცირე მცირეს დროისა ერთიცა და მეორეც, ე. ი. ლევანიც და პავლეც მან აღზრდის გზაზედ დააყენა და ბოლოს კონსტანტინეპოლისაც წაიყვანა, ევროპიულის განათლების სასწავლოდ. უმაღლესად სწავლის მისაღებათ. შემდეგში ესენი აღმოსჩნდენ წარჩინებულ გულ შემატკივარ მამულის შვილებათ. ამათზედ ქვემოთ ვისაუბრებთ. აქვი ვიტყვით

იმას რომ გრიგოლ ლუკას ეს თვის მცირე წლოვან ძმათა წინაშეც შეასრულა თავის ძმური სიყვარულის ვალი, ის ვალი რითაც ჩვენი ძველები უხვათ იყვნენ დაჯილდოებულნი და ჩვენკი მათი ნასახიც აღარ გვაქვს. გრიგოლ ლუკასძე ყოველთვის კეთილის თვისების ყოფილა მოზარდ თაობის დაწინაურების და განკარგებისთვის. მას დიდს საჭიროდ მიაჩნდა აღსასღელთათვის დახმარების მიცემა.

გრიგოლ ლუკასძე თავის შეძლებას და ძალას ბათუმში აღრიღვანვე სასარგებლოთ ხმარობდა, იგი იყო კარგი თანამედროვე თავის დროისა და ყველა საჭირო საქმეთა და გარემოებათა პირობების გამრჩევი. მას დიდი კავშირი ჰქონდა ადგილობრივ ბეგებთან, მათთან ლაპარაკი საქართველოს შესახებ. ასევე მას დიდათ ენატრებოდა აშ კუთხის კვალად საჟართველოსთან დაკავშირება—საქართველოს გაერთიანება, ამისთვის იგი რუსეთის მთავრობას ბევრს საკეთილო რჩევასაც ატყობინებდა და ნამეტურ ადგილობრივ მთავრობის მდგომარეობას და განძრახვას რუსეთის მთავრობის წინაშე. ასეთის ერთგულობისათვის გრიგოლს ბევრჯერ მადლობაც მიუღია კონსოლისაგან უმაღლეს მთავრობის დავალებით. ესევე პირი დიდი მფარველი იყო ყველა იქ მყოფ ქრისტიანეთა, იგივთვალყურს ადევნებდა დიდათ ქართველთ ტყვეთა მდგომარეობას და მათ ხშირად იხსნიდა კიდევაც. ამას გარდა ვინც კი სტამბოლს მიდიოდა ქართველთაგანი და ნამეტურ კათოლიკეთ მღვდელნი, ყველა შემვლელთა ბინა და სადგური ამასთან აქვნდათ, მათთან ისადგურებდენ და მერე წავიდოდნენ აქეთ იქით თავიდნთ გზაზედ. გრიგოლ ლუკას ეს მეტად დიდი ამაგი მიუძღვის იმ დროის ქართველთა მგზავრთა წინაშე და ნამეტურ ქართველ კათოლიკეთა წინაშეც, რომელთაც გრიგოლი უანგაროთ ემსახურებოდა და ეხმარებოდა. ნამეტურ დიდი ამაგი მიუძღვის პეტრე ხარისჭირაშვილის წინაშეც.

გრიგოლი სტამბოლშიაც ხშირად მგზავრობდა, იქაც მას
დიდი ძალი მეგობრები ჰყვანდა ოოგორც მუსულმანები, ისევე
ქრისტიანები და ნამეტურ ქართველ კათოლიკენი. ერთხელ
თურმე ალი ფაშა თავის კარეტიდამ ჩამოხტა და უცბათ ნა-
ხული გრიგოლი ჩაისო გვერდით და აღარ გაუშვა, ვიდრე სა-
ქართველოს და ოუსების ამბები არ გამოჰკითხა და შესაფერი
პატივი არ სცა. სადაც მიდიოდა ხოლმე გრიგოლი თავის
საქმეების ასპარეზედ ყველგან კაი შნოს და ნიჭს იჩენდა და მით
იძენდა საჭირო საქმეთა ცოდნას. ოსმალეთის საქართველოს
რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებამდე ბათუმში ერთად ერთი
ქართველის ოჯახი გრიგოლის იყო, ეს და ამის ძმების ლევა-
ნის და პავლეს მეტი ჩვენ იქ ერთგულების სხვები არავინ
გვეგულებოდენ. ამ კუთხის რუსეთთან დაკავშირებისათვის დიდი
ამაგი, დიდი შრომა მიუძღვისთ, ყველა ძმანი ამაგდარნი არიან
ამის შრომით და ნამეტურ გრიგოლი.

რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, ბათუმში, უპირველეს
მცხოვრებ მცოდნე პირებად მჭედლიშვილები აღმოსჩნდენ,
რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ და მათ შორის მშვიდო-
ბის დასამყარებლად და დინჯათ ჩაბარების გამო ბევრი შრომა
მიუძღვისთ, ამათ შრომა არც შემდეგ მოსპობილა ამ კუთხის
გაერთიანების. გამაგრების ძალის დასამყარებლად. ამისთვის ყვე-
ლა ძმებს კაი შრომა აქვსთ დადებული. ესეთი ამაგი მთა-
ვრობამაც იცოდა და ამიტომ გრიგოლს პატივს სცემდენ კა-
ვკასიის მთავარ მართებელნი, სხვა და სხვა უმაღლესის ადგი-
ლების მექონი გენერლები და ხშირად ამას ოჩევასაც ჰყითხა-
ვდენ, რასაც და ოოგორც გრიგოლი უჩევდა ისინიც ისე
მოიქცეოდენ. ასეთის ერთგულობისთვის ხშირად ველიკინია-
ზისაგან მაღლობა მიულია ხოლმე გრიგოლს გარდა იოსებსაც
კი, როცაც ცოცხალი იყო იგი. დაკავშირების შემდეგაც ვი-
დრე ამ კუთხეში რუსეთის მოქალაქობა დამკვიდრდებოდა;
ვიდრე გრიგოლი და მის ძმებსაც ქართველ ბეგების დასაწყნა-

რებლად დიდი შრომა მოუნდათ, ბეგები გრიგოლს ისე ენდობო-
დენ როგორც თავიანთ ერთგულს გულ შემატეივარს. პირს და
ერთგულ მოხმავეს.

ბათუმის განახლების და გაშენების საქმეებშია ამათ კი
შრომა მიუძღვისთ და ნამეტურ გრიგოლს. შემდგომ გაშენე-
ბის ბაზუმის საოქალაქო გამგეობის დაარსებაშიაც ნაწილი
უძევსთ, როგორც გრიგოლს ისევე მის ძმებთაც, როგორც
უძველესი მცხოვრებნი ბათუმისა, ბევრი რამ ძველი ამბები იცის
ამ ქალაქის შესახებ და ნამეტურ ადგილების საკუთრების, თუ
ბათუმს ვის სად რა ადგილები ეკუთვნოდა, ამ მხრით ქალაქის
გამგეობას. მათ კაი სამსახური გაუწიეს, ეს იყო მომთხრობა
და არის კიდევაც ბათუმის ძველის ამ ების. ამდენ საამავა სა-
ქმეებთა გარდა გრიგოლი საყურადღებო შემდგითაც:

1878 წ. ომის გამო, ბათუმიდამ დათხოვნილები იქმნენ
რუსის ქვეშევრდომნი და იგინი მალეც გამოვიდენ იქისამ,
გრიგოლი ქუთაისს გადმოსახლდა. ამის ამბები რუსის მთავროւ-
ბამ კარგად იცოდა, ომის დაწყების შემდეგ, გრიგოლ მცე-
დლოვს კავკასიის ნაშესტნოება და მთავრობა მთავარმა მოხეილმა და-
ავალი ბათუმში წასცლა და ოსმალთა სამშადისის შეტყობა,
ამას მთავრობა ფულიც მისცა, რომ მას ეს ფული იქ უნდა
დაწირებუნა და რუსეთის ვის ერთგული პირები მოექებნა,
ნამეტურ სასულიერო პირებში. გრიგოლი წავიდა ბათუმში,
მთავრობის წინაშე გამოცხადდა, რომ ჩემი გამულების ნახვა
მინდა, ისევ მალე დავბრუნდებით. იქ მოისაქმიანა, ნახა ყო-
ველივე, ყელაფერი ანუსხა. იმ დროის ბათუმის მუფთი ჰასან
ეჯენი იყო, ქართველ მაჰმადიანი, ეს გაიერთგულა და მეჩე
მოლებს ფულებიც დაურჩა. მოლები ალტაცებულ დაშთენ.
შემდგომ ამის და ომის გათავებისას გრიგოლი ბათუმს გადა-
ვიდა, აჭარელებს სიწყნარეს ავალებულა და დერვიშ ფაშის
ბრძანების შესრულებას. რუსეთის წინაშე დამორჩილებას,
ჩაბარებას. აჭარელები რუსებს არ ბარდებოდენ, ინგლისის
მთავრობას კაცები გაუგზავნეს და უთხოვეს, რომ ამ საქმეში

დაგვეხმარეთო. საქმე აიწერა, ყოველივე არევას მიეცა, ამ არევ დარევის დროსაც გრიგოლმა კარგი შნო გამოიჩინა. უნდა ითქვას მოკლედ, რომ ამას თავის კვალად მთავრობის წინაშე დიდი სამსახური მიუძღვის და ბათუმის თვით გამგეობაზედაც ხომ მეტად დიდი ამაგი და შრომა. ბათუმის გამგეობას მოხუცების და თავის საქმეების გამო თავი დაანება 1894 წ. ბათუმის მამულები უპირველესად გრიგოლმა ასწერ და ანუახა ის თუ იქ საღ ვის რა ეკუთვნოდა, საბეგო რა ადგილები იყო, საჭალაქო და ან ვის რა საკუთრება ჰქონდა, ყოველივე ამას ეკითხებოდა. ბათუმში არ დაარსებულია რამე სამოქალაქო, საზოგადო და სასანიტარო დაწყებულებანი, რომ იქ გრიგოლს მონაწილეობა არ მიეღო. ყველა საზოგადო საქმეში დაუზარებელი იყო და დღესაც არის. ყოველივე ამასთან უნდა ითქვას, რომ იგი ქართული მწიგნობარი პირიც არის, თვალყურს ადევნებს ქართულ მწერლობას, დიდი მოყვარეა თავის სამშობლო ქვეყნის და ერის. როგორც მოხუცი ასამიანი კა; ცად-კაცია, ბევრს სავაჭრო და სააღებ-ზიცემო საქმეებში გამოწურთნული და დაჯილდოვებული ბათუმი ამის არ დამავწყებელი უნდა იქმნეს და მასთან ზნეობრივადაც მოვალე.

სტეფანე ლელებოვი. ახლციხელი პატარა გადასახლდა ბათუმში და იქ ვაჭრობა შეისწავლა. შემდეგ დროს ბათუმში კა აღებ-ზიცემის ვაჭარი იყო და თანამედროვე მჭედლიშვილებისა. სტეფანეს ვაჭრობა, აქვნდა გამართული მოელს ოსმალების საქართველოს ქართველ მაპმაღიანებში და თავის ვაჭრობის საქმეც კარგად მიჰყვანდა. მას დიდი გავლენა აქვნდა მჭედლიშვილებთან ერთად ბათუმის მაპმაღიან მთავრობაზედ, ბეგებსა და მათ მოხელეებს ესენი ყოველთვის ქართულიდან საუბრებოდენ. ამათ თანამედროვე ქართველ ვაჭრებს დიდი მისვლა მოსვლა აქვნდათ კონსტანტინეპოლის სავაჭროდ. სტეფანე დედებოვმა დიდი დახმარება მისცა და ბაჭრადეს ოსმალების საქართველოში სამგზავროდ. ბევრი რამ ძველი ამბები უამბო და გადასცა.

კონსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკეთ კაჭირებს სტეფანეს
სახელის მოგონების. წყალობით დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ.
სტამბოლში ქართველთ ვაჭრობის ისტორიაც მეტად მდი-
დარია, მრავალ ფეროვანი და შესანიშნავი. მის ანუსხვა აქ
არ იქმნება მეტი. საქართველოს ვაჭრები ოსმალეთის მთავრო-
ბის მფლობელობის დროს, ყოველთვის ბათუმიდგან მიღიოდენ
სტამბოლს და ხან ფოთიდგანაც. აქედამვე მგზავრობდენ ტრა-
ვიზონს და სხვა კუთხის ქალაქებშიაც. ვაჭრები მიღიოდენ
მრავლად, იქ ამათ აქვნდათ საერთო ქარვასლაც. ამ გარემო-
ებას მათვეის დიდი მნიშვნელობა აქვნდა. სავაჭრო ქარვასლა
ქართველ კათოლიკებს თვით XVIII საუკუნეშიაც კი აქვნდათ
იქ, აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ კონსტანტინეპოლის
ქართველ კათოლიკეთ ქარვასლაში ისადგურებდენ თვით ქა-
რთველ მართლმადიდებელნიც, ნამეტურ იმერ მეგრელ გურუ-
ლები, რომელთა რიცხვი ძველი დღგანვე იქ ყოველთვის საჩინო
იყო. დიახ უნდა ითქვას, რომ ქართველთ ვაჭართა მგზავრო-
ბას სტამბოლში და საქონლის ვაჭრობას დიდი კარგი საი-
ნტერესო ისტორია აქვს. ბევრჯერ გვითქვამს და აქ კიდევ
ვიტყვით, რომ კათოლიკეთა სამღვდელოებას მეტად დიდი
გავლენა აქვნდა ვაჭრობის ალორძინების მშერით კათოლიკის
მრევლზედ და ესენი უფრო ავრცელებდენ მათში ხელოსნობას
და ვაჭრობასაც. ამის მაგალითია შემდეგი გარემოება.

1877 წლის შემდეგ, რაკი აბატ პეტრე ხარისჭირაშვილს
საქმე წაუხდა და ქართველთ მაჰმადიანთათვის მომზადებულ
შისძის ძმათა რიცხვი დაეფანტა და აღნიშნულს კუთხეში
ნება დაურთველად ვერ გამოგზავნა სამქადაგებლად, რაკი თა-
ვის წადილს ვერ მიაღწია და საქმე ჩაეტუშა. მის შემდეგ მან
განიძრახა კონსტანტინეპოლში კარგის სავაჭრო ქარვასლის
აღშენება, სადაც უნდს მისულიყვნენ ქართველ გვარის ვაჭრე-
ბი, თან მიეტანათ თავიანთ ქვეყნის საქონელი. იქ უნდა და-
ეხსნათ მაღაზიები, ამ მაღაზიების საშვალებით თავიანთი სა-

ქონლის გასყიდვა უნდა დაეწყოთ ევროპიელებზედ, მერე მათი საქონელი უნდა შეეძინათ და მის მერე საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ საქონლით სავაჭროდ.

პეტრე ხარისჭირაშვილს სურდა, რომ ამ ქარვასლის არსებობის საშუალებით ქართველ გვარში კარგი, ხეირიანი ვაჭრობა აღორძინდებოდა, მის მერე თავსაც დავადწევთ უცხო ტოშის ვაჭრებთა დიდს გავლენასათ. ამ ქარვასლის ვაჭართა ძმობის წესდებაცკი შეადგინა და ისიც, თუ აქ ქართველ გვარის ვაჭრებმა როგორ უნდა ეცალონ, რომ თვის თანამემამულებში ვაჭრობა აღადგანონ. ამის სასარგებლოდ ვაჭართა აღებ-მიცემისათვის პეტრე, ხარისჭირაშვილი დიდს სუფთა ქართულს მამულის შვილობას ითხოვდა. ყოველმა ვაჭარმა უნდა იყოლიოს ქართველთ გვარის შაგირდი და უნდა ცდალობდეს რომ ამ შეგირდში ვაჭრობისა და საქართველოს სიყვარული ერთ დროს ააღორძინოს. ამიტომ მთელი ქარვასლის დუქნები ქართველ გვარის ვაჭრებით უნდა იყოს დაბანდებულიო.

დროს მიღწეული ვაჭარი ცოლს ირთავს, იგი ცოლიერებას დროს დიდის სამაგალითოს თვისების უნდა იქმნეს. შვილების კაგად აღმზრდელი, ცოლის შემნახავი კარგად და საზოგადოთ კარგი წევრი სავაჭრო ძმობის. წინაღმდეგ შემთხვევაში იგი დაისჯება და გაიდევნება ქარვასლის სავაჭრო საერთო ძმობიდამ. ამ ქარვასლის და საქმეები მოწყობის პა 4000 გ. იყო, ამიტომ სამზადისიც დიდი აქვნი, მაგრამ სამწუხაროდ სიბერის გამო ვერც ეს საქმე მოუხერხდა და მის შემდეგ დამბლად ჩავარდა და გარდაიცვალა. ამ ქარვასლის გახსნის სამზადისსაც კარგი ისტორია აქვს, სამწუხაროდ ჩვენ არც ამ სამზადისის ცნობების ვითარება ვაკით კარგად. ასე და ამ გვარად, ქართველ კათოლიკ ვაჭრებთა კვალი სტამბოლში სასტიკათ შემცირდმ 1870 წლების შემდეგიდამ და სადღეით იქ ჩვენთაგანი აღარვინ არის. მოკლედ უნდა იოქვას, რომ ქართველთ ვაჭრობა ოსმალეთში, ანუ კონსტანტინოპო-

ლში სრულიად დავარდა — მოისპო. დღეს თუ სამცხე-საათაბა-
გოელი ან ბათუმელი ვინმე ქართველი ვაჭრობს იქითკენ,
ისინი ტრაპიზონს იქით იშვიათად მიღიან, იგინი იქ ყიდულობენ
ფორთაქალს, ლიმონს, ლელვს, ზეთის ხილს და ყველა ეს საა-
ქართველოში შემოაქვთ.

ხოლო ისცი უნდა დაუმატოთ, რომ ქართველებს ძვე-
ლადგანვე საბერძნეთს და ოსმალეთთან დიდი აღებ-მიცემა
ჰქონიათ გამართული. საქართველოდგან თითქმის დღე და ლამე
მგზავრობდენ ქართველთ ვაჭრები. თუმცა იგინი ხშირად ზღვა-
ში მგზავრობის დროს, ზღვის ღელვისაგანაც იღუპებოდენ,
მაგრამ ვაჭრობისთვისკი მაინც გულს არ იტეხდენ და დღე და
ლამე ქართველთ ვაჭრობა შავის ზღვის ნაპირებიდამ კონსტა-
ნტინეპოლამდე გაბმული იყო. თუ რა ხშირად მგზავრობდენ
ქართველნი სკამბოლში სავაჭროდ და თუ მით რა გარემოე-
ბაში იყვნენ ამის გამო ჩივარუნილი და ან რა ზომის და რა
გვარის აღებ-მიცემა აქვნდათ, ყველა ეს კარგად სჩანს ერთის
მხრით თამარაშვილის შრომიდამაც.

ვაჭრობა და მრეწველობა ბათუმიდამ სტამბოლს,
იოანეს, ინდოეთს და ევროპას. მჯედღიშვილების ცნო-
ბა-ბათუმს-და სხვა ვაჭრები და ხელოსნები.

ბათუმის დაფუძნება. ძველს ხანას ეკუთვნის. ქრისტეზედ
წინეთ, აქედამ ქართველთ-მისვლა მოსვლა ჰქონდათ საბე-
რძნეთს. საშუალ საუკუნოებში ბათუმი ვაჭრობისთვის შუა გულ
ადგილათ იქმნა ცნობილი ქართველთ მეფეთა წინაშე. აქ ხში-
რად ისადგურებდა თამარ მეფე და სხვა დიდებულნიც, რა-
დგანაც ბათუმი ციხის ძირის წყალობით ქებული იყო ყვე-

ლას წინაშე თამარ მეუის შემდეგ, აქ იყვნენ მინგოლთა ნოინებიც, ბათო ყაენი და სხვანი და სხვანი. ზოგი ამბობენ, რომ ამ კუთხეს ბათუმი ბათო ყაენიდამ დაერქვაო. წინეთკი სხვა სახელი ერქვაო. წინანდელი სახელის ჩვენ არა ვიცით რა, ხოლო ისკი სხანს როგორ ეს ადგილი **XIII** საუკუნის შემდეგიდამ პათუმად იწოდება. საქართველოს უძლურების შემდეგ ბათუმი ჩდება ბერძენთა და ოსმალთა სავაჭრო ქალაქთ, უკანასკნელ აქ იღვევა ნავთ საყუჩართა პირობებიც. ოსმალნი ბათუმს ხშირად ეცემოდენ, მავრამ აღებით ვერ იღებდენ, ამ კუთხეს ყოველთვის თავ-დადებით მფარველობდენ გურიელები და ათაბაგნი. ისიც სხანს, რომ ხან გურიელების ხელში გაუადიონა, ხან ათაბაგების. 1630 წ. იგი დაემორჩილა ოსმალების. 1640 წ. გურიელმა ჩამოგლიჯეს ბათუმი და მასთან მთელი ლაზიკა ოსმალების, ამ ჩამორთმევამ დიდხანს არ გასტანა. 1657 წ. ოსმალთა კვალიდ აიღეს ლაზისტანი, მასთან ბათუმიც და ხალხსაც გათათრება გამოუცხადეს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ქართველებში თათრობა მოიტინა, თათრობის მოფენამ, ოსმალების სახელმწიფოს არსებობამ და საქართველოს სამეფოს საზღვრებითი პირობებმა ბათუმი სავაჭრო ქალაქად გაფოს საზღვრებითი 1670 წ. აქ უკვე დუქან ბაზარი ბრწყინავდა. ვამოაცხადა და ამიტომ იგინი ვაჭრობის საქმეს უფრო სტიანები იყვნენ და ამიტომ იგინი ვაჭრობის საქმეს უფრო ერთგულად მისდევდენ. მუსულმანობამ ერთის მხრით ლაზებში ვაჭრობა შეაფერხა, ერთ საფეხურზედ შეაყენა.

ქართველთ გათათრება რომ არ მომხდარიყო, მაშენ ბათუმი უფრო უკეთესად დაწინაურდებოდა, უფრო კარგს საზღვრო ქალაქად გახდებოდა, მაგრამ რაღაც ისლამი ზღუვაჭრო ქალაქად გახდებოდა, ამიტომ ვაჭრობასაც არ აძლევდა დაწილავს ყოველისფერს. ამიტომ ვაჭრობასაც არ აძლევდა დაწილავს ყოველისფერს, მაინც ბათუმში სხვა და სხვა ქრისტიანთ აღებ-მიცენაურებას, მაინც ბათუმში სხვა და სხვა ქრისტიანთ აღებ-მიცენაურებას, მათ შემოზღდა უცხოეთიდვან შემოსული გემების პირობები, მათ შემოზღდა უცხოეთიდვან შემოსული გემების პირობები, გემები სხვა დრანილი საქონელი და აგრეთვე გატანილიც. გემები სხვა დ

სხვა დროს მოდიოდენ აფსტრიის, გერმანიის, ფრანცუაის, ინგლისის, რუსეთის, ოსმალოს და მასთან წვრილი გემები და ნავებიც.

გემებს საქართველოში შემოჰკონდა სხვა და სხვა საქონელი და ხალხიც მოჰყვანდა. საქართველოდამ გაჰკონდათ ყველაფერი ის, რასაც კართველთ შორის ჰპოვებდენ. მოძრაობა პატარა გემებით და ხიმალდებით იყო, მაგრამ მაინც ხშირი იყო ესა. ბათუმში მის საშუალებით XVIII საუკ. ვაჭრობა თვალთ საჩინოდ სჩანდა, ქრისტიანები ოსმალთაგან დიდათ იდევნებოდენ. მაგრამ მაინც მათი რცხენა არას დროს არ მოსპობილა. 1835 წლების შემდეგიდამ ბათუმში განწესდა რუსეთის საკონსოლო აღაგი და მის მართველთ თანამდებობა. ამათ გარდი აქ გადადიოდენ ხშირად გურიელებიც, დადიანები, იმერთ ბატონიშვილები, ქართლის მეფენი, ათაბაგნი, სხვა გვარის კაცნი და დროებით ცხოვრებდენ ხოლმე. საქართველოს საზღვრებზედ მდებარე ქალაქებთ შორის, ბათუმი შეიქმნა უპირველეს ოსმალთა ქალაქათ. ჩვენდა სამარცხვინოლ ვაჭრობის საქმე აქ ისე მოეწყო, რომ XVIII საუკნიდამ აქ იყო „გაცთა ბაზარიკ“ სადაც ქართველ მებატონებს თავიანთ ყმის შვილები გადაჰყვანდათ და ოსმალებზედ ჰყიდლნენ. ესეთი ბაზარი ქართველთ შვილების დასაყიდათ 1840 წლამდე არსებობდა, ვიდრე რუსეთის კონსოლი დაინიშნებოდა.

ბათუმში XVIII საუკ. იყო რამდენიმე ასი დუქანი. იყო ქარხნებიც.

მეყავენი იყვნენ, მეჩაენი, მეპურენი, ხარშოვნიკები, შეხილენი, მეფართლენი, მეწულე, მეჩუსტე, მექუდე, დერციკნი, მერკინენი, მეხალიჩენი და მრავალიც სხვანი.

აქ ნახავდით სამთლის ქარხანას, საპნის, სამლებროებს, სხვა და სხვათა და მასთანვე იყო საწნავები და საფეიქროებიც. საწნავი ხელობა აქ ისე იყო დაწინაურებული, რომ აქაურთაგან დაწნული კალათები, გოდრები, ხახლები და სხვა ასეთნი სხვა და სხვა კუთხეებშიაც შეკრინდათ. ასეთ საჭიროებათა ოსტატობას იქით ძველი კაი მართვა ჰქონდა, სადლეიისოთვი იგი იქ ძრიელ შემცირდა.

ბათუმშივე არსებობდა სკამების საკეთებელი ქარხანა, სკამებს აკეთებდენ ბევრს ალაგას, სკამების კეთიშა აქ ძველად განვე სტოლიათ, ე. ი. ქართველთ მეფობის დროიდამ და სადღეისოდ იგი იქ უფრო განვითარდა, აქაურ სკამებს კაცი არსად დაიწუნებს. ჩვენ კაცს მისი ნახვა გააკვირებს კიდევაც. დღეინდელი სკამები მშვენიერად კეთდება: საჯდომს ფერადის, ანუ მწვანე და თეთრის ჩალით ქსოვენ და თითო სკამი 50—60 კა. იყიდება. დღეს ამის ხელობა მოფენილია აჭარაში არა მრავლად, უფრო მაჭახელში აკეთებენ. სტოლების კეთება და სწვა ასეთ ნივთებთა კეთებაც იყო გავრცელებული.

თოფის, ხლომის, ხანჯლების და დამბაქების და დანების ქარხნებიც იყო და სავაჭროებიც. ამის ქარხნები და სავაჭროები მრავლად იყო, უმეტესად ხელოსნები იყვნენ ქართველი აჭარელნი, ლაზელნი და მათ მერე ბერძნები და თათრებიც.

მესაათებიც იყვნენ ქართველთ შორის, უმეტეს ასმარეთის საათების კეთების.

საქსოვრები და საფეიქროებიც იყო და შალების, მწარმებელნი იყვნენ უოველთვის ქართველნი, იყვნენ კიდევ ისეთი ვაჭრებიც რომელიც სწვა და სწვა სანოვაგეთა მაღაზიები აქვნათ დახსნილი და ადგილობრივი ნივთებთან უცხოეთი. დგან მოტანილი საქონელიც აქვნდათ გასაყიდათ.

საყურადღებო იყო ბათუმში აგრეთვე ძველის დროიდგან გავრცელებული ლივანაში და ბათუმში შემოლებული. ნავების კეთება, ზომალდების და პატარა გემებისაც. ქართველებში ამის ხელოსნობა კარგად იყო წინ წასული, მას თავის ზომიერი ასტატობის ნიშნებიც ეტყობოდა. სამწუხაროდ ამ ხელობას მარტოდ ლივანელები და ლაზები მისდევდნ, ბევრს ალაგას მათ ამის ქარხნებიც აქვნდათ, შავი ზღვის ნაპირ მდებარე ქალაქებში თითქმის ყველგან, ასევე ბათუმში. საამდროო ვოდ ესეთი ძველი ასტატობა და ხელოსნობაც დავარდა ქაუ

როველებში და დღეს ბათუმში აღარა არსებობს რა. ორი ქარხანა მარტოდ ლივანის ხეობაში არსებობს, საღაც ჭო-რობში სატარებელ ნავებს აკეთებენ. სხვაგან მე ასეთი არა მინახავს რა, აქეთ და იმას კი ამბობენ, რომ ოსმალეთის სამ-ფლობელო ლაზისტანში კი აქა იქ კიდევ არის დაშვენილი ძველი ოსტატობაო.

უნდა ითქვას, რომ ძველადგანვე ქართველ ვაჭრები და მგზავრები ბათუმიდამ მიეგზავრებოდენ ოსმალეთს, სპარსეთს, ინდოეთს, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ონგლისაც და სხვაგანაც. აქედამ გაპქონდათ ყველა ნაირი საქონელი და აქვე შემოჰქონდათ და შემოდიოდენ პირველად ყველა ქართველ მოგზაურნი და ვაჭარნიც. მე მოვესწარ ზოგიერთ ძველ მო-ხუცებულ ვაჭრებს და მათგან ბევრს რამე ცნობებს ვისმენდი ჩვენის ძველის ვაჭრების ცხოვრების და მოქმედების შესახებ. დავასახელებ თუნდაქ, ერთ ცნობას, რომლის ამბეჭი დაწვრი-ლებით არ ვიცით. XVIII საუკუნის ბოლოს, კავკავიდამ, კილაც მთიელ უაჭარს ბეჭინას, სტამბოლის გზით შვეიცარიაში რამდენიმე ათასი ფუთი მატყლი გაუტანია. იქიდამ იგი ევ-რობიულის საქონელით დაბრუნებულა და თფილისში მეფე ერეკლესთვინ და სხვა და სხვა იშვიათ საქონელთაგან შემდგარი ძლვენიც ჩიურთმევია. ამ ბეჭინას ზოგილისშიაც ჰქონია სავა-ჭრო საწყობები. ეს თურმე ხშირად დადიოდა ევროპას და დიდხალი საქონელი გაპქონდა და შემოჰქონდა. კავკავშიაც კაი აღებ-მიცემა ქონია, ნუ თუ ცოდვა არ უნდა იყოს ჩვენ-თვის, რომ ასეთ პირების მოქმედებაზედ რამე ცნობები არ გვექმნეს შეკრებული? ეს მარტო ჩვენ ქართველებს შეგვფე-რის, თორემ სხვებში ამის მსგავსი ანუსხულია. მაგალითად დავასახელებთ თუნდ სომხებს, რომელთაც მთელი მწერლობა აქვსთ შექმნილი აღებ-მიცემის შესახებ.

ქართველ კათოლიკეთ და ქართველთ გაჭრობა სტა- მბოლში XVIII საუკუნიდან.

ამ ცნობების დასაწერად მე ვისარგებლე ალექსანდრე
თომას ძე დათიაშვილისაგან, რომელმაც ბევრი რამ აუბები
იცის ამ საქმეთა შესახებ, რადგანაც იგი სტამბოლს დიდხანს
ვაჭრობდა და მრავალთ ძველს წარჩინებულ ქართველთ ვაჭა-
რთა საქმესაც მოესწრა. თვითონ ეს პირი დღეს, 70 წლისა
არის და კარგად მცოდნე დასავლეთ საქართველოს ამბების.
ამ წერილში მოვათავსეთ ზოგი ერთი ცნობებიც რაც სხვაგა-
ნაც აგვინიშნავს, მაგრამ აქაც ვათავსებთ იმ მიზეზით, ვინაი-
დგან იგი მცირედ განირჩევა ხსენებულ ცნობებისაგან. ე. ი.
ერთი მეორისაგან.

კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთ და ქართველ
მართლმადიდებელთ ქარვასლები და სავაჭროები ძველადგანვე
არსებობდა. ძველი ქარვასლების დაარსება მისწვდება თვით
ისეთ დროსაც, როცა ბიზანტიის იმპერია არსებობდა და ქა-
რთველთ ვაჭრებსაც დიდი მისვლა მოსვლა და ალებ-მიცემა
აქვნდათ. კონსტანტინეპოლი ოსმალთა აიღეს, ამიტომ მათ
საბერძნეთის ერის ვაჭრობა შეაფერხეს, დაამხეს, მას თან გა-
ჰკვა ქართველთ ვაჭრობაც. შემდეგ დროებში, ანუ ოსმალთ
გაბატონების და გამძლავრების დროდამ როგორც ბერძნები,
ისევე ქართველნიც შეეჩივნენ ხელ ახლა სტამბოლში აღებ-
მიცემას, თათრებთან ვაჭრობას. ოსმალთა მახვილმა დაამხო
ბიზანტია და დაამხო ბერძენთ და ქართველთ ვაჭრობა და-
სავაჭრო ქარვასლები და მათი შთენთ ხსენებაც. ქართველთ
ვაჭრებმა შემდეგ დროს იწყეს იქ კვალად მოშენება და
გამრავლება, მრავლობდენ უფრო დასავლეთ საქართველოს
ქართველნი, რომელნიც ოსმალეთის საქართველოში სცხო-
ჭრობდნენ.

XVIII საუკუნის ნახევარს, სტამბოლში, ქართველთ ვაჭართ რიცხვი დიდათ გამრავლდა. იგინი სტამბოლში თუმცა ვაჭრობას ფიცხლად მისდევდენ, მაგრამ მაინც ზოგი ერთ ასმალთა შოხელეთაგან თურმე იდევნებოდენ, ამ დროს, სტამბოლში სცხოვრებდა ერთი გათათრებული ფაშა, ანუ ვეზირი. ამ გათათრებულს თავის ტომის ქართველთ ვაჭრებთ ზედამხედველობა და სიბრძლული ჰქონია. ამიტომ ამ ვეზირ ფაშას ერთის ქართველ ვაჭრისთვის, ერთ ალაგას საღუწნე ადგილი და ერთი დუქანი უჩუქებია. ეს ვაჭარი და მასთან სხვა ვაჭრებიც აქ დასახლებულან და მის შერმე ნელ ნელა სხვა და სხვა ადგილებიც შეუძენიათ, მასთან დუქნები და უკანასკნელ ეს ნაშენი სასახლე ქარვასლად დაუნიშნავთ და სახელი პირველ მჩუქებლის ქართველ მაჭმადიანის სახელი ვეზირი, თუ „ვეზირხანა“ უწოდებიათ. შემდეგ დროს, ანუ XIX საუკუნის შემდეგიდამ, ამ ქარვასლას ისე წაუვიდა საქმე, რომ აქ სცხოვრებდენ 300 კაცი ქარვასლის ნაშენობა ქართველთ ვაჭართ საკუთრებას შეადგენდა. ყოველთვის გამგეთ ქარის იუვნენ.

საქართველოდამ წასული ვაჭრები სულ ამ სასახლეში სცხოვრებდენ. აქ ჩამოხტებოდენ ქართველ კათოლიკენი, ქართველნი და საქართველოს სომეხნიც დიდი მნიშვნელობა აქვნდა ამ ქარვასლას ქართველ გვარის ვაჭართათვის და სტამბოლშიაც დიდის სახელოვნებით დაიწყეს ქართველთ ვაჭრებმა გახშაურება. ქარვასლაში ქირის და სხვა საქმეთაგან ფულიც შედიოდა და ამ ფულს იგინი ინახავდენ ქართველ გვარის ვაჭართა და მოგზაურთა სასაჩვენებლოდ. აქვე მათთან თავს აფარებდენ ლტოლვილნი და მწირობაში მყოფნი ქართველნი, მათ დახმარებაცი ეძლეოდათ. აქ და ქარვასლაში, მარტოდ ქართველთ კათოლიკ ვაჭართ რიცხვი 250 კაცი ყოფილან. სულ მეხსელ ჯავახელნი, ერთი თფილისელი ყოფილა, ერთი გორელი და რამდენიმეც გურულები. ყველა აღებ-მიცემას გზაზედ მდგარა, ყველას ენერგიულად მიჰყვანდა თავის აღებ-მი-

ცემის საქმე. საქმე ისე წავიდა ამ ქარვასლის არსებობით რომ აქ მისასვლელად და ვაჭრობის ხელის მოკიდებას თვით უცხო ტომის ერნიცკი ნატრობდენ.

ამ ქარვასლაში სცხოვრებდენ ცოლშვილიანი ვაჭრებიც, რომელთაც სახლობა საქართველოდამ ჰყანდათ წაყვანილი. ამათ რიცხვი იქ საკმარისი იყო და მათგან იქ შვილებიც იბადებოდენ, რომელნიც სტამბოლში ისდებოდენ, საქართველო თვალით არ ენახათ, მაგრამ ქართულ ენასკი მაინც სწავლობდენ, უამისობა მათგან შეუძლებელი იყო, რაღანაც ქართველთ ვაჭართ რიცხვი იქ ერთ ჯგუფს წარმოადგენდა. ერთ განუყოფელს წრეს, ამას გარდა ერთმანეთშიაც დიდი სიყვარული და კავშირიც აქვნდათ, ძნელაც, რომ ერთს მეორესთვის ელალატნა. ამით ქებულნი იყვნენ იგინი და სხვა ტომთაგან მისაბაძნი. ეს ასე იციან ქართველებმა, თავიანთ სამშობლოში არიან მოურიგებელნი, თორემ უცხოობაში ერთობა. იციან და მორიგება. მხოლოდ, შემდეგს დროს, ერთს ამათგანს ცოტა თაღლითობა ჩაუდენია და ქარვასლის ფულის რამდენიმე მიუთვისებია, ამიტომ ძმათა და ამხანაგებთ შორის საჩივარი ამ ტყდარა და საქმე რუსის ელჩამდე მისულა, მერე მას ზედაც მხედველობაც დაუდგენია ხსენებულს ქარვასლაზედ და ფულის მოვლის წესიც შემოულიათ.

აქ ყოფილი ვაჭრები მისდევდენ უმეტესად მერკინეობას, ანუ რკინით ვაჭრობას, ე. ი. ჰყიდდნენ სხვა და სხვა იარაღებს, ხმალი, ხანჯალი, თოფი, დამბაჩა და სხვანი. მაკრატლები, დანები, საღურგლო და საკალოტოზო იარალს, ბარს, ჩიჩებს და ათასსაც სხვა ამ გვარებს. ამ საქმეთა ასპარეზედ მათ ეკავათ თვით წმინდა საქონელის ვაჭრობის ხელობის ვაჭრობაც. საქონელს კაი გასაფალი აქვნდა, რაღანაც ასეთ საქმეთა წარმოებას იმ დროს, ოსმალნი, სომეხნი და ბერძნები რაღაც მძიმეთ მისდევდენ, არ ეტანებოდნენ, ესენი მაცელს სტამბოლში ცნობილნი იყვნენ ამით. საქონელს ქართველნი იბაზებდენ საფრანგეთიდამ, პარიულდამ, ინგლისიდამ, გერმანიიდამ,

იტალიიდამ და ამერიკიდამაცური. ეს გარემობა უფრო აწინა-
ურებდა მათ ვაჭრობას და ამალლებდა სხვა ტოშისაზედ უფრო
დიდის პატივით და წარმატებით. ოსმალთა ისეთი ნდობა აქვ-
ნდათ ქართველთ ვაჭრების, რომ რასაც ესენი საქონელს და-
უფასებდენ მყიდველთ, ისინი ხმა, კინტრისაც ვერ გაბედავდენ
და ფასს მაშინათვე მისცემდენ, ასეთი ნდობა აქვნდათ ოსმა-
ლთა წინაშე. მოკლეთ უნდი ითქვას, რომ ოსმალებს ქართველ
ვაჭრების დიდი პატივისცემა აქვნდათ.

ქართველთ პატივის ცემამ იქამდე შიალწია, რომ 1840
წლებს, სულთან მეჯიდის დედა ქართველი ქალი იყო და სუ-
ლთან აზიისაც ქართველი ყოფილა. სულთან მეჯიდიეს დედამ
ქართველ გვარის ვაჭრებს მოწყალების თვალით შეხედა და
იენიჯანის ნაწილში, ნება დართვა პატარ პატარა დუქნების
დაკეთება და ვაჭრობა. ეს ქართველ ვაჭართათვის კაი მოწყა-
ლება იყო. ამათ ამ ქუჩაზედ დახსნეს მაღაზიები და ვაჭრობის
აღებ-მიცემით სულ ამ ქუჩაზედ მოთავსდენ. დასაძინებელი-
ბინა და ოთახები ქარვასლაში აქვნდათ და ვაჭრობა ახალს
ქუჩაზედ, ვაჭრობას უმეტესად ქართველნი აქაც მისდევდენ მე-
რკინეობას, მთელი ქუჩა თითქმის ამ ნივთებთა მოვაჭრე ქა-
რთველებით გაივსო. ამათ ვაჭრობით მთელი რიგი იყო გაჩა-
ლებული. სტამბოლში ვაჭრობა ამათი ისეთი ძლიერი იყო,
რომ იგინი სტამბოლს გარდა სხვა კუთხის ქალაქებშიაც ვა-
ჭრობდენ და საქართველოშიაც შემოჰქონდათ ევროპიელ ერთა
საქონელი. მერკინეთა აღებ-მიცემის საქმე და ხელობა საქა-
რთველოშიაც განეთქვათ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ სტამბოლს გარდა ქა-
რთველ ვაჭრებს დიდი გისვლა მოსვლა აქვნდათ შავის ზღვის
ნაპირა მდებარე ქალაქებში მაგალითებრ ტრაპიზონს, სამსონს
და სხვა ადგილებშიაც, ნამეტურ რკინეულობის საქონელი ამათ
შემოჰქონდათ ლაზისტანშიაც. მართალია ვაჭრობის ასპარეზე
არც ლაზები არიან ხამნი, მაგრამ იგინი ასეთ ვაჭრობას არ
მისდევდენ, მათში განცხოველებული იყო უფრო კალატოზო-

ბა და დურგლობა, ხელობის იარაღნი და სხვა ამ გვარები კა-
თოლიკეთ შემოჰქონდათ. ამ ვაჭრობის ასპარეზედ ქართველთ
ვაჭრებმა საკმარისად წაჯგეს ფეხი წინ და ზოგიერთებმა არამც
თუ მარტოდ ოსმალეთის ქალქებს დაუახლოვდენ, არამედ
ევროპის ხალხთა სხვა და სხვა სამეფოებს, შათს ვაჭრობას,
საქართველოს საქმეებს და ოლებ-მიცემას. ევროპასთან ამათ და-
ახლოვებას დიდათ ხელს უწყობდა ქართველ კათოლიკე პა-
ტრებთ მხნე მოქმედობა, რომელნიც დიდს ხელმძღვანელობას
უწევდენ ევროპის სახელმწიფოებში მგზავრობა და ოლებ-მი-
ცემისათვის. თვით საქართველოდამაც ესენი ამხნევებდენ და
ამგზავრებდენ სხვა და სხვა კუთხეებში სავაჭროდ.

სტამბოლში, ამათი რიცხვი ყოველთვის მრავლობდა,
რადგანაც შათ პატარა ყმაწვილები ახალციხის და მის თემის
სოფლებიდამ მრავლად მიჰყვანდათ, არ გავიდოდა წელიწადი
და თვე, რომ სტამბოლში რამდენიმე ყმაწვილი არ წაეყვანათ:
პატარა ყმაწვილებს მიიყვანდენ თუ არა, მაშინაოვე პატარა
საწვრიმალოს გაუმართავდენ და აქა იქ გზავნიდნენ სავაჭროდ,
ფასებს რასაკვირველია სათითაოდ უნიშნავდენ. ნივთებსკი
მცირე ფასისას აძლევდენ. ასე და ამ გვარად სწურთვნიდენ
სავაჭრო საქმეებში, ამასთანვე მათ ზედამხედველობას უწევდენ
სტამბოლში მყოფი ქართველ კათოლიკეთ მღვდელნი და ამ
გარემოებიდამაც ბავშვები სარგებლობდენ და ადვილად სწა-
ლობდენ ოსმალურს და ფრანგულს ენებსაც. სამწუხაროდ
ასეთს ამ ვაჭართა წარსულს შემდეგ დიდი შემცირება მოჰყავა,
ამას რასაკვირველია თავის მიზეზები აქვს. მგზავრობა ქართვე-
ლო ვაჭრებთა და პატარა ბავშვების ყოველთვის ზღვაზე უ-
ხდებოდა. ხმელეთით ამათი მგზავრობა არას დროს არ მო-
მხდარა. ძველს დროს, როცა ზღვაზედ ძველებური ხომალდები
დადიოდენ, მაშინ მგზავრებთა დაღუპვაც ხშირად ხდებოდა
თურმე. თუმცა ამის შიში დიდი აქვნდათ, მაგრამ მგზავრო-
ბასკი არ ამცირებდენ, რადგანაც ვაჭრობის ხალისი დიდათ
აქვნდათ განლვიძებული. მეორე თვით ოსმალთა შფლობელო-

ბაც ამათზედ ისე მოქმედობდა, რაც ძალა უნებურად იგინი ვაჭრობის გზას დიდის მიღრეკილობით უნდა გაჭყოლოდენ, ვანაიჯგან დამონებულ ერს და ისიც ქრისტიანებს და მერე საქართველოში ყოველივე სამხედრო ძალოვნობის უპირატესობას ხელიდამ აცლიდენ. ამათვის აბა სხვა რაღა უნდა დაშთენილიყოს თვინიერ აღებ-მიცემის და ვაჭრობის. ქართველ პატრებმა ეს კარგად, იცოდენ და მიტომაც უფრო ამხნევებდენ მათ სავაჭრო ასპარეზედ განსასვლელად და სავაჭროდ.

ამ დიდ რიცხვ ვაჭრებთ შორის იყვნენ ბევრნი გამოჩენილი გვამნიც, ხნიერნი, მომსწრენი თვით ჩვენი მეფობისა და იმათ დროსვე შემომტანნი სხვა და სხვა საქონლისა. ასეთ პირთ უპირატესობა ეკავათ არა მარტო თვის თანამემამულებში, არამედ უცხოელების წინაშეც და ნაშეტურ ისმალების. ამატომ ასეთ პირთა სახელებს აქ სათითაოდ მოვიყვანთ, რათა მით დასაბუთებულ იქმნეს ის გარემოებაც, თუ სტამბოლში, ერთ დროს ქართველ გვარის ვაჭრებს რა რიცხვათი მნიშვნელობა უნდა ჰქონიყოსთ. საუწყებლია ამათ შესახებ ის გარემოებაც. რომ ვაჭრობის გარეშე ესენი ძველის დროიდგან დიდათ შველოდენ საქართველოდგან დაყიდულ ყმათა შეიალებს. ამის ასპარეზედ მათგან დანათეს სიკეთეს ვერ ავნუსხათ. იგი ერთობ დიდია და ამ სიმდიდრეს ამტკიცებს შემდეგი საუწყებელი პირობებიც.

XVIII საუკუნის შემდეგიდამ ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, იმერეთსა და ქართლში თავად აზნაურთა შორის, ძრიელ გამრავლდენ სხვა და სხვა უგვან მებატონენი, რომ მელთა ხელობათაც ყმათა შვილების ტაცვა და წართმევა საქმეთ გახდა და დღე და ღმე ესენი მხოლოდ თავიანთ მონებთა დარბევაში იყვნენ. ვიტყვით იმასაც, რომ ამათში ასრ და ორასი რომ კარგი იყო, რომელთაც ესმოდათ საქართველოს გაწყალების ვითარება და მიტომ არავის რას ვნებდენ, სამწუხაროთ ასეთ პირთა გვერდით იყვნენ ისეთი ბოროტ პირებიც რომელთა ხელობასაც ზემო ხენებული ჩვენის ტომის

დასაღუპი სენი შეაღგენდა. ესეთი პირები ჰყიდლენ თავიანთ
ყმებს ოსმალეთში ცველგან. თავიანთ ყმებს გარდა ესენი სხვე-
ბსაც სტაცივდენ ყმებს ქურდულად და ჰყიდლენ. ჰყიდლენ
გურული მებატონენი, სამეგრელოს მებატონენი, აფხაზეთის,
იმერეთის, ქართლის და სამცხე-უათაბაგოსიც ძველად. ქა-
რთლის მებატონეთაგან თავიანთ ყმათა შვილების ოსმალეთში,
მისირში და სხვაგან დასყიდვას თვით ცნობილი წიგნი „კა-
ლმასობაც“ მოგვითხრობს. აი ასეთ ბოროტ პირებთაგან და-
ყიდულ გოგო ბიჭებით სავსე იყო ტრაპიზონის ბაზარი. სტა-
მბოლის და სხვების. ასეთ დაკარგულ ქართველთ შვილებისა,
დაყიდულთ ოსმალელებზედ, გათათრებულნი და უცხოებაში
მომტირალნი თავიანთ მწარეს სვე ბეღისა, მგმობელნი გარე-
მოებისა და ქართველთ მებატონეთა, ხშირად უნახავსთ სტა-
მბოლის ქუჩებზედ აქა იქ ქართველთ ვაჭრებს. ესენი შესულან
ქართველთ ობლად შეგნილთ შვილებთა მდგომარეობაში და
მრავლად დაუხსნიათ დაყიდულნი და ხან დასასყიდათაც გა-
შხადებულნი ოსმალთა ვაჭრების ხელიდამ და მით უთავი-
სუფლებიათ საბრალოები. 1820 წლიდამ მოყოლებული 30,
40, 50 და 60 წლებამდისინ. ამ ვაჭრებს ასეთ. ყმებთა
გაყიდ-გამოყიდვასთან მჭიდრო კავშირი ჰქონიათ. დაყიდულთა
მდგომარეობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ. ამათგან და-
ხსნილი ყმათა და ტყვეთა რიცხვი უოველთვის დიდი ყოფილა. მა-
თგან საქართველოში იშვიათად ბრუნდებოდენ, რაღვანაც უგვან
მებატონეთა წყალობით სტულდათ ყოველივე თავიანთ ქვეენის
შოგონების. უთქვამთ, რომ სტამბოლის ძველ ქართველთ ვაჭრებს
დიდი ამაგი იქვსთ დადებული ასეთ პირთა წინაშე სიკეთის და-
თესვითო. ასეთ დახსნილთ ნუსხა რომ შეეღგინათ იმ დროს
დღეს ქს ნუსხა ქართველ ხალხს განაცვითებდაო. რასაკვი-
რველია ასეთ დახსნილნი სტამბოლში შთებოდენ და იქვე
ეძრებოდათ მათ მომავლისთვის გადაგვარებაო. მათის რიცხვის
ზოგი ბერძნის სჯულს უკავშირდებოდა, ზოგი კათოლიკის
ზოგი სომხის და ზოგიც სხვებისო. ასე და იმ გვარად ამათი

რიცხვი თუმც თავს იხსნდენ კეთილ ვაჭრებთა დახმარებით, მის შემდეგ საქართველოში კი აღარ ბრუნდებოდენ, არამედ იქ ეძლეოდენ ცხოვრებას, რასაც საფლეისოდ მათი გადაგვარებაც მოჰყვა ჩვენის ტომისთვის. ეს რომ ავწონ დავწონოთ, მაშინ ჩვენ მათ ვერ გავამტყუნებთ, დატანჯულთ მებატონეთა მონებისა და დაყიდვისაგან ძნელად მოუბრუნდებოდათ გული შინ დაბრუნებისთვის. ისინი მითაც კმაყოფილნა იქმნებოდენ რომ თანა მემამულეთაგან დახსნილი იქმნენ და ქრისტიანობაზედ დატოვებულნი. აქ მოვთვლით ძველ ვაჭრებთა ცნობებს.

ზალინოვი სოლომონი. სცხოვ. 1810—1880 წ. იყო რკინეულობის ვაჭარი, აქუნდა კარგი აღებ-მიცემა. უკანასკნელ დაბრუნდა საქართველოში და სხვა და სხვა საქონლით ვაჭრობდა. იყო კიდევ დიდი ვაჭარი თომა ზალინოვი.

შეფისოვი ოპანჯანა იგივე ივანე. სტამბოლში ვაჭრობდა რკინეულობით და იყო თავის დროს გამოჩენილი მერკინე. შემდეგ დროს იგი სტამბოლიდამ დაბრუნდა ქუთაისს და აქ გახსნა თამბაქოს ქარხანა რითაც ერთ დროს განითქვა. სახელი შესამჩნევად.

დაურჯოვები. პავლე, სიმონი. ესენიც რკინეულობით ვაჭრობდენ თავის დროს იყვნენ კარგი აღებ-მიცემის ვაჭარნი.

აზნაუროვები, ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან მესხეთში. ზოგნი გრიგორიანობაზედ გადასული დღეს აზნაურიანად იწოდებიან. იოსებ აზნაუროვი ფეხზედ მოვაჭრე იყო, ესენი ვაჭრობდენ თუთუნით, ძვირფასი თუთუნი ევროპიდანაც შემოჰკონდათ, როგორც გობაკი და სხვანი, ესენიც ზემოხსენებულს ქარვასლაში სცხოვრებდენ მერკინებთან ერთათ. შემდეგ დროს იოსები დაბრუნდა საქართველოში, იმათ კაი აღებ მიცემა აქვნდათ თფილისში, ახალციხეს, ქუთაისს, ოსმალეთში ტრაპიზონს, სტამბოლს და სხვაგანაც, სამწუხაროდ ამ გვარის წევრნი შემცირდენ უწყალოდ.

ჯიმშანოვები, ივანე, სტეფანე, ალექსანდრე და სხვანი, მესხელნი, ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობას და

ძველადვე განთქმული გვარი ვაჭრობით. სტეფანე იყო გამგე სტამბოლის ქართველთ ქარვასლის. ესენი ვაჭრობდენ მრავლად და სახელოვნად. ამათგან საქართველოში დიდი ძალი საქონელი იგზავნებოდა. სტამბოლს გარდა ტრაპიზონშიაც აქვნდათ კარგი სავაჭრო ბინა.

შირაქვი პეტრე და სტეფანე. პეტრე მირაქოვი იყო ჩვენ მეფეების მომსწრე, კარგი ხელოვანი ვაჭარი და ძველადგანვე მოვაჭრე და მავალი სტამბოლს და ოსმალეთის სხვა ქალაქებშიაც. რკინულობით ვაჭრობდა სტეფანე. ამის შვილი იყო მწიგნობარი პირიც და დიდათ გამოჩენილი თავის დროს სტამბოლის ვაჭრებით შორის. სტეფანემ ერთ დროს მუსულმანობაც მიიღო მისირში. იყო მახვილგონიერი კაცი და მოხერხებული. ამის შვილები დღესაც ვაჭრობენ სტამბოლს.

ბაკაქვი პეტრე, ამის მამა მეფეების დროსვე იყო სტამბოლში. მავალი და მოვაჭრე.

იერემოვი თომა. ძველის ძველ ვაჭართა გვარნი, მავალნი ძველადგანვე ოსმალეთის გარდა სხვა ქვეყნებშიაც, იყვნენ სტამბოლში წმინდა საქონლის, გამყიდავნიც. ვაჭრობა აქვნდათ ბოლგარეთშიც.

აბელოვი, პეტრე. მამა პაპითვე ვაჭარნი, ძველის დროდგან, თვით მეფეთა დროდამ. აქვნდათ ვაჭრობა რკინულობისა.

ბეთანივი პეტრე. სტამბოლში გამოჩენილი ვაჭარი, დიდის ხნიდამ. სიბერის დროს დაბრმავდა, მიტომ დაბრუნდა საქოთველოში და ახალციხეს გარდაიცა

გოგინოვი პოლოს, იგივე პავლე. მეტ სახელად „ოქრო წონათს“ უხმობდენ, რადგანაც დიდათ შეძლებული იყო. მამა პაპით მეფეთა დროთაგნვე ესენი იყვნენ გამოჩენილი ვაჭრები. მესხები, კათოლიკობას ძველადვე დაკავშირებულნი. პავლე აჭარელებმა დასჭრეს მგზავრობის დროს ნაკუშ-ნაკუშად-

ფექსაროვი იაკობ. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობას, გამოჩენილნი ვაჭარნი და ცნობილნი. სტამბოლს

ვაჭრობდენ რკინეულობით. იენიჯამს აქვნდათ კარგი მაღაზია. ქუთაისში მოვაჭრე ფეიქაროვები აქედამ მომდინარობდენ. ვაჭრობის ცოდნა სტამბოლიდამ მოსდევთ.

კი-ბეგოვი სტეფანე, ოსმალურად კაი-ბეგი ნიშნავ „კლიფის თავადს“ მამა პაპით ვაჭრები იყვნენ. შემდეგ დროს თუთუნით ვაჭრობდენ. ახალციხეს დაბრუნდენ.

სარი ასთაშვილი იყო თავის დროს კაი შემძლე ვაჭარი. ამისთვის იტყოდენ, რომ მთელს სტამბოლში ეს ისეთი ლამაზი იყო, რომ ერთ ალაგას სულთანის ქალებშა ნახეს, ნახვით განცვითრდენ და სახეზედ ხელსახოცი გადაუსვეს. მერე დაბრუნდენ საქართველოში და ვაჭრობდენ ქუთაისს,

ზექალაშვილი, სტამბოლს რკინით მოვაჭრე და დროის მოწინავე პირნი.

თამარაშვილი, სტამბოლს მოვაჭრე რკინით და სახელ განთქმული, ამისი ძმა სოლომონიც ასევე. შემდე დაბრუნდენ საქართველოში.

მანქანდაროვი პეტრე, თავის დროს კაი შემძლე დიდი ვაჭარი სტამბოლს.

ქურთულები. განთქმულნი ძველადგანვე, ვაჭრები სტამბოლს. ფეხზედ ვაჭრობდენ თუთუნით, მერე საქართველოში დაბრუნდნენ, ქუთაისს აქვნდათ ლევანს, სიმონს და იაკობს თუთუნის ქარხანა.

ასეანდაროვები, ალექსანდრე, ახალციხელნი, რკინით მოვაჭრენი ძველადგანვე.

გოზალოვები. პავლე რკინით მოვაჭრენი სტამბოლს.

თუმანიშვილები. პავლე, ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკბას, ახალციხელნი, განთქმული ვაჭარნი რკინეულო. ბით სტამბოლს.

დათიაშვილი. ალექსანდრე თომას ქ. დათიაშვილები ქუთაისშიაც სცხოვრებდენ სოლომონ მაფის დროს. ნონია დათია აშვილი იყო სოლომონ მეფის ნაზირი და დიდათ განთქმული შეფის ერთვულობით თავის დროს. მეფე რომ დაიძინებდა,

თავით დათიაშვილი უჯდა, მხოლოდ მას ენდობოდა, აღექსანდრეს მამა გამოჩენილი პირია რუსთაგან ახალციხის აღებისა ქმეშიაც, მას მთავრობისაგან ჯილდოც ეძლეოდა. აღექსანდრე 40 წელს მოგზაურობდა სტამბოლს და ზღვებშიაც დავაჭრობდა საქართველოშიაც.

ვგონებთ ესენიც კმარა მის შესახებ მოსაყვანათ, თუ ერთ დროს, სტამბოლში ქართველთ ვაჭრებს რა ადგილი უნდა ჰყავებოდათ და ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონიყოთ მათ მინიჭებული. ამაზედ ჩვენ ცხადათ დავრწმუნდებით მაშინ უფრო, როცა ამათ რიცხვს მაუმატებთ იმ დიდ რიცხვს ვაჭრებისას, რომელნიც სტამბოლში სცხოვრებდენ ერთ დროს თუმც მათი ცნობებიკი ბევრი არ გვაქვს.

თუმც სადღეისოდ სტამბოლში ქართველთ გვარის ვაჭართ რიცხვი მოისპო, მაგრამ მათ მიერ ძველადგან გაკეთებული ქარვასლა კი დღესაც არსებობს და მის გამგეთ ირიცხება იქაური ვაჭარი ანტონ წინამძღვაროვი. ქარვასლის შესავალი ხმარდება სტამბოლის ქართველთ კათოლიკეთა მონასტრებს და სკოლას. მათს საკუთრებას შედგენს შესავალი.

სტამბოლში ქართველთ ვაჭრობა ისე იყო მოფენილი და განთქმული, რომ სტამბოლში მრავლად ყოფილან ძველადგანვე სხვა და სხვა კომისიონირები. ისეთნი იყვნენ შემდეგნი: შეფასე ოქრო, კომისიონერები ევროპიულის და აზიურის საქონლებით. იყო ქართველი.

ბოგელია ტიფრ. კომისიონერი, გურული:

მანქანდართვი. ივანე კომისიონერი ძველადგანვე.

ეაუხეთვი.. იაკობ, კომისიონერი. განთქმულნი ძველადგანვე.

ესენი იყვნენ მოწინავე კომისიონერები, ამათ აქვნდათ კაც ცოდნა ევროპიულის და აზიურის ენების, იყვნენ კარგად მცოდნენი ევროპიულის ყველა ნაირის საქონლის, ევროპის ვაჭრების წინაშე ამათ დიდი ზმა და ნდობა, აქვნდათ, საქართველოში, ქართველ გვარის ვაჭრებს ესენი საქონელს ნისიათ უხერხებდენ 10,000 მანათისასაც. ამათ გარდა იყვნენ

სხვა წვრილმანი კომისიონერებიც, რომელთაც ჩვენ აქ არ ავნუსხავთ. ჩვენის ცნობის დასასაბუთებლად ესეც კმარა. აქედამაც სჩანს კარგად, რომ ოდესმე ქართველთ კომისიონერებსაც კარგი მნიშვნელობა და სანდო ადგილი უნდა ჰკავებობოდათ კონსტანტინეპოლს. ესენიც დიდს სახსარს აძლევდენ ქართველ ტომის ვაჭრებში ვაჭრულს საქმეების დასაწყისის აღორძინებას. უნდა ითქვას ისიც, რომ სტამბოლის ქართველ ვაჭრებს კარგი აღებ-მიცემა და ვაჭრობა აქვნდათ ტრაპიზონსაც ესენი იყვნენ ჯიმშეროვები, აზნაუროვები და მრავალნიც სხვანი. აქ ხსენებულ კომისიონერებსაც დიდი წარმოება აქვნდათ ტრაპიზონს. თავის დროს მათი წარმოება მთელს სტამბოლში იყო ცნობილი და საერთოს სავაჭროს წარმატებით შემოსილი.

აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ მთელს სტამბოლში, ქართველთ მაპმადიანთ ბეგებმა, ფაშებმა და სხვათაც კარგად იცოდნენ ამ ქართველთ ტომის ვაჭართ აღებ-მიცემა, ამათთან ხშირად მოდიოდენ თვით ფაშები, ბეგები, ამათი ცოლები და ქალები და ქართული ენით ვაჭრობდენ და საქონელს ჰყიდულობდენ. ასეთი მაგალითები იქ ერთობ ხშირად ხდებოდა თურმე, დღეს, სტამბოლს, ქართველ გვარის ვაჭართა რიცხვი სულ 10 ვაჭრისაგან შესდგება. წარჩინებულ ვაჭრად ირიცხებიან პავლე გოზალოვი, ლუკა და პეტრე თუმანიშვილები ალ. ფალაშვილი და სხვანი. სტამბოლში ქართველთ გვარის ვაჭრები თუმცა უმთავრესად მერკინენი იყვნენ და ამით მოვაჭრენი, მაგრამ მათ გარეშე მცირე რიცხვის თითქმის ყველა სავაჭროებში იყვნენ და ყველგან თავიანთი აღებ-მიცემის საქმე კარგად, მოსაწონად მიჰყვანდათ. ქართველი კაცის ვაჭრობა სტამბოლში თათრებთა წინაშე ქებულიც იყო და ამათ სინდისიერს ვაჭრობის შესახებ ოსმალებს ბევრი ანდაზებიც აქვთ შედგვნილიო. ყოველი ანდაზა ნათლად მოწმობს ოსმალების მაღალს ნდობას და დიდს სიმპატიას ქართველთ კაცის ვაჭრობის წინაშე. ასეთი გახლავსთ წარსუ-

ლი ქართველთ ვაჭართა კონსტანტინეპოლს და მასთან მთელს ოსმალეთში. ჩვენც ეს წერილი მიტომ მიუძღვენით კერძოთ ვიტყვითკი დასასრულ იმასაც, რომ სტამბოლის ქართველთ აღებ-მიცემის ხანას მეტად ძველი დროის დასაწყისი აქვს, ამ ხანას და ალორძინებასაც კარგი, გასაცნობი ისტორია, ხოლო უამთა ვითარების წყალობით იგი ჩვენთვის მივიწყებულია, მთლად დაკარგული. ეს ცნობებიც ბევრის შრომით არს შეკრებილი და ანუსხული.

ქართული მწერლობის ასპარეზედ, ქართველ გვარის ვაჭრებთა შესახებ წერა არ არის ადვილი. ჩვენი ძველები ამის შესახებ არაფერს სწერდნენ. ჩვენ ჩვენის შეძლების და გვარად ეს ცნობები შევკრიბეთ. მართალია ამ ცნობებში არ არის ისიც ანუსხული, თუ ეს ვაჭრები და მრეწველ-ჰექარხნენი თავიანთ ფულსა და ძალას სად როგორ ამუშავებდნენ, რას იგებდნენ, რა სიკეთეს სთესავდენ ქართველთ ხალხის წინაშე და ან თვით როგორ სარგებლობდენ, ან ხალხი და მასთან ქართველთ სამეფოც. ამის ცნობების კრება ძნელიც არის. ჩვენ ეს ვიკრანეთ. ვიცით ისიც, რომ აქ ბევრი რამ ცნობები ზოგი ერთ ცნობილ ვაჭრებთა და მრეწველთა შესახებ გამოგვრჩებოდა, არა გვაქვს აღწერილი, ამაზედაც ბოდიშს ვიხდით და ვითხოვთ სხვათაგან ჩვენი შრომის შეესებას; დავიწყებულ პირთა ანუსხვას და მოწოდებას. ასეთ პირთა და ცნობათა მცოდნენი იმედია სტამბოლში და სხვა ასეთ კუთხეებში დღესაც იქმნებიან ცოცხალნი, მათ შეეძლებათ ჩვენი რომის შევსება. თუ ვინმე უცნობლობის გამო ვერ ავწერეთ, ვერ მოვიხსენეთ მათი სავაჭრო, სამრეწველო და საგვაროენო ცნობა, ეს ჩვენ უნებლიერ მოხდა, ამაში ბოროტებას ნურავინ დაგწვამებს, მოგვიტევონ. ვითხოვ კვალად, რომ თუ ვისმეს რამე სავაჭრო და სამრეწველო ცნობები ექმნეს, ის ცნობები დაგვიწეროს და მოგვაწოდოს ჩვენ, რასაც მადლობით ავნუსხავთ სხვა წიგნში. ეს წიგნი გახლავსთ შემდეგი:

,,საქართველოს მრეწველობა, ვაჭრობა, მექანიზმება და
ხელოსნები თფილისში და ქუთაისში XVIII საუკ.“.

,,საქართველოს ვაჭრები თფილისში და ქუთაისში“.

Գ. Ջօվօնօմյ.

Թյառյ տպանուզու յշի և սելո 30 № հո.

493



118

ՁՅԱՀ ՀԱՅԻ

ՀԱՐԱԿԻ ՈՒ

22/1769

703

օգածո 30 յան.